საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

№257
(12 327)

31 ოქტომბერი ოთხშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

# 2014 წლის მუნდიალს ბრაზილია უმასპინძლებს

7

ეროვნული ნაკრები. ამხანაგური მატჩი

# სენეგალი გამოირიცხა

## დარჩა ბოსნია, იორდანია ან ყატარი

აქამდე ასე იყო - 17 ნოემბრის ამხანაგური მატჩში სავარაუდო მეტოქეთა რაოდენობა იზრდებოდა, ახლა კი კლებაზე წავიდა. 21 ნოემბერს, ლიტვასთან ოფიციალურ მატჩამდე ჩვენს გუნდს ერთი თამაშის გამართვის უფლება აქვს და შესაძლებლობას გამოყენება უნდა.

ბოსნიის, იორდანიისა და ყატარის წინადადებებს ბოლოს სენეგალის შეთავაზებაც დაემატა. ამ ვარიანტებიდან საუკეთესოდ ეს უკანასკნელი მიიჩნიეს ფედერაციაში და აქცენტიც მათთან თამაშზე გაკეთდა. სენეგალელებთან ბარე კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა მოლაპარაკება, მაგრამ საბოლოოდ შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა. საქმეში უკეთ გასარკვევად ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივანს **უჩა უგულავას** დავუკავშირდით.

*"სენეგალთან პირობებზე ვერ შევთანხმდით და ეს ვარიანტი უკვე გამორიცხულია. იორდანია თავისთან გვეპატიჟება, ყატარი თანახმაა თბილისში ჩამოვიდეს, ბოსნიის ჩამოყვანაც არაა გამორიცხული. ამ სამ და კიდევ სხვა ვარიანტებსაც მოვსინჯავთ, მოლაპარაკებებს ვაგრძელებთ და რამდენიმე დღეში ამ საკითხს საბოლოოდ გადავწყვეტთ"*, - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა უგულავამ.

**დავით ცაბაძე**

# ამსტერდამი რუსთავზე მაღლაა

## წარუმატებელი დაბრუნება ევროთასეულზე

**აზოტი-ამსტერდამი 77:87**

11

# მაკარიძე მიუნხენში

**გუშინ**, გერმანულ პრესაში გამოქვეყნდა საინტერესო სტატია, რომელშიც ქართველი ფეხბურთელები, ახალგაზრდა ტალანტები არიან მოხსენიებულნი. საუბარია გიორგი მაკარიძეზე, ლევან ყენიასა და ლევან მჭედლიძეზე. მასალაში აქცენტი "ბაიერნის" 17 წლის ტონი კროოსზე კეთდება. სტატია ქართველი მკითხველისთვისაც საინტერესო უნდა იყოს და საყურადღებო ეპიზოდებს გთავაზობთ.

2

კრივი. მსოფლიო ჩემპიონატი

# ლევამიჩავას პეკინამდე ერთი რაუნდი დაეკლდა

ლევან ლევამიჩავა

**მოკრივეთა** მსოფლიო ჩემპიონატის მეშვიდე დღეს, საკმაოდ ახლოს ვიყავით პეკინის ოლიმპიადის პირველ ლიცენზიასთან. ამისათვის, **ლევან ლევამიჩავას** (64 კგ) მერვედფინალში იაპონელი **მასაცუგუ კავაჩი** უნდა დაემარცხებინა.

პირველი რაუნდი იაპონელმა 7:3 მოიგო. თუმცა მერე ლევამიჩავა ამოქმედდა, სეტყვასავით დააყარა დარტყმები აზიელს და მეოთხე რაუნდის წინ, 16:11 დაწინაურდა. თითქოსდა, ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, მაგრამ სამწუხაროდ, თავი ნაადრევად დავიარხეინეთ. ბოლო რაუნდში, ლევანმა ქარს გაატანა მოგებაც და ოლიმპიური ლიცენზიაც. მან დასკვნითი ორნუთიანი მონაკვეთი 2:10 წააგო, საერთო ჯამში ჭი 18:21 და შეჯიბრებას გამოეთხოვა.

ამრიგად, მსოფლიო ჩემპიონატს შემორჩა მხოლოდ ორი ქართველი, რომლებიც ხვალ იჩხუბებენ. გამარჯვება ორივეს პეკინის ოლიმპიადის საგზურს გაუნაღდებს. **ზვიად ხადური** (48 კგ) ჰოვანეს დანიელიანს ხვდება, **დავით წიკლაური** (81 კგ) კი, რუს არტურ ბეტარბიევს.

**კობა ხატისაშვილი**

www.kazbegi.com

გაზეთი...
# ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge


ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს XVIII

ჯგუფური რაუნდი. IV ტური

დავით ყიფიანის სახელობის თასის ყაზბეგის გათამაშება

www.pfl.ge

ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი 1:0. ნლეულს უკვე შეხვდნენ ერთმანეთს, ოლონდ ჩემპიონატში

# მეოთხედფინალი ხვალიდან შეივსება

ეროვნულ ჩემპიონატში ორკვირიანი პაუზაა გამოცხადებული, მანამდე კი დავით ყიფიანის თასის ჯგუფურ რაუნდში ზედიზედ ორი ტური გაიმართება. ეს შეხვედრები მეოთხედფინალისტთა დიდ ნაწილს გამოავლენს, მომდევნო ეტაპის საგზურს რამდენიმე გუნდი ალბათ, ხვალვე დაიბევებს.

**A ჯგუფი**

**14:00 სპარტაკი-მესხეთი**

1 ნოემბერი. გორი. თ. გურჯანაძე.
არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

**14:00 ტორპედო-ამერი**

1 ნოემბერი. ქუთაისი. ცენტრალური.
არბიტრი: ვ. ელისაბედაშვილი

ქუთაისელებს მიზერული შანსიც დაკარგული აქვთ და ძნელი წარმოსადგენია, წინა ტურში დამარცხებულ "ამერს" სათანადო წინააღმდეგობა გაუწიონ. გლდანელებს ქულების კიდევ ერთხელ დაკარგვა შესაძლოა, ძვირად დაუჯდეთ. ჯგუფის საკვანძო დაპირისპირება კი გორში შედგება. "სპარტაკსა" და "მესხეთს" შორის გამარჯვებული მეოთხედფინალისკენ უდიდეს ნაბიჯს გადადგამს. ალბათ, ამ შეხვედრას ორივე გუნდი ბოლომდე დაიხარჯება და მოედანზე საუკეთესო შემადგენლობას გაიყვანს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ამერი | 3 | 2 | 0 | 1 | 11-3 | 6 |
| 2. სპარტაკი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 |
| 3. მესხეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| 4. ტორპედო | 3 | 0 | 0 | 3 | 1-12 | 0 |

**B ჯგუფი**

**14:00 მაღაროელი-დინამო**

1 ნოემბერი. ჭიათურა. ცენტრალური.
არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

**14:00 ლოკომოტივი-ვიტ ჯორჯია**

1 ნოემბერი. თბილისი. მ. მესხი.
არბიტრი: პ. დოგრაშვილი

მდგომარეობა აქაც არანაკლებ დაძაბულია. ჯგუფის ერთ-ერთმა ფავორიტმა "ვიტ ჯორჯიამ" სამ ტურში უკვე ორი მარცხი იწვნია და კიდევ ერთი წაფორხილება ალბათ, ჯგუფში ჩარჩენად დაუჯდება. მართალია, ვეტერინართათვის თასი პრიორიტეტული ტურნირი არასდროს ყოფილა და ჯგუფურ ეტაპზე **მუმლაძის** გუნდი შერეული შემადგენლობით თამაშობს ხოლმე, აუტსაიდერ "ლოკომოტივის" დასამარცხებლად "ჯორჯია" მაინც მთელი ძალით იბრძოლებს. "მაღაროელი" კი, რომელმაც წინა ტურში მცხეთაში მოიგო, "დინამოს" დაუხვდება და მასთან ჭიდილშიც შეეცდება ქულათა მარაგის შევსებას. ჭიათურელთათვის ეს სეზონი ერთობ წარმატებულია, ისინი პირველი ლიგის დასავლეთ ზონასაც დამაჯერებლად ლიდერობენ და თასის მეოთხედფინალზეც უკვე რეალურ პრეტენზიას აცხადებენ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 3 | 3 | 0 | 0 | 7-3 | 9 |
| 2. მაღაროელი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 3 | 1 | 0 | 2 | 5-4 | 3 |
| 4. ლოკომოტივი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-8 | 0 |

**C ჯგუფი**

**14:00 მერანი-ოლიმპი**

1 ნოემბერი. თბილისი. მერანი.
არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

**14:00 ბათუმი-ბორჯომი**

1 ნოემბერი. ბათუმი. ადელი
არბიტრი: ჯ. ბუიშვილი

შედეგებს მიხედვით, ეს ჯგუფი ყველაზე თანაბარია. ჯერჯერობით, მეოთხედფინალში გასვლის შანსი არავის დაუკარგავს. "ოლიმპი" და "ბორჯომი" სტუმრად კი თამაშობენ, მაგრამ მაინც არაა გამორიცხული, რომ ორივემ სამ-სამი ქულა მოიპოვოს. ასეთ შემთხვევაში, ამ ოთხეულში ყველაფერი გარკვეული იქნება. არც ისაა გამორიცხული, ხვალინდელი შეხვედრების შემდეგ, ცხრილში მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბოს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| 2. ბორჯომი | 3 | 2 | 0 | 1 | 4-3 | 6 |
| 3. მერანი | 3 | 1 | 0 | 2 | 2-2 | 3 |
| 4. ბათუმი | 3 | 1 | 0 | 2 | 1-3 | 3 |

**D ჯგუფი**

**14:00 დილა-მგლები**

31 ოქტომბერი. გორი. თ. გურჯანაძე.
არბიტრი: გ. ვადაჭკორია

**14:00 კახეთი-ზესტაფონი**

1 ნოემბერი. თელავი. გ. ჩიხელი.
არბიტრი: ლ. კვარაცხელია

თუ "დილამ" დღეს გორში "მგლებს" მოუგო, მეოთხედფინალამდე ბევრი აღარაფერი დააკლდება. გორელთა და ზუგდიდელთა მატჩი ამ სათასო ტურში ერთ-ერთი გამორჩეულია. "დილას" თასზე ჯერ მარცხი არ უწვნევია და ვნახოთ, გააგრძელებენ თუ არა **ვარდოსანიძის** შეგირდები ამ სერიას საკმაოდ ძლიერ მეტოქესთან ჭიდილში. ზესტაფონელები კი ალბათ, მეოთხედფინალში ხვალვე დაიგულებენ თავს და ჯგუფური ეტაპის ბოლო ორ მატჩს ფორმალობისთვისღა ჩაატარებენ.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ზესტაფონი | 3 | 2 | 1 | 0 | 11-4 | 7 |
| 2. დილა | 3 | 1 | 2 | 0 | 5-3 | 5 |
| 3. მგლები | 3 | 1 | 1 | 1 | 7-8 | 4 |
| 4. კახეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 2-10 | 0 |

ლევან ჯანეზაშვილი

ეროვნული ნაკრები

# მაკარიძე მიუნხენში

## ყენია და მჭედლიძე ტონი კროოსის გზაზე

პირველი გვერდიდან

"ახალგაზრდა ტალანტები მეტნაკლები რაოდენობით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაშია. ამ მხრივ განსაკუთრებით ინგლისი და ესპანეთი გამოირჩევა. სხვა ქვეყნებთან ერთად, ტალანტების მხრივ ბოლო ხანს საქართველოც წარმოჩნდა. საქართველოს ეროვნულ ნაკრებში, შოტლანდიასთან 2:0 მოგებულ მატჩში, სამი ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოირჩა. ამ ქვეყნის ნაკრებს გერმანელი სპეციალისტი კლაუს ტოპმიოლერი წვრთნის და მან კარგად იცის მათი ფასი. შოტლანდიასთან ტოპმიოლერმა ერთი 16 და ორიც 17 წლის ფეხბურთელი ათამაშა - მეკარე მაკარიძე, ნახევარმცველი ლევან ყენია და ფორვარდი ლევან მჭედლიძე.

თუ ცურვაში შეიძლება 15-17 წლის სპორტსმენები გამორჩეულები იყვნენ, რატომ არ შეიძლება ამ ასაკის ჭაბუკები ფეხბურთშიც გამოირჩეოდნენ? – სვამს კითხვას კლაუს ტოპმიოლერი. ამ კითხვაზე დადებითი პასუხი არაერთ ნიჭიერ ფეხბურთელს გაუცია."

**კლაუს ტოპმიოლერი** ჭაბუკებისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებასა და ფსიქოლოგიურ ფაქტორებზეც ამახვილებს ყურადღებას:

"ტოპმიოლერმა ტალანტის ფასი კარგად იცის და მათ მიმართ თავისებური მიდგომაც გააჩნია: "ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელების მიმართ განსაკუთრებული მიდგომაა საჭირო. შოტლანდიასთან მატჩის შემდეგ ეს სამი ტალანტი მასმედიამ ცაში აიყვანა. თუმცა მოთამაშეები ამით არ უნდა დაკმაყოფილდნენ და მიღწეულით არ უნდა დატკბნენ. მათ ზრდა-განვითარება უნდა განაგრძონ. თუ მათ სადმე ფეხი წაუცდებათ, ისინი ციდან მიწაზეც შეიძლება აღმოჩნდნენ.

მათთან მიმართებაში ფსიქოლოგიური მომენტებიც გასათვალისწინებელია. თუმცა არა მგონია, ამ სამი ქართველის განვითარება რამემ შეაფერხოს. შეიძლება ითქვას, სამივე ტონი კროოსის გზაზეა. ლევან ყენია უკვე "შალკეშია" გადასული, ახალგაზრდა ფორვარდი ლევან მჭედლიძე "ემპოლიში" ირიცხება. მეკარე მაკარიძე კი თბილისშია და მისი მდგომარეობა ყენიასა და მჭედლიძისგან განსხვავებულია", - აღნიშნავს ტოპმიოლერი გერმანულ მედიასთან საუბარში.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელს გიორგი მაკარიძის გერმანიაში გაშვება სურს და ბოლოსკენ ამაზეც საუბრობს:

"შოტლანდიასთან მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებზე მოთხოვნა გაიზარდა. დიდი ინტერესია ამ ახალგაზრდებისადმი. მაკარიძე უცხოურ კლუბში არაა გადასული და თბილისში სიმშვიდის შენარჩუნებაც უჭირს. ყველა საფეხბურთო მრჩეველი თუ აგენტი მას სხვადასხვა ვარიანტებს სთავაზობს. მინდა, ის მოკლე ხანში ორი კვირით "მიუნხენ 1860"-ში გავუშვა. რამდენიმე დღის განმავლობაში, ის "ლომებთან" ივარჯიშებს, მშვიდ გარემოში იქნება. დარწმუნებული ვარ, მისი ზრდისთვის ეს ძალზე სასარგებლო იქნება".

როგორც ხედავთ, ეს ტრანსფერი არაა. გიორგი მაკარიძეს თბილისის "დინამოსთან" ჯერაც მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს. კლაუს ტოპმიოლერის სურვილია, ეროვნული ნაკრების ახალგაზრდა მეკარე, რომელიც "დინამოს" მეოთხე მეკარედ მიიჩნევა და მხოლოდ სარეზერვო გუნდში უწევს თამაში, მიუნხენში სტაჟირებაზე გაუშვას.

**დავით ცაბაძე**



გიორგი მაკარიძე

www.kazbegi.com

# გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპარტაკი

## სანახაობამდე შეთამაშებაა საჭირო

კობა ჟორჟიკაშვილი

**მიმდინარე სეზონის წინ ჩამოყალიბებული ცხინვალის „სპარტაკი“, უმაღლეს ლიგაში არცთუ ცუდად ჩაერთო, თუმცა საწყის ტურებში რამდენიმე მისთვის სასარგებლო, დებიუტანტისთვის, ცოტა არ იყოს, მოულოდნელ შედეგებს ბოლო პერიოდში უქულო და უგოლო სერია დაუმატა. წარუმატებელი პერიოდი ცხინვალელებმა გასულ კვირას თასზე შეწყვიტეს, თანაც ვისთან - სათასო გუნდად ცნობილ თბილისის „ამერთან“. რასაც ეროვნულ ჩემპიონატში მორიგი მარცხი მოყვა “ზესტაფონთან”. „სპარტაკის“ მთავარ მწვრთნელ კობა ჟორჟიკაშვილთან საუბარი ამ, შეიძლება ითქვას, ჩავარდნით დავიწყეთ.**

**- როგორ ფიქრობთ, სეზონის დასაწყისში, ცაიტნოტური ვითარებიდან გამომდინარე, მაქსიმალურად კარგი კონტიგენტის შეკრება მოახერხეთ?**

- ბუნებრივია, იყვნენ ფეხბურთელები, რომლებსაც მაშინ დიდი სიამოვნებით ავიყვანდი გუნდში, მაგრამ ამისთვის სათანადო თანხები, პირობებია საჭირო. ჩვენ უმაღლესი ლიგაში სტარტის აღებამდე არცერთი ისეთი მოთამაშე არ აგვიყვანია, რომლებისთვისაც სათაო თანხა იქნებოდა გადასახდელი. ფაქტობრივად „სპარტაკში“ ისინი ასპარეზობენ, ვინც უმაღლეს ლიგაში თამაშის გამო დამაკმაყოფილებელ, თუმცა არცთუ მოჭარბებულ ფინანსურ პირობებში გარჯას დათანხმდა. იმედი გვაქვს, ზამთრის სატრანსფერო პერიოდში მნიშვნელოვნად გავძლიერდებით და უფრო ანგარიშგასაწევ ძალად ჩამოვყალიბდებით. ამ ეტაპზე დამაკმაყოფილებელი გახლავთ, რომ თანდათან სულ უფრო გამართულ ფეხბურთს ვაჩვენებთ. არც ისაა უმნიშვნელო, რომ ამ ლიგაში ახალი პერსპექტიული სახეები ჯანელიძე, ძარია, ჩირიკაშვილი, გოგოხია და სხვები შემოვიყვანეთ.

**- „სპარტაკის“ ყველაზე აშკარა ხარვეზი, ალბათ, თავდასხმაა. ჩემპიონატში მხოლოდ 3 გოლი გაქვთ გატანილი, აქედან ერთი პენალტით და ერთიც ნახევარმცველმა შეაგდო.**

- ჯანელიძე ნელ-ნელა ათამაშდა, მედოევსა და ტატაევს ფეხბურთისთვის თავი ჰქონდათ დანებებული. მათაც გარკვეული პერიოდი სჭირდებათ კონდიციების აღსადგენად. დრო შესათამაშებლად მთელ გუნდს სჭირდება, რათა არა დაცვითი, არამედ შემტევი, სანახაობრივი ფეხბურთი აჩვენოს, რისი მომხრე თავადაც ვარ ყოველთვის.

**- კლუბის პრეზიდენტი დიმიტრი სანაკოევი თითქმის ყველა თამაშს ესწრება, კმაყოფილია ამ ეტაპზე „სპარტაკის“ მიერ ნაჩვენები თამაშით?**

- ბატონი დიმიტრი პირველი დღეებიდანვე ჩახედულია საქმეში, იცის, როგორ გვინევდა გუნდის შეკრება-შეთამაშება და ა. შ. თავადაც ყოფილი სპორტსმენია და მცირეოდენ ნიუანსებშიც ერკვევა, ამიტომ მდგომარეობას ცუდად არ აფასებს. იგი კმაყოფილია, ვინაიდან თავად ხედავს როგორი შემართებით იბრძვიან ფეხბურთელები მოედანზე. მისი უპირველესი მოთხოვნა კი სწორედ ესაა.

**- ერთი თვის წინათ, „ამერთან“ გორში 0:1 წაგებულ შეხვედრაში ბოლო წუთზე თქვენს კარში დანიშნული პენალტის ფეხბურთის ფედერაციაში გაპროტესტებას ფიქრობდით, მომდევნო ტურში იმავე ანგარიშით და ისევ პენალტით დამარცხდით „ვიტ ჯორჯიასთან“...**

- ის მატჩი „ამერთან“ აღარ გაგვისაჩივრებია. მოედნის მიღმა საქმეს ველარაფერს ვუშველით, ჯობია მოედანზე ვიბრძოლოთ. სხვათაშორის შესამჩნევი იქაც გახლდათ ჩვენი ბიჭების გამოუცდელობა. იმ მომენტებში მეტოქეებმა ფაქტობრივად თავიანთი გამოცდილებით, როგორც იტყვიან, „წამოკიდეს“ პენალტები.

**- საქართველოს თასზე „ამერთან“ გამარჯვებით ჯგუფიდან გასვლისთვის მეტად საჭირო ნაბიჯი გადადგით.**

- გეთანხმებით. იმედი მაქვს, ჯგუფიდან გასვლას შევძლებთ. ახლა, საქართველოს თასზე ზედიზედ ორი შეხვედრა „მესხეთთან“ და „ტორპედოსთან“ შინ გვიწევს და აუცილებლად უნდა შევძლოთ მათი ჩვენდა სასიკეთოდ დასრულება.

**- შინ თამაში ახსენეთ და თქვენ გრძნობთ გორში თავს, როგორც საკუთარ მოედანზე? ჩვენ ვწერდით კიდეც ამას წინათ, რომ „სპარტაკისთვის“ უპრიანი და ხელმძღვანელობისთვის, ალბათ, ძნელი არ იქნება, თუ ლიახვის ხეობიდან ერთი ავტობუსით მაინც რამდენიმე ათეულ გულშემატკივარს ჩამოიყვანენ საქომაგოდ გორში.**

- მესმის გორელების, თავისი გუნდი ჰყავთ უმაღლეს ლიგაში, თანაც სატურნირო ვითარებიდან გამომდინარე, ფაქტობრივად, ერთმანეთის კონკურენტები ვართ და მათ ჩვენს გულშემატკივრობას ვერ მოსთხოვ კაცი. თავის მხრივ, ჩვენც ჯერჯერობით მართლა ვერ აღვიქვამთ, რომ შინ ვთამაშობთ, ხოლო ის, რაც თქვენ ბრძანეთ, ნამდვილად კარგი იდეაა, რამდენიმე ათეული თუ არა, ვფიქრობ, საამისოდ ათი „ომახიანი“ ქომაგიც უთუოდ დადებით გავლენას მოახდენდა ჩვენს თამაშზე.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან



თვალსაზრისი

## ტვინს ახალი სავარჯიშო სჭირდება, ფეხბურთს თანაგუნდელი

ტელესერიალი, საინფორმაციო გამოშვება, თოქშოუ და კომედიური პროგრამები - ქართული ელექტრონული მედია ამით ცხოვრობს.

ჯადოსნური ყუთიდან კიდევ რა არ გვესმის და რას არ ვხედავთ, მათ შორის საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს, ჩვენი ეროვნული გუნდისა და ჩემპიონთა ლიგის თამაშებს.

მაგრამ ფაქტობრივად არ გვესმის მსჯელობა ქართული ფეხბურთის პრობლემებზე, არ არის კრიტიკა, კამათი და დინამიკა - არ ჩქეფს ქართული ფეხბურთი ქართულ ელექტრონულ მედიაში.

ტელევიზორი კი მართლაც ჯადოსნური ნივთია. იქ ცოცხლად უყურებ ყველაფერს, თამაშს, ბრძოლას, დაპირისპირებას და განსხვავებულ აზრებს. იქიდან ისმის სიტყვა და ჩანს გამოსახულება, იქედან ხდება ზემოქმედება დახშულ თუ გახსნილ გონებაზე, იქედან ილექება ტვინში სახეები, ფერები და აზრები.

ასეთი ყუთი უფრო მძლავრად მოქმედებს ადამიანზე, უფრო მახვილი და მიმზიდველია, უფრო გასაგებია და საადაა რაგინდარა ტიპაჟებისთვის.

ყოფილა საქართველოში საფეხბურთო თოქშოუები, მაგრამ ვერ გაუშლია ფრთები. ახლა სახელმწიფოსგან მილიონები უნდა დაიხარჯოს ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის და აქა-იქ ითქვა, შესაძლოა, თოქშოუც ჩაჯდეს ამ პროგრამაშიო.

ეს დრომ მოიტანა. მხოლოდ წერითა და კითხვით ვერ იქნება ქართული მასმედია ქართული ფეხბურთის მძლავრი პარტნიორი.

დრომ მოიტანა მწვავე და კრიტიკული გადაცემები, წრფელი და მახვილი შენიშვნები, თორემ მხოლოდ პრესა ვერ აუვა ყველაფერს.

„საქართველოში არ არსებობს სპორტული არხი და არ არსებობს სპორტზე კონცეპტუალურად დაინტერესებული ტელეარხი.

**ლევან ბერძენიშვილი, გიგა ბოკერია, გოგა ხაინდრავა, დავით კირკიტაძე**... ყოველდღე ერთი და იგივე ხალხის ყურება მოსაწყენ მულტსერიალს ემსგავსება, რომლის იქით თითქოს არაფერი არ არის.

არადა არის სპორტი და ფეხბურთი თავისი ტვირთითა და შარმით, ცოდვამადლით და აქტუალურობით.

არ არის იოლი მაგარი საფეხბურთო თოქშოუს გამართვა. სურვილისა და ფულის გარდა, ამას სჭირდება ტრადიციაც, მაგრამ ეს საქმე თუ არ დაიძრა, ვერ ეყოლება ფეხბურთს ღონიერი თანაგუნდელი.

ვნახოთ, იქნება ხმები გამართლდეს და საქართველოში ფეხბურთის განვითარების პროგრამამ ნამდვილი თოქშოუც მოგვიტანოს, ისეთივე, ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით რომ აქვთ.

**დავით თავართქილაძე**

მერანი

## თამაზ კოსტავა მოგჯობინდა

**როგორც** გახსოვთ, 2 სექტემბერს "მერანის" მთავარმა მწვრთნელმა **თამაზ კოსტავამ** ინსულტის შეტევა მიიღო, ამას ინფარქტიც დაემატა და მისი მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა. საბედნიეროდ, მკურნალობის პროცესმა წარმატებით ჩაიარა. იმთავითვე ცნობილი გახდა, რომ ბატონი თამაზის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა. მას დაახლოებით ერთი თვის წინათ, თბილისში ჩაუტარდა გადაუდებელი ოპერაცია, რის შემდეგაც გამოჯანმრთელების პროცესი სწრაფი ტემპით წარიმართა. დღეისათვის, კოსტავას წოლითი რეჟიმიც კი აღარ აქვს და დამოუკიდებლად შეუძლია სიარული. ამის მიუხედავად, ბუნებრივია, უახლოეს პერიოდში იგი სამწვრთნელო საქმიანობას ვერ დაუბრუნდება.

მის არყოფნაში "მერანის" მთავარი მწვრთნელის მოვალეობას **დავით ეჯიბიშვილი** ასრულებს. დედაქალაქური გუნდი ჩემპიონატში კვლავ წარუმატებლად გამოდის, მაგრამ გასულ ტურში "მერანმა" უიღბლო სერია შენყვიტა, გასვლაზე უშუალო კონკურენტ "ლოკომოტივს" სძლია და ოდნავ ამოისუნთქა.

*"მხოლოდ ამას ვერ დავაბრალებ, მაგრამ ჩვენს თამაშს გარკვეული დაღი ტრავმირებულთა სიმრავლემაც დაატყო. ბოლო მატჩებში ავალიანი, კალაძე და ჯანგიძე დაგვიბრუნდნენ, რაც გუნდს სასიკეთოდ წაადგა. გარდა ამისა, თავდამსხმელი შენგელია დავიმატეთ, რომელიც საკმაოდ კარგი შენაძენია. ერთი სიტყვით, ფარ-ხმლის დაყრას არ ვაპირებთ და უმაღლეს ლიგაში დასარჩენად ბოლომდე ვიბრძოლებთ", - ამბობს ეჯიბიშვილი.*

მან იქვე დასძინა, რომ "მერანის" მთავარ მწვრთნელად პირველი წრის დასრულებამდე აუცილებლად იმუშავებს, ხოლო ამის შემდეგ რა მოხდება, ამას კლუბის ხელმძღვანელობასთან შეხვედრისას გაარკვევს.

პირველი წრის ბოლომდე დარჩენილ სამ ტურში "მერანს" სატურნირო მდგომარეობის გამოსწორების შანსი კიდევ მიეცემა. ამ სამიდან ორ მატჩს გუნდი შინ ჩაატარებს უშუალო კონკურენტების, "დილასა" და "სიონის" წინააღმდეგ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

თამაზ კოსტავა

www.kazbegi.com

# გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

დავით კვირკველია შოტლანდიასთან მატჩში

ინტერვიუ დავით კვირკველიასთან

# მეჯი შეგვიძლია

**დავით კვირკველიამ შოტლანდიასთან მატჩი ჩინებულად ჩაატარა. გარდა იმისა, რო მეორე გოლი დავით სირაძემ მისი გადაცემით გაიტანა, კვირკველია მთელი 90 წუთი საუცხოოდ გამოიყურებოდა და საუკეთესო თვისებები გამოავლინა.**

**შოტლანდია წარსულია. ერთი მატჩით კი ქართული ფეხბურთის კრიზისი წარსულს ვერ ჩაბარდება. სასიხარულოა, როცა სკოლის სამი მოსწავლე ძირითადში ხვდება და თამაშს იგებს შენი საყვარელი გუნდი, თუმცა ზომიერება საჭიროა.**

**ახლა ემოციებმა გაიარა და უინტერესო არ უნდა იყოს გამოცდილი მოთამაშეების თამაშისა და ნაკრებში მიმდინარე პროცესების შეფასება.**

**- დათო, თამაშის შემდეგ დრო გავიდა და მნიშვნელოვანია, ცივი გონებით თამაშისა და ნაკრებში მიმდინარე პროცესების შეფასება.**

- ემოციები მაინც დარჩა, სხვანაირად წარმოუდგენელიც იყო. როგორც ვხედავ, ქართველებს იოლად შეგვიძლია მოგება, თუკი ძალიან ვინდომებთ. ასეთ მოტივირებულ ნაკრებს ვერ ვიხსენებ. მოგება ყოველთვის და ყველას გვინდა, მაგრამ ამ თამაშამდე ყველას ეტყობოდა, რომ მხოლოდ მოგება დაგვაკმაყოფილებდა და არა ფრე ლიდერთან.

მიხარია, გუნდმა საკუთარი ძალა დაამტკიცა და პოტენციალი აჩვენა. ისიც აჩვენა, რომ საქართველოს ნაკრებს თამაში შეუძლია. ისეთი ხელნამოსკრავები ნაღდად არ ვართ, როგორიც შოტლანდიელებს ვეგონეთ.

**- სხვათა შორის, ნაკრებში ზოგჯერ აფეთქება იცი. ასე იყო რუსეთთან, უკრაინასთან კიევში, ახლა შოტლანდიასთან. ან ცეცხლი ნაკლებად გეტყობა და მასაში იკარგები. ემოციას რა გმატებს?**

- თვითონ თამაშის მნიშვნელობა, მეტოქის სახელი, თამაში როგორ აგეწყობა. დასაწყისშივე ვგრძნობ, იმ დღეს რა გამომივა. მთელ შეხვედრას ერთნაირ ტემპში ვერავინ ჩაატარებს, ზოგჯერ შეცდები, მაგრამ თუ ძალა ვიგრძენი, მერე ავფეთქდები.

შოტლანდიასთან შეხვედრა ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, მანამდე მომხდარი ამბების გამო. ხომ გახსოვთ, ტოპმიოლერმა არ მიმიწვია და არ მინდოდა, თამაში ჩამეგდო. თორემ, ადრეც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, ნაკრებში თამაშს ზერელედ ერთხელაც არ მოვკიდებივარ. კმაყოფილი ვარ, იმედია, ნაკრებში სხვა გამოცდილ მოთამაშეებსაც თუ დააბრუნებენ, ეს კიდევ უფრო გაგვაძლიერებს.

**- საწყენია, რომ 27 წლის მოთამაშე უკრაინას ვერ გაცდი და ჯერ ძნელი სათქმელია, უფრო ძლიერ ლიგაში გააგრძელებ თამაშს თუ ამ ქვეყანაში დაამთავრებ კარიერას.**

- ჯერ ასე ვარ და ვნახოთ. სადაც არ უნდა ვითამაშო, ვცდილობ, დავამტკიცო ჩემი სიძლიერე, დანარჩენი უკვე ღმერთის წყალობაზეა დამოკიდებული.

უკრაინაში კარიერის დასრულება არ მინდა, ორი აზრი არაა. ევროპაში წასვლაზე უარს არავინ ამბობს. ეტყობა, ზოგიერთი მოთამაშე გვიან იხსნება. 27 წლის ვარ და ამ ასაკში ბევრს გამართლებია, თუკი შრომობს. შრომა და მონდომება კი არ მაკლია.

**- თუ იცი, "სანდერლენდის" სკაუტები კიდევ გაკვირდებოდნენ (ამ გუნდში დათოს ზაფხულში მოლაპარაკება ჰქონდა) იგივე შოტლანდიასთან შეხვედრისას?**

- წარმოდგენა არ მაქვს. არც თამაშამდე და არც შემდეგ, ასეთი რამ არ მსმენია. გუნდშიც არავის არაფერი უთქვამს. რამე ვარიანტი რომ ყოფილიყო, აუცილებლად მეტყოდნენ.

**- როგორც ვიცით, ზაპოროჟიეში ახალი კონტრაქტი გააფორმე.**

- კიდევ ერთი სეზონი დამრჩა ჩასამთავრებელი

**- უკრაინელები ქართველებს ფეხბურთში ყოველთვის ზემოდან გვიყურებდნენ. მართალია, ერთი მოგებით ქართული ფეხბურთისადმი დამოკიდებულება კარდინალურად ვერ შეიცვლება, მაგრამ ოდნავ მაინც შეიცვალეს?**

- შეიცვალეს და ამას აშკარად ვხედავ. სხვაგვარ პატივისცემას ვგრძნობ. ჯერ ერთი, თვითონ უკეთ იციან, რომ კიევში ძალიან გაუმართლათ და 3:2 ჩვენი ბავშვური შეცდომებით წავაგეთ. თბილისში რაც მოხდა, ეს უკვე ლოგიკურად ჩათვალეს. ანუ ჩვენი ნაკრებთან უეჭველ მოგებას გამორიცხავენ.

მარტო ჩვენი უშუალო თამაშები არაა განმსაზღვრელი. მათ გასვლაზე საფრანგეთთან 0:2 წააგეს, ჩვენ 0:1, იტალიასთან ორივე ერთნაირი ანგარიშით დავმარცხდით 0:2. შოტლანდიასთან წააგეს (1:3), ჩვენ კი 2:0 მოვიგეთ. ეს არის ის შედეგები, რაც ძალაუნებურად აფიქრებთ, რომ საქართველო ხელნამოსაკრავი არაა.

**- კი მაგრამ, უკრაინა ჯგუფში გვისწრებს და ბოლომდე ჯგუფიდან გასვლისთვის იბრძოდა, შოტლანდიას კი სახლში 2:0 მანაც მოუგო...**

- იმას ვგულისხმობ, რომ პატივისცემა გაუჩნდათ. შოტლანდია ორივეს ისეთ დროს შეგვხვდა, როდესაც მოგება ჰაერივით სჭირდებოდა. უკრაინასთან ეს მოახერხეს და საკმაოდ იოლადაც, ჩვენთან კი, ალბათ, ბრიტანელები ევროპის ჩემპიონატის ფინალს დაემშვიდობნენ. სხვათა შორის, ჩვენ გლაზგოში უკრაინელებზე პატარა სხვაობით ნავაგეთ.

იმას არ ვამტკიცებ, რომ ახლა ძალიან მაგარი გუნდი გვყავს. ქართველებზე სულ ამბობენ ტექნიკურები, ნიჭიერები ხართ, მაგრამ რაღაც გაკლიათო. ისიც იციან, რომ ჩვენ უკრაინელებზე გაცილებით მეტი შეგვიძლია. ამათ ძლიერ ლიგაში ვინ ჰყავთ? შევჩენკო და ვორონინი, რუსეთში ძლიერი ჩემპიონატია, მაგრამ ჩვენებს გადახედეთ, რამდენი ფეხბურთელია ევროპის ავტორიტეტულ კლუბში? თუმცა მართლები არიან, ჩვენ რაღაც მართლა გვაკლია.

**- შენი აზრით, რა?**

- ძნელი საქთმელია. ჩვენამდე რა თაობა იყო, ჯამარაული, ქინქლაძე, არველაძეები, ცხადაძე, ნემსაძე, ქეცბაია და მაინც არაფერი გამოუვიდათ. მათაც რაღაც დააკლდათ. უკრაინამ მსოფლიო ჩემპიონატზე მერვე ადგილი დაიკავა და ახლა ჯგუფიდან ვერ გავიდა. გაასწრო შოტლანდიამ, რომელიც მსოფლიოზე ვერ მოხვდა. იმის თქმა მინდა, რომ არავინ იცის, ხვალ რა მოხდება. იქნებ, ეს "რაღაც" მომავალ ციკლში ჩვენც აღმოგვაჩნდეს.

**- პირველ წრეში უკრაინის ჩემპიონატის სიმბოლურ ნაკრებში უკვე სამჯერ დაგასახელეს. წრის სიმბოლურში მოხვედრის შანსი გაქვს?**

- ჯერ ამის თქმა გამიჭირდება. ისე, შანსი არის.

**მერაბ მამულაშვილი**

P.S. *საინტერესო ამბავი მოხდა ბოლო ტურში: ზაპოროჟიელებმა გასვლითი შეხვედრა "დნეპრთან" წააგეს და მწვრთნელმა კვირკველია თავდასხმაში დააყენა. უცნაური ისაა, რომ იური ვერნიდუბი ქართველი კაპიტნით უკმაყოფილო არც ამ პოზიციაზე დარჩენილა.*

**საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა. XI ტური**

| ალმოსავლეთი | |
|---|---|
| ოლიმპიკი-ჩიხურა | 0:1 |
| ოლიმპი 2-კახეთი | 1:0 |
| ამერი 2-ვიტ ჯორჯია 2 | 1:4 |
| გაგრა-მეშაქრე | 1:1 |
| დინამო 2-ნ. დინამო/მერ.2 | 0:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გაგრა | 11 | 6 | 4 | 1 | 21-16 | 22 |
| 2. მეშაქრე | 11 | 6 | 2 | 3 | 22-15 | 20 |
| 3. ვიტ ჯორჯია 2 | 11 | 5 | 5 | 1 | 16-7 | 19 |
| 4. დინამო 2 | 11 | 5 | 4 | 2 | 18-10 | 19 |
| 5. ოლიმპი 2 | 11 | 4 | 3 | 4 | 12-10 | 15 |
| 6. ჩიხურა | 11 | 4 | 3 | 4 | 11-15 | 15 |
| 7. ამერი 2 | 11 | 4 | 2 | 5 | 17-20 | 14 |
| 8. ოლიმპიკი | 11 | 3 | 3 | 5 | 15-18 | 12 |
| 9. კახეთი | 11 | 3 | 3 | 5 | 12-15 | 12 |
| 10. ნ/დინ. მერ. 2 | 11 | 0 | 2 | 9 | 7-25 | 2 |

| დასავლეთი | |
|---|---|
| კოლხეთი უ.-კოლხეთი ხ. | 2:2 |
| ფაზისი რაჭა-მაღაროელი | 1:3 |
| ტორპედო-მეშახტე | 2:0 |
| მერანი მარტვ.-ზესტაფონი 2 | 1:0 |
| სამტრედია-უნივერსიტეტი ქუთ. | 0:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მაღაროელი | 11 | 9 | 2 | 0 | 26-8 | 29 |
| 2. მერანი მ. | 11 | 6 | 3 | 2 | 12-6 | 21 |
| 3. მეშახტე | 11 | 7 | 0 | 4 | 19-20 | 21 |
| 4. ტორპედო | 10 | 4 | 3 | 3 | 16-12 | 15 |
| 5. კოლხეთი ფ. | 11 | 3 | 4 | 4 | 14-15 | 13 |
| 6. უნივერს. ქ. | 11 | 4 | 1 | 6 | 8-10 | 13 |
| 7. კოლხეთი ხ. | 11 | 3 | 3 | 5 | 13-18 | 12 |
| 8. ზესტაფონი 2 | 9 | 3 | 2 | 4 | 12-8 | 11 |
| 9. ფაზისი რაჭა | 10 | 2 | 2 | 6 | 15-19 | 8 |
| 10. სამტრედია | 11 | 1 | 2 | 8 | 10-26 | 5 |

ლეგიონერები

# ანდრეევმა გოგუა შეაქო

რუსეთის პრემიერლიგის 28-ე ტურის შეფასება ინტერნეტ-გაზეთმა "სპორტდეიმ" საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილ თავდამსხმელს, "როსტსელმაშის" ყოფილ მთავარ მწვრთნელ **სერგეი ანდრეევს** სთხოვა.

მან ქართველი ნახევარმცველი **გოგიტა გოგუას** თამაში გამოარჩია. როგორც ცნობილია, მოსკოვის "სპარტაკმა" შინ რამენსკოეს "სატურნი" ვერ დაამარცხა, მხოლოდ ფრეს დასჯერდა (0:0), გოგიტამ კი მხოლოდ თოთხმეტი წუთი ითამაშა. ამდენად, საკმაოდ უცნაურია, როდესაც ის ანდრეევმა შეაქო.

"*გოგუა თამაშში ჩინებულად ჩაერთო. ამ პატარა ბიჭმა გუნდის თამაშს სისწრაფე შესძინა პრუდნიკოვისგან განსხვავებით, რომელმაც ვერაფერი აჩვენა. სხვათა შორის, გოგუამ უფრო მეტი გააკეთა ამ თოთხმეტ წუთში, ვიდრე პავლიუჩენკომ მთელი შეხვედრის განმავლობაში.*"

**მერაბ მამულაშვილი**

გოგიტა გოგუა

# კალაძემ და ნესტამ ერთობლივი ბიზნესი წამოიწყეს

იტალიურმა სააგენტოებმა **კახა კალაძის** ბიზნესის შესახებ საინტერესო ინფორმაცია გაავრცელეს. "ნესტამ და კალაძემ მილანში ორი მაღაზია შეიძინეს და მათ მუშაობაში ერთად მიიღებენ მონაწილეობას. ეს იქნება მოდების მაღაზია. შეთანხმება მიღწეულია და ორი ერთნაირი პროფილის მაღაზია გაიხსნება. ერთი წმინდა ბაბილას მოედანზე და მეორე კი "ც ელემენტის" გვერდით (მილანის ცნობილი ადგილია).

საქმეს ვინმე ზუნეკა გაუძღვება, რომელიც აქციათა 51 პროცენტს ფლობს, კალაძესა და ნესტას კი 24,5-24,5 პროცენტი აქვთ.

ეს ყოველივე 15 ოქტომბერს, შოტლანდიასთან შეხვედრამდე ორი დღით ადრე მოხდა. ეტყობა, კახამ ტრავმით ისარგებლა და დრო უქმად არ დაკარგა.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ დავით თარგამაძესთან

# წაგებების მხოლოდ ტოპმიოლერზე გადაბრალება გაუმართლებელია

დავით თარგამაძე 19-წლამდელთა ნაკრებში

**საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების წარუმატებელმა ასპარეზობამ მწვრთნელის შეცვლის იდეა წარმოშვა. ფედერაცია ამ საკითხს ნოემბერში განიხილავს. მანამდე კი უინტერესო არ უნდა იყოს, რას ფიქრობენ ნაკრების თამაშზე ფეხბურთელები. შესარჩევ ტურნირში ერთადერთი გოლის ავტორ დავით თარგამაძეს ამ და სხვა საინტერესო თემებზე გავესაუბრეთ.**

**- რისი თქმა შეგიძლია 19-წლამდელთა ნაკრების ასპარეზობაზე. ამ სამ წაგებას რით ახსნი?**

- სამწუხაროა და მართალი გითხრათ, გულჩანყვეტილი ვარ. ჩვენს თაობაზე ქართველი ქომაგები დიდ იმედებს ამყარებენ და ძალიან მწყდება გული, რომ ქომაგებს გული ვატკინეთ. მათ ბოდიშს ვუხდი ასეთი იმედგაცრუებისთვის.

**- წაგების მიზეზებზე არაფერი გითქვამს...**

- მიჭირს ამის ახსნა. ალბათ, იმით იყო განპირობებული, რომ ყველა მატოქესთან თამაში შინ გვქონდა, მონინააღმდეგეები რეალურად არ შევაფასეთ. ტურნირი ძალიან კარგად დავიწყეთ, მაგრამ ჰოლანდიასთან კაცნაკლულები რომ დავრჩით, მერე უკვე "ავიჭერით". ნორვეგიასთან საგოლე მომენტები ვერ გამოვიყენეთ. ხომ გაგიგიათ, ვერ გაიტან და გაგიტანენო. ფეხბურთის დაუწერელი კანონი ამოქმედდა, ნორვეგიამ აქეთ გაგვიტანა და დავმარცხდით.

**- გასაგებია, რომ ჰოლანდია და ნორვეგია ძლიერი მეტოქეები იყვნენ. ლატვიასთან მოგება და ჯგუფში მესამე ადგილის დაკავება ხომ მაინც შეიძლებოდა?**

- მეტოქე რომ ვერ შევაფასეთ და მობილიზება ვერ შევძელით, ეს ყველაზე უკეთ ლატვიასთან მატჩში გამოჩნდა. ხომ გაგიგიათ, ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო... ახლა ვხვდები ყველაფერს, მაგრამ სამწუხაროდ, უკვე გვიანია.

**- ნაკრების წარუმატებლობას ბევრი მწვრთნელის შეცდომებით ხსნის...**

- გუნდი ერთი მთლიანი ორგანიზმია, გუნდი იგებს და გუნდი აგებს. ვფიქრობ, ჩვენ ყველამ ერთად წავაგეთ მატჩები. ფეხბურთელები უფრო მეტად რომ ვყოფილიყავით მობილიზებულები, ასეთი ფიასკო არ იქნებოდა. ამ წაგებებს მწვრთნელს ვერ დავაბრალებდი. ბიჭები სწორედ ჰაინც ტოპმიოლერმა შეგვკრიბა... ამ კონტინგენტით მართლაც შეიძლებოდა მეტის მიღწევა, მაგრამ ჩვენი შეცდომების გამო დავისაჯეთ.

**- ახლა კლუბზე ვთქვათ. "ფრაიბურგში" კი ვარჯიშობ, მაგრამ კლუბის განაცხადში შენი გვარი აქამდე არ იყო...**

- თბილისში ჩამოსვლამდე ამ საკითხზე კლუბის ხელმძღვანელობასთან მქონდა საუბარი. უკვე ყველაფერი გადაწყვეტილია, ჩავალ და სამწლიან კონტრაქტს გავაფორმებ. კლუბში ოფიციალურად ვარ ჩარიცხული და უახლოეს მატჩებში ვითამაშებ კიდეც დუბლშემადგენლობაში.

**- "ფრაიბურგის" მთავარ მწვრთნელ რობერტ დუტისთან როგორი ურთიერთობა გაქვს?**

- ნორმალური. საუბარი მქონდა და მითხრა, ყველაფერი შენზეა დამოკიდებული. თუ კარგად წარმოჩნდები დუბლებიდან მთავარ გუნდში გადაგიყვანო.

**- ფრაიბურგში რა პოზიციაზე გათამაშებენ?**

- ამხანაგურ მატჩებში ნახევარდაცვის ორივე ფლანგზე მიწევს ხოლმე თამაში. თუმცა მარცხენა ნახევარმცველად უფრო სასარგებლო ვარ.

**- სარეზერვო გუნდის თავკაცთან თუ გქონდა საუბარი?**

- დიახ, კრისტიან სრტაიშსაც ვესაუბრე. დამპირდა, რომ მათამაშებს, დანარჩენი კი ჩემზე იქნება დამოკიდებული.

**- როგორ ფორმაში ხარ?**

- ერთი თვის განმავლობაში თბილისში ვიყავი. გუნდთან ერთად არ მივარჯიშია, მხოლოდ ინდივიდუალურად ვემზადებოდი და ვერ ვიტყვი, რომ ჩვეულ ფორმაში ვარ. თუმცა ფორმის აკრება არ მიჭირს და მალე კარგ კონდიციაში ვიქნები.

**- დაბოლოს, ოთარ ხიზანეიშვილზეც გკითხავ. უთამაშებლობის გამო კლუბის შეცვლა უნდოდა. ზამთრის პაუზისას მას სხვა გუნდში ხომ არ ვიხილავთ?**

- გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. როგორც გითხარით, სავიზო ფორმალობათა გამო ერთი თვე თბილისში ვიყავი. ამ პრობლემის მოგვარებას ვცდილობდი. ჩავალ ფრაიბურგში და მეტი მეცოდინება.

**დავით ცაბაძე**

დსთ-ს ქვეყნების ჩემპიონთა თასი

# თანამეგობრობამ პეტერბურგში გადაინაცვლა

## ჩვენს ჩემპიონს ისევ ოფკ ერგო

დსთ-ის თასის მომავალი გათამაშება არა მოსკოვში, არამედ სანკტ პეტერბურგში გაიმართება. ეს კარგა ხნის წინათ გადაწყდა, გუშინ კი ჯგუფების წილისყრაც გაიმართა. რაკი ჯერ არაა ცნობილი, ყველა პოსტსაბჭოელი ჩემპიონი ჩავა თუ არა რუსეთში. ჯგუფებში ჯერ მხოლოდ მონაწილე ქვეყნები გაანაწილეს.

ჯერ არც ისაა ცნობილი, გაემგზავრება თუ არა სანკტ პეტერბურგში საქართველოს ჩემპიონი "ოლიმპი", მაგრამ თუ იმას გავიხსენებთ, რომ ამ კლუბის ხელმძღვანელობამ წინა ტურნირზე ლამის ნახევარი შემადგენლობა ბოლნისის "სიონს" გააყოლა, ალბათ, თანამეგობრობის თასი რუსთაველთა გარეშე არ ჩაივლის.

ტურნირი მომავალი წლის 19-27 იანვარს გაიმართება ორ სპორტკომპლექსში, "პეტერბურგსკისა" და "ზენიტში". ტურნირის გამართვის სისტემა უცვლელი რჩება - ჯგუფებიდან ორ-ორი გუნდი ბრძოლას მეოთხედფინალში გააგრძელებს. იმასაც შეგახსენებთ, რომ სერბულ ოფკ-ს შარშან "სიონი" შეხვდა და იმის მიუხედავად, რომ ბოლნისელებმა 2:1 მოიგეს, მომდევნო ეტაპზე ბელგრადელები გავიდნენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

| A ჯგუფი | B ჯგუფი | C ჯგუფი | D ჯგუფი |
|---|---|---|---|
| რუსეთი | აზერბაიჯანი | ლატვია | უკრაინა |
| თურქმენეთი | ყაზახეთი | საქართველო | უზბეკეთი |
| მოლდოვა | ლიტვა | ოფკ (სერბეთი) | ბელარუსი |
| ესტონეთი | ტაჯიკეთი | ყირგიზეთი | სომხეთი |

CDN კავკასიის სიფხიერი ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN IP ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA LAN ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადასვლა ხაზიდან გუშაგლულად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ორ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია. სერია A. X ტურის წინ

# რომი და გენუა: სასწორზეა რეპუტაცია

## ტოტი გამორიცხულია, იუვენტუსი განახევრდა, ინტერი მესამე მეკარით

**დღეს**

**აგალანგა-კალიარი**
**ფიორენტინა-ნაპოლი**
**ინტერი-ჯენოა**
**იუვენტუსი-ემპოლი**
**პალერმო-პარმა**
**რევჯინა-ლივორნო**
**რომა-ლაციო**
**სამპდორია-მილანი**
**სიენა-კაგანია**
**უდინეზე-ტორინო**



ლუჩანო სპალეტი და დელიო როსი მძიმე გამოცდის მოლოდინში

შუა კვირის ტურში მთავარი მოვლენა რომაული დერბია. გუნდები მატჩს სხვადასხვა მდგომარეობაში ხვდებიან. "რომა" ჩემპიონობისთვის იბრძვის, რაც "მილანთან" სტუმრად გამარჯვებამაც დაადასტურა, "ლაციო" კი კრიზისშია. თუმცა როგორი სიტუაციაც არ უნდა იყოს, თავად დერბი იმხელა მოტივაციის მატარებელია, რომ ფავორიტის ძებნა ფუჭი საქმე იქნება, შანსები 50/50-ზეა.

"რომას" მთავარი პრობლემა ისაა, ითამაშებს თუ არა **ფრანჩესკო ტოტი**, რომელმაც "მილანთან" მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა. მიუხედავად იმისა, რომ **მირკო ვუჩინიჩი** კარგ ფორმაშია და გოლების გატანაც დაიწყო, მას ტოტიზე წინ ვერ დააყენებენ. თუმცა არც იმას გამვრიცხავთ, **ლუჩანო სპალეტიმ** ისინი ერთად დააყენოს ძირითადში, თუკი კაპიტანმა გამოჯანმრთელება მოასწრო. მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, "ჯალოროსის" მწვრთნელი ამგვარი არჩევანის წინაშე არ დადგება. თითქმის გარკვეულია, რომ ტოტი გუნდს ვერც ამ მატჩში დაეხმარება. სიტუაციას ართულებს ისიც, რომ ბოლომდე არ გამოჯანმრთელებულა **სიმონე პერუტაც**, მაგრამ იმის გამო, რომ **ალბერტო აკვილანისაც** ტრავმა აქვს, სპალეტის რისკზე უწევს წასვლა. აკვილანის გარდა, ვერ ითამაშებს ბრაზილიელი გარემარბი **როდრიგო ტადეიც**.

"ლაციალეს" მთავარი ამოცანა კი, სატურნირო მდგომარეობის გამოსწორებასთან ერთად, ტიფოზების თვალში რეაბილიტაციაცაა. ეს ეხება პირადად მწვრთნელ **დელიო როსისაც**, რომელსაც კლუბის პრეზიდენტ **კლაუდიო ლოტიტოსთან** ცნობილი სატელეფონო საუბრის გახმაურების გამო, რეპუტაცია გვარიანად შეელახა. რეალურია, რომ ამის გამო "ლაციოს" ქულებიც დააკლონ. პლუს ამას, როსის წისქვილზე ვერც შედეგები ასხამს წყალს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, დღევანდელ შეხვედრაში გამარჯვებას (სტუმრის სტატუსით "ლაციომ" დერბი ბოლოს 1997 წლის 1 ნოემბერს მოიგო), ან მინიმუმ არწაგებას, "ბიანკოჩელესტეს-თვის" სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

სახეზეა საკადრო პრობლემებიც. ტრავმები აწუხებთ **კრისტიან ლედესმას, სტეფანო მაურის, სებასტიანო სივილიასა** და **სიმონე დელ ნეროს**. დიდია შანსი, რომ ტრავმისგან განკურნება მოასწროს **ვალონ ბეჰრამიმ**, რაც შეეხებათ **ლუჩანო ძაურისა** და **ფაბიო ფირმანის**, მათ ერთმატჩიანი სასჯელები მოიხადეს და რომელიმე მათგანი, შეიძლება, ძირითადშიც ვიხილოთ.

### სავარაუდო შემადგენლობები

**რომა**: დონი, სისინიო (ან პანუჩი), მექსე, ჟუანი, კასეტი, ტონეტო, დე როსი, პისარო, მანსინი, პეროტა, ვუჩინიჩი.

**ლაციო**: ბალოტა, სკალონი, კრიბარი (ან ბეჰრამი), სტენდარდო, ძაური, მუდინგანი, ბარონიო (ან ფირმანი), მუტარელი, მანფრედინი, როკი, პანდევი.

რეპუტაციის საკითხია აქტუალური "სამპდორია"-"მილანის" მატჩშიც. ვერ გეტყვით რა, მაგრამ **კარლო ანჩელოტიმ** რაღაც უნდა შეცვალოს. ბოლო 23 წლის განმავლობაში, "როსონერისთვის" ეს ყველაზე ცუდი სტარტია. უკანასკნელი ორი საშინაო მარცხის შემდეგ, "მილანმა" სკუდეტოს შანსები კიდევ უფრო საეჭვოდ აქცია. თუმცა საკითხავია - არის კი ჩემპიონობა ანჩელოტის სტრატეგიული ამოცანა, თუ ის კვლავ ევრომწვერვალს უმიზნებს? სხვათა შორის, "მარასიზე" წლეულს "მილანს" უკვე მოგებული აქვს. პირველ ტურში, ანჩელოტის შეგირდებმა აქ "ჯენოა" დაამარცხეს (3:0). არა გვგონია, გენუის ამ ორ გუნდს შორის რაიმე განსაკუთრებული სხვაობა იყოს. საერთოდ კი, "მილანს" "სამპდორია" ამ სტადიონზე 2004 წლის 30 ოქტომბრის (1:0) მერე არ დაუმარცხებია.

სიცილიაზე წაგების შემდეგ, გულშემატკივარს შვება "სამპმაც" უნდა მოჰგვაროს. **ვალტერ მაძარისგან** კლუბი გაცილებით მეტს ითხოვს. სხვა საქმეა, არის კი სინიორ ვალტერი ის სპეციალისტი, ამბიციური მიზნების განხორციელება რომ შეძლოს, არადა, პოტენციალი გუნდს ნამდვილად აქვს. დღეს გენუელებს არ ეყოლებათ **ანტონიო კასანო**, რომელმაც "კატანიასთან" მატჩში ტრავმა მიიღო. დაშავებულია ნახევარმცველი **ჯენარო დელვეკიო** და მცველი **პიეტრო აკარდიც**. თავდასხმაში კვლავ **ვინჩენცო მონტელასა** და **კლაუდიო ბელუჩის** ტანდემს უნდა ველოდოთ.

ანჩელოტიმ კი, შეიძლება, უარი თქვას თავის დოგმებზე და **ალბერტო ჯილარდინოსთან** ერთად, წინა ხაზზე **ფილიპო ინძაგიც** გაამწესოს. როგორც ჩანს, ჯერ ვერ შედგება **რონალდოს** მოსალოდნელი დაბრუნება. ტრავმები აქვთ **მასიმო ოდოსა** და **მარეკ იანკულოვსკის**, რაც იმას ნიშნავს, რომ ფლანგებზე კვლავ ვეტერანები - **მარკუშ კაფუ** და **პაოლო მალდინი** განლაგდებიან. თუ კარლეტო უფრო შემტევ მოდელს აირჩევს, მაშინ მალდინის, შეიძლება, **სერჟინიო** ჩაენაცვლოს.

ჩემპიონი და ლიდერი "ჯენოას" მასპინძლობს. **რობერტო მანჩინის** სერიოზული პრობლემა აქვს. გარდა იმისა, რომ ტრავმირებულები არიან **პატრიკ ვიეირა, დეიან სტანკოვიჩი, მარკო მატერაცი** და მეორე გოლკიპერი **ფრანჩესკო ტოლდო**, გუნდს ვერც პირველი მეკარე **ჟულიო სეზარი** დაეხმარება. ბრაზილიელი "პალერმოსთან" მატჩში დაშავდა და ჯერაც წელის ტკივილს უჩივის. ასე რომ, კარში **პაოლო ორლანდონი** ჩადგება. რაც შეეხება "ჯენოას", **ჯან პიერო გასპერინის** ძირითადი შემადგენლობის პრობლემები არ ანუხებს. მეტიც, დისკვალიფიკაციის შემდეგ მწყობრში ბრუნდება ცენტრალური მცველი **ალესანდრო ლუკარელი**.

"იუვენტუსმა" აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ის გაკვეთილი, რაც ამ ათიოდ დღის წინათ "ემპოლიმ" "მილანს" "სან სიროზე" ჩაუტარა (1:0). თუმცა სტატისტიკა "ბებერი ქალბატონის" მხარეზეა. ტოსკანურ კლუბს ტურინში არასოდეს მოუგია. **კლაუდიო რანიერი** კი აცხადებს, რომ "ნაპოლისთან" მატჩში მომხდარი ამბები გუნდმა უკვე დაივიწყა და მზადაა, საქმე ძველებური შემართებით გააგრძელოს. თუმცა მწვრთნელს სერიოზული თავსატეხი აქვს. დისკვალიფიკაციის გამო კვლავ ვერ ითამაშებს **პაველ ნედვედი**, რომელსაც ამავე მიზეზით **ჯორჯო კიელინი, ნიკოლა ლეგრუტალიე** და **ანტონიო ნოჩერინოც** დაემატნენ. რანიერი იძულებულია, **ზდენეკ გრიგერა** დაცვის მარჯვენა ფლანგიდან ცენტრში გადაიყვანოს, ფლანგის კონტროლი კი მთლიანად **ჰასან სალიჰამიჯიჩს** დაავალოს. სიტუაციიდან გამომდინარე, ძირითადში დაბრუნება მოუწევს ახალგაზრდა მცველ **დომენიკო კრიშიტოს**, რომელიც გრიგერას ამოუდგება მხარში. დაცვის მარცხენა ფლანგზე კი კიელინის **კრისტიან მოლინარო** შეცვლის. ნედვედის ადგილს ამჯერზეც **რაფაელე პალადინო** დაიკავებს. რანიერი იმაზეც ფიქრობს, თავდასხმაში **დავიდ ტრეზეგესთან** ერთად **ალესანდრო დელ პიერო** დააყენოს, თუ **ვინჩენცო იაკუინტა**.

პრობლემები აქვს "ემპოლის" მწვრთნელ **ლუიჯი კანისაც**. გარდა იმისა, რომ **რიჩარდ ვანილი, ფრანჩესკო პრატალი** და **დანიელე ადანი** კვლავ ლაზარეთში რჩებიან, ახლა ამ ჯგუფს გამთამაშებელი **ანტონიო ბუშეც** შეუერთდა. სავარაუდოდ, "ემპოლი" ერთი თავდამსხმელით ითამაშებს და ეს **ლუკა საუდატი** იქნება.

გაყოყოჩებული "ნაპოლი" "ფიორენტინას" სტუმრობს. ნეაპოლელებმა "იუვენტუსს" კი მოუგეს, მაგრამ ამას **მარსელო სალაიეტას** დასჯა მოჰყვა. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა, ვიდეოგარჩევის შემდეგ, ურუგვაელი ფორვარდი სიმულანტობაში ამხილა და ორმატჩიანი დისკვალიფიკაციაც გამოუწერა. სალაიეტას გარდა, ტრავმის გამო არ ითამაშებს ნახევარმცველი **მანუელე ბლაზიც**. "ფიორენტინას" კი მხოლოდ გარემარბი **მარიო სანტანა** დააკლდება. არ არის გამორიცხული, **ჩეზარე პრანდელიმ**, ფორვარდ **ჯამპაოლო პაცინის** ნაცვლად, ახალგაზრდა არგენტინელი **ხუან პაბლო ოსვალდო** დააყენოს.

მოკლედ სხვა მატჩებზეც. "კალიარისთან" მატჩში "ატალანტას" ცენტრალური მცველი **მორის კაროციერი** დააკლდება. "პალერმოსთან" გასვლით შეხვედრაში "პარმას" არ ეყოლება ძირითადის ოთხი მოთამაშე, მათ შორის, ფორვარდი **რეჟინალდო** და პორტუგალიელი ვეტერანი **ფერნანდო კოუტუ**. "რევჯინა"-"ლივორნოს" (ამ გუნდებს ჯერ ერთი მატჩიც არ მოუგიათ) მატჩში მასპინძელთა მთავარი დანაკლისი მცველ **მაურიციო ლანძაროს** დისკვალიფიკაციაა, სტუმრებს კი ნახევარდაცვის მთავარი ფიგურა **ჟოზე ვიდიგალი** და მარცხენა მცველი **ჯოვანი პასკუალე** დააკლდებათ. "კატანიასთან" შეხვედრაში "სიენას" რუმინელი ნახევარმცველი **პაულ კოდრეა** არ ეყოლება, სიცილიელთა დანაკლისი კი მცველ **კრისტიან ტერლიცის** ტრავმით შემოიფარგლება. "ტორინო" კი უდინეში სამი წამყვანი მოთამაშის გარეშე ჩავიდა. არ იქნებიან **ჩეზარე ნატალი, ვინჩენცო გრელა** და **სიმონე ბარონე,** ხოლო მასპინძელს ცენტრალური მცველის **კრისტიან საპატას** შეცვლა მოუწევს.

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 9 | 6 | 3 | 0 | 17-5 | 21 |
| 2. რომა | 9 | 5 | 3 | 1 | 20-12 | 18 |
| 3. ფიორენტინა | 9 | 4 | 5 | 0 | 16-7 | 17 |
| 4. იუვენტუსი | 9 | 5 | 2 | 2 | 18-10 | 17 |
| 5. უდინეზე | 9 | 4 | 3 | 2 | 10-11 | 15 |
| 6. ნაპოლი | 9 | 4 | 2 | 3 | 17-11 | 14 |
| 7. ატალანტა | 9 | 3 | 5 | 1 | 11-10 | 14 |
| 8. კატანია | 9 | 3 | 4 | 2 | 8-7 | 13 |
| 9. პალერმო | 9 | 3 | 4 | 2 | 11-11 | 13 |
| 10. ჯენოა | 9 | 3 | 4 | 2 | 8-8 | 13 |
| 11. ტორინო | 9 | 2 | 5 | 2 | 11-11 | 11 |
| 12. სამპდორია | 9 | 3 | 2 | 4 | 8-9 | 11 |
| 13. მილანი | 9 | 2 | 4 | 3 | 13-9 | 10 |
| 14. ლაციო | 9 | 2 | 4 | 3 | 9-12 | 10 |
| 15. პარმა | 9 | 2 | 3 | 4 | 10-16 | 9 |
| 16. კალიარი | 9 | 2 | 2 | 5 | 8-13 | 8 |
| 17. ემპოლი | 9 | 2 | 2 | 5 | 5-11 | 8 |
| 18. სიენა | 9 | 1 | 4 | 4 | 7-12 | 7 |
| 19. რევჯინა | 9 | 0 | 5 | 4 | 5-14 | 5 |
| 20. ლივორნო | 9 | 0 | 2 | 7 | 8-21 | 2 |

ძველი მილანელი დღევანდელ მილანზე

# მხოლოდ პატო საკმარისი არ არის, კარგი ფორვარდებია საჭირო

## ზვონიმირ ბობანი ყოფილ კლუბს აკრიტიკებს

**ზვონიმირ ბობანმა** "მილანი" გააკრიტიკა. ვეტერანი ხორვატი "როსონერიში" 1992-დან 2001 წლამდე თამაშობდა და ამ ხნის განმავლობაში კლუბთან ერთად ოთხი სკუდეტო მოიგო. ბობანს მიაჩნია, რომ "მილანის" გასაძლიერებლად **ალეშანდრე პატო** საკმარისი არ არის. არადა, **კარლო ანჩელოტი** მართლაც დიდ იმედებს ამყარებს ბრაზილიელ ვუნდერკინდზე, რომელსაც ოფიციალურ მატჩებში მონაწილეობის უფლება იანვრიდან ექნება.

*"ძალიან ვეჭვობ, რომ მხოლოდ პატო იქნება საკმარისი "მილანის" კრიზისიდან გამოსაყვანად. იმისთვის, რათა ანჩელოტიმ ყველა ფრონტზე ერთნაირი წარმატებით იბრძოლოს, საჭიროა რომელიმე დიდი ფეხბურთელის შეძენა,"* - აცხადებს ბობანი.

შემდეგ ის განმარტავს, რომ მის დროინდელთან შედარებით, დღევანდელი "მილანის" ფილოსოფია შეცვლილია: *"ახლა კლუბს აბსოლუტურად განსხვავებული ხედვა და მიდგომები აქვს. ადრე, ჩვენთვის ყველა ტურნირი მნიშვნელოვანი იყო, დღეს კი "მილანის" სტრატეგიაში პრიორიტეტი ჩემპიონთა ლიგას უკავია. ძალაუნებურად, საქმისადმი ამგვარი დამოკიდებულება ფეხბურთელებზეც მოქმედებს და სერია A-ში ისინი ნაკლებად იხარჯებიან".*

ამას გარდა, ბობანი თავად ფეხბურთელებსაც გადასწვდა, მართალია, კონკრეტიკის გარეშე, მაგრამ გაშიფრვა ძნელი არ არის: *"ანჩელოტის გუნდში ჰყავს ძველი გვარდია, რომელსაც სასწაულებს ვერ მოსთხოვს. გარდა ამისა, მას არ ჰყავს ფორვარდები, რომელთაც თამაშის შემოტრიალება შეუძლიათ, რომ აღარაფერი ვთქვათ მთლიანად სეზონზე. დღევანდელ "მილანს" ძალიან აკლია იონ დალ ტომასონისა და დანიელე მასაროს სტილის თავდამსხმელები. აგერ, "ინტერს" ხულიო კრუსი ჰყავს, "იუვეს" ვინჩენცო იაკუინტა, "რომას" მირკო ვუჩინიჩი... ვინ არის "მილანში" ასეთი? არავინ"* - ასკვნის ბობანი.

ზვონიმირ ბობანი

სიახლე

# სერია A: უცხოელი მსაჯების დროა!

"ნაპოლი"-"იუვენტუსის" მატჩში მომხდარმა ამბებმა იტალიელები სერიოზულად დააფიქრა იმაზე, ხომ არ იქნება უპრიანი, მნიშვნელოვანი თამაშების განსჯა უცხოელ არბიტრებს მიანდონ. მსგავსი პრაქტიკა ბევრ ქვეყანაშია აპრობირებული და წარმატებითაც მუშაობს. კალჩოს სამყაროში კი ამ პროცესების კატალიზატორად, შეიძლება, **მაურო ბერგონცი** იქცეს, არბიტრი, რომელმაც გახმაურებულ ნეაპოლურ მატჩში ორი არარსებული პენალტი დანიშნა. ამის გამო, ფედერკალჩომ სერია A-სა და B-ს ის ერთი თვით ჩამოაშორა. რა თქმა უნდა, შეცდომებისგან დაზღვეული არავინაა, მაგრამ როცა ეს მატჩის შედეგზე მოქმედებს, ამის აღსაკვეთად რაიმე არგუმენტირებული გამოსავალი უნდა მოიძებნოს.

ყოფილი საერთაშორისო არბიტრი გრაციანო ჩეზარი ამ გამოსავალს სწორედ უცხოელი მსაჯების დასაქმებაში ხედავს: *"ჩვენ აუცილებლად უნდა დავადგეთ ამ გზას. თუმცა არავინ იფიქროს, რომ ამით უნდობლობას გამოვუცხადებთ იტალიელი მსაჯების კურატორ პიერლუიჯი კოლინასა და საერთოდ, ჩვენს მსაჯთა კორპუსს. რომ ვთქვა, ბერგონციმ ორი უხეში შეცდომა დაუშვა-მეთქი, ნიშნავს, რომ არაფერი ვთქვა. მაგრამ საყურადღებოა, რომ ორივე შემთხვევაში, საქმე გვაქვს ფეხბურთელების მიერ არბიტრის მოტყუების მცდელობასთან, რაც მათ წარმატებითაც გამოუვიდათ. ჩვენ ვნახეთ, რომ იმ ეპიზოდებში მოთამაშეებს შორის არანაირი კონტაქტი არ ყოფილა".*

ჩეზარი ეთანხმება დისციპლინარების მიერ ბერგონცისთვის გამოტანილ ვერდიქტს და დასძენს: *"მიმაჩნია, რომ მას მართლაც სჭირდება რაღაც პერიოდი იმისთვის, რომ ყველაფერი გააანალიზოს. როცა მსაჯობას ვიწყებდი, მაშინ მასწავლეს, რომ ადამიანები, რომლებიც უშვებენ შეცდომებს და ამის გამო სხვა ზარალდება, საკადრისად უნდა ისჯებოდნენ. ეს არის ზოგადი ცხოვრებისეული პრინციპი, მაგრამ ცხადია, ამ მხრივ არც სამსაჯო სფერო უნდა იყოს გამონაკლისი".*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. X ტურის წინ

# გამოუცდელი მწვრთნელით რეალის წინააღმდეგ

**დღეს**

ალმერია-სარაგოსა
დეპორტივო-ვალიორკა
ხეტაფე-ბილბაო
ბეტისი-ოსასუნა
რეკრეატივო-რასინგი
ვილიარეალი-ლევანტე
ვალენსია-რეალი
ატლეტიკო-სევილია

**ხვალ**

ესპანიოლი-მურსია
ვალიადოლიდი-ბარსელონა



ოსკარ ფერნანდესი

პრიმერა დივიზიონის მეათე ტურის შეხვედრები დღეს და ხვალ გაიმართება. არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ ყველაზე დიდ ინტერესს "ვალენსიისა" და "რეალის" დაპირისპირება იწვევს. მოგეხსენებათ, "ღამურებმა" გასულ კვირას "სანჩეს პისხუანზე" "სევილიასთან" წააგეს. ამას **კიკე სანჩეს ფლორესის** თანამდებობიდან გადაყენება მოჰყვა. ამ საღამოს მასპინძლებს ის, რა თქმა უნდა, ველარ დამოძღვრავს. ფლორესის დროებითი მემკვიდრის შესახებ ოდნავ მოგვიანებით მოგახსენებთ, მანამდე კი ორივე გუნდის შემადგენლობაში არსებული სიტუაციის შესახებ ვისაუბრებთ.

პრინციპული დაპირისპირების წინ **ბერნდ შუსტერმა** სამედიცინო შტაბიდან სასიამოვნო ამბავი შეიტყო. **ფაბიო კანავარომ** და **გაბრიელ ჰაინცემ** ტრავმები საბოლოოდ მოიშუშეს. ექიმებს უკვე ეჭვი არ ეპარებათ, რომ იტალიელ და არგენტინელ მცველებს მოედანზე 90 წუთის გატარება პრობლემებს არ შეუქმნის. ასე რომ, ყველაფერი უშუალოდ შუსტერის გადასაწყვეტია. თუ გერმანელი სპეციალისტი საჭიროდ ჩათვლის, ფაბიო და გაბრიელი ძირითად შემადგენლობაში იასპარეზებენ.

საკვირაო, არცთუ იოლი შეხვედრის შემდეგ, სამეფო კლუბის დამრიგებელმა მხოლოდ ერთი სრულფასოვანი ვარჯიშის ჩატარება შეძლო. გასაგები მიზეზების გამო, ჰერ ბერნდმა ორშაბათს შეგირდები არ დატვირთა და მათ მხოლოდ მსუბუქი მოსათელი ვარჯიში და ბურთთან მუშაობა აკმარა. სამაგიეროდ, გუშინ დილით მადრიდელმა ვარსკვლავებმა ბევრი ოფლი ღვარეს. მათ შორის იყო **მაჰამადუ დიარაც**, რომელსაც მიკროტრავმის გამო რამდენიმე დღე გაუცდა. შუსტერმა შემადგენლობა რამდენიმე ნაწილად გაყო. **ბაპტიშტას**, დიარას, **ტორესს**, **სოლდადოს**, **ბალბოასა** და **დრენტეს** ოდნავ უფრო ასატანი დატვირთვა ჰქონდათ. აი, **სნეიდერი**, **კანავარო**, ჰაინცე, **რაული**, **პეპე** და **რობინიო** კი თითქმის 40 წუთის განმავლობაში დიდი სისწრაფით და რაც მთავარია გაუჩერებლად დარბოდნენ. მათ მხოლოდ ტემპის რამდენიმე წამით დაგდების უფლება ჰქონდათ. ისიც სულ რაღაც ორჯერ. შუსტერი გუნდის მომზადების ხარისხით კმაყოფილია და სჯერა, რომ მისი ბიჭები "მესტალიაზე" სამი ქულისთვის ბრძოლას შეძლებენ. სტუმრებს სხვა მიზანი არც გააჩნიათ. ნინა ტურისგან განსხვავებით, მოსალოდნელია, რომ რაული კვლავ ძირითად შემადგენლობაში მოხვდება. გამორიცხული არ არის, როტაცია, რომელიმე სხვა მოთამაშეს შეეხოს, თუმცა სპეციალისტები დარწმუნებულები არიან, რომ დედაქალაქელთა თავკაცი დიდად არ გარისკავს და პრინციპულ შეხვედრაში წამყვანი ფეხბურთელების სამსახურზე უარს არ იტყვის. მოკლედ, ვარაუდობენ, რომ როტაციის მსხვერპლი რომელიმე მეორეხარისხოვანი მადრიდელი გახდება.

სამეფო კლუბისგან განსხვავებით, "ვალენსია" ფორსმაჟორულ ატმოსფეროში ემზადება. კიკე სანჩეს ფლორესის გაგდების შემდეგ ახალი მთავარი მწვრთნელი არ დანიშნულა. ამ თანამდებობაზე დროებით **ოსკარ ფერნანდესი** მუშაობს. აღსანიშნავია, რომ 33 წლის სპეციალისტს არათუ პრიმერა დივიზიონში, არამედ სეგუნდაში მუშაობის გამოცდილებაც კი არ გააჩნია. აქამდე ის "ვალენსიის" სათადარიგო გუნდს წვრთნიდა. ეს კოლექტივი კი ტერსერა დივიზიონში ასპარეზობს. ნინა დღეებში განვითარებული მოვლენების გამო, სენიორ ფერნანდესს პირდაპირ მადრიდის "რეალთან" დაჯახება მოუწევს. ვალენსიაში არავინ უარყოფს, რომ გამოუცდელი მწვრთნელის ფაქტორი სერიოზულ საფრთხეს შეიცავს, მაგრამ სხვა გამოსავალი უბრალოდ არ არსებობს. ახალი მწვრთნელის დანიშვნა დროს მოითხოვს. ბუნებრივია, კონტრაქტის გაფორმება ოთხშაბათამდე ვერ მოესწრებოდა. საერთოდ უმწვრთნელოდ მოედანზე გასვლა კიდევ უფრო სახიფათო და ამავდროულად კარიკატურული მოვლენა იქნებოდა. მოკლედ, "ვალენსიაში" დღესდღეობით სწორედ ასეთი ყოფაა და ისინი იძულებულები არიან, ბედს შეეგუონ. სხვათა შორის, პრობლემები მწვრთნელითაც არ ამოინურება. "ღამურების" უბედურებას ისიც ამძიმებს, რომ მასპინძლები "რეალთან" ურთულეს დაპირისპირებას სერიოზული საკადრო სირთულეებით ხვდებიან. თავად განსაჯეთ, ექვსი ფეხბურთელის თამაში ამ დრომდე საეჭვოა. იოლი შესაძლებელია, **მანუელ ფერნანდესი**, **დავიდ ვილია**, **დავიდ სილვა**, **კარლოს მარჩენა**, **სანტიაგო კანისარესი** და **რუბენ ბარახა** არათუ ძირითად შემადგენლობაში, არამედ მატჩის განაცხადშიც კი ვერ მოხვდნენ. ფერნანდესმა სამშაბათს გუნდთან ერთად კი ივარჯიშა, მაგრამ დღის ბოლოს ფეხის ტკივილი იგრძნო და ექიმების დახმარება დასჭირდა. დავიდ ვილიასთან დაკავშირებით ოპტიმისტური პროგნოზები გამოითქმოდა, მაგრამ გუშინ ჩატარებულმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ "ღამურების" საუკეთესო ფორვარდს ტრავმა ბოლომდე ჯერაც არ მოუშუშებია. დავიდ სილვას ქუსლის მყესი აქვს დაჭიმული და მცირე დატვირთვის შემდეგ ფეხი სასტიკად სტკივდება. მარჩენა "სევილიასთან" ავადსახსენებელ ორთაბრძოლაში დაშავდა და სრულყოფილად ერთხელაც ვერ ივარჯიშა. ბარახასა და კანისარესს რაც შეეხებათ, ორივე მათგანს ბარძაყის კუნთი აქვს დაჭიმული. მართალია, ტრავმა ძალიან უმნიშვნელოა, მაგრამ ექიმები შიშობენ, რომ მათი თამაში იოლად მოსარჩენი ტრავმის სერიოზულად გართულების საფრთხეს შეიცავს. მოკლედ, მასპინძლებს მართლაც მძიმე გამოცდის ჩაბარება მოუწევთ. როგორც გითხარით, მადრიდელები არ მალავენ, რომ "მესტალიაზე" სამი ქულისთვის ჩადიან...

ოთხშაბათს, კიდევ ერთი ძალიან საინტერესო მატჩი შედგება. "ვისენტე კალდერონზე" აღმავლობის გზაზე მდგარი "ატლეტიკო" "სევილიას" უმასპინძლებს. ზედიზედ მოპოვებულმა გამარჯვებებმა **ხავიერ აგირესა** და მის შეგირდებს მადა გაუძლიერა. მიუხედავად იმისა, რომ "სევილია" გაცილებით უფრო ძლიერი და თავმოყვარე მეტოქეა, ვიდრე "ლევანტე", გუნდი, რომელიც წინა ტურში დაამარცხეს, დედაქალაქელები მაინც შთამბეჭდავ გამარჯვებაზე ფიქრობენ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მათ უბრალო მოგება და მხოლოდ სამი ქულა არ დააკმაყოფილებთ. აგირეს, შესაძლოა, **გეორგიოს სეიტარიდისი** დაუბრუნდეს. ბერძენმა ნახევარმცველმა ბარძაყის ტრავმა მოიშუშა. მას დაახლოებით ათი დღე გაუცდა. გამოჯანმრთელდა **მიგელიც**. ესპანელ ნახევარმცველს ტერფის ტკივილი აწუხებდა და ნორმალურად სიარულსაც ვერ ახერხებდა.

ანდალუსიელები მადრიდში საუკეთესო შემადგენლობით ჩავიდნენ. მათ მხოლოდ **ჟულიენ ესკუდე** აკლიათ. მას საზარდულის ტრავმა გაურთულდა. ექიმები მიიჩნევენ, რომ ფრანგ ფეხბურთელს კიდევ 20 დღით მოუწევს სამედიცინო კლინიკაში სიარული და ექიმების რეკომენდაციების გათვალისწინება. "სევილიას" სხვა დანაკლისი არ აქვს. წინა ტურში მიღწეული შთამბეჭდავი გამარჯვება სტუმრებს ოპტიმიზმს ულრმავებს. პრეზიდენტი **ხოსე მარია დელ ნიდო** დარწმუნებულია, რომ **ხუანდე რამოსის** "ტოტენჰემში" წასვლა მის გუნდს მნიშვნელოვნად არ დააზარალებს და "სევილია" მომავალშიც უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებს.

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 9 | 7 | 1 | 1 | 20-6 | 22 |
| 2. ვილიარეალი | 9 | 6 | 0 | 3 | 15-13 | 18 |
| 3. ვალენსია | 9 | 6 | 0 | 3 | 14-14 | 18 |
| 4. ბარსელონა | 8 | 5 | 2 | 1 | 17-7 | 17 |
| 5. ესპანიოლი | 9 | 5 | 2 | 2 | 14-11 | 17 |
| 6. ატლეტიკო | 9 | 5 | 2 | 2 | 16-7 | 15 |
| 7. მალიორკა | 9 | 4 | 3 | 2 | 17-12 | 15 |
| 8. რასინგი | 9 | 4 | 3 | 2 | 8-8 | 15 |
| 9. სარაგოსა | 9 | 4 | 2 | 3 | 15-14 | 14 |
| 10. სევილია | 8 | 4 | 0 | 4 | 16-10 | 12 |
| 11. მურსია | 9 | 3 | 3 | 3 | 8-8 | 12 |
| 12. ალმერია | 8 | 3 | 2 | 3 | 10-8 | 11 |
| 13. ბილბაო | 9 | 2 | 4 | 3 | 7-10 | 10 |
| 14. ოსასუნა | 8 | 2 | 3 | 3 | 10-11 | 9 |
| 15. ბეტისი | 9 | 1 | 5 | 3 | 8-9 | 8 |
| 16. რეკრეატივო | 9 | 2 | 2 | 5 | 7-13 | 8 |
| 17. დეპორტივო | 9 | 2 | 2 | 5 | 7-15 | 8 |
| 18. ვალიადოლიდი | 9 | 1 | 3 | 5 | 11-19 | 6 |
| 19. ხეტაფე | 9 | 1 | 2 | 6 | 7-15 | 5 |
| 20. ლევანტე | 9 | 0 | 1 | 8 | 3-20 | 1 |

## შუსტერი ფრედს ითხოვს

"რეალის" თავკაცი **ბერნდ შუსტერი** ლიონელი **ფრედის** შეძენას ითხოვს. "დიარიო სპორტის" ცნობით, გერმანელმა სპეციალისტმა ეს ბიჭი იანვრის უმთავრეს სატრანსფერო სამიზნედ გამოაცხადა. მადრიდელთა სპორტულ დირექტორ **პედია მიატოვიჩს** ფრედის კანდიდატურა არ მოსწონს. აგვისტოს ფანჯრისას მან შუსტერის მიერ არჩეული კიდევ ერთი ფორვარდი, სარაგოსელი **დიეგო მილიტო** დაიწუნა. ზაფხულში მწვრთნელმა დირექტორს დაუთმო, მაგრამ ამჯერად უკან დახევას აღარ აპირებს. მას ფრედი სჭირდება. შუსტერი დარწმუნებულია, რომ ის "რეალის" შეტევის ხაზს საგრძნობლად გააძლიერებს. მოსალოდნელი ტრანსფერის ფინანსური დეტალები არ გახმაურებულა.

ამასობაში, სამეფო კლუბის ორ ფეხბურთელს "ბენფიკამ" დაადგა თვალი. ლისაბონელთა თავკაც **ხოსე ანტონიო კამაჩოს** ძლიერი თავდამსხმელები სჭირდება. მას **რობერტო სოლდადო** და **ჟულიო ბაპტიშტა** სურს. "ბენფიკა" მზადაა, სოლდადო გამოისყიდოს, ბაპტიშტასთან კი ექვსთვიანი საიჯარო კონტრაქტის გაფორმება იგეგმება. მადრიდელები კიდევ ერთი ფეხბურთელის განათხოვრებას ცდილობენ. ისინი ეძებენ ახალგაზრდა ნახევარმცველით, **ხავიერ ბალბოათი** დაინტერესებულ კლუბებს.

მუნდიალი

# ბრაზილია 2014, მზადება დაიწყო

### ბრაზილიაში სჯერათ, რომ შვიდი წლის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონობაში ვერავინ შეეცილებათ...

**2014 წლის მუნდიალი ბრაზილიაში გაიმართება. გუშინ, ციურიხში, ფიფამ ოფიციალურად გამოაცხადა ის, რაც საზოგადოებამ დიდი ხნით ადრე იცოდა. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონებმა ტურნირს მხოლოდ ერთხელ, შორეულ 1950 წელს უმასპინძლეს. სამშაბათს, ფიფას აღმასკომზე ბრაზილია ერთადერთი კანდიდატი იყო. მან მმართველი ორგანოს ერთსულოვანი მხარდაჭერა მოიპოვა.**

მუნდიალების კონტინენტიდან კონტინენტზე მოგზაურობა რომ არა, ბრაზილიას შეიძლება ამჯერადაც არ ღირსებოდა ტურნირის მასპინძლობა. იმთავითვე ცნობილი იყო, რომ 2014 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი სამხრეთ ამერიკაში უნდა გამართულიყო. კონტინენტის სხვა ქვეყნებმა არ იაქტიურეს. ფიფასაც ისღა დარჩენოდა, ერთადერთი კანდიდატისათვის დაეჭირა მხარი. ფიფას პრეზიდენტ **ზეპ ბლატერს** არ დაუმალავს, რომ კონკურენციის არარსებობა ერთ-ერთი მიზეზი იყო, რის გამოც ე.წ. მუნდიალების როტაციაზე უარი თქვეს. ამიერიდან ტურნირს ის ქვეყანა უმასპინძლებს, რომელიც საამისოდ ყველაზე უკეთ იქნება მზად. კონტინენტურ კუთვნილებას მნიშვნელობა აღარ მიენიჭება. ევროპელ მიმომხილველებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ 2018 წლის მუნდიალს ბებერი კონტინენტი უმასპინძლებს. ისინი ყველაზე რეალურ კანდიდატად ინგლისს თვლიან.

მაგრამ, მოდით, ისევ 2014 წელს დავუბრუნდეთ. ბრაზილიის პრეზიდენტმა **ლუის ინასიო ლულა და სილვამ** მიმომხილველებს განუცხადა: *"ფეხბურთი ჩვენთვის მარტო სპორტი არ არის. ის უფრო მეტია. ფეხბურთი ვნებაა, ბრაზილიელთა ეროვნული ვნება."* ბლატერმა გახარებულ პოლიტიკოსს შეახსენა, რომ მის ქვეყანას არა მხოლოდ დიდი პატივი, არამედ უზარმაზარი პასუხისმგებლობაც დაეკისრა. ბლატერმა იმედი გამოთქვა, რომ ბრაზილია ტურნირს შთამბეჭდავად უმასპინძლებს. ამის შემდეგ ფიფას ბოსმა ქვეყნის პრეზიდენტს მსოფლიოს ჩემპიონის ოქროს თასი გადასცა. ლულამ თასი აღმართა და თქვა: *"საშინაო დავალების შესრულებას დიდი სიამაყით შევუდგებით. თუ ყველაფერი კარგად ჩაივლის, დარწმუნებული ვარ, კიდევ ერთხელ დავიპყრობთ მსოფლიოს."*

ბრაზილიის დასახელების დღეს ქალთა 2011 წლის მუნდიალის მასპინძლის ვინაობაც გაირკვა. ტურნირი გერმანიაში გაიმართება. გერმანელებმა კანადელებს სძლიეს, მაგრამ ამ ამბისთვის თითქმის არავის მიუქცევია ყურადღება. მთავარი ბრაზილიელთა გამარჯვება იყო. გამოცხადებისთანავე დიდი ქალაქების ქუჩები მოზეიმე ადამიანებით აივსო. 50 მთამსვლელმა რიო დე ჟანეიროს შუგარ ლოუფის მთაზე ნაკრების უზარმაზარი მაისურა დაკიდა. მასზე ეწერა: *"2014 წლის მსოფლიოს თასი ჩვენია."* განახლებული "მარაკანის" მინდორზე ასევე უზარმაზარი პლაკატი გაშალეს: *"მარაკანა ჩვენია, ისევე, როგორც 2014 წლის მსოფლიოს თასი."*

ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **რიკარდო ტეიშეირამ** დაარწმუნა საერთაშორისო საზოგადოება, რომ 2014 წლის ტურნირი უმაღლესი სტანდარტების შესაბამისად ჩაივლის: *"ჩვენ ცივილიზებული ერი ვართ, ერი, რომელსაც აღორძინების ხანა უდგას. ყველაფერი გაგვაჩნია საიმისოდ, რომ დაკისრებულ მოვალეობას სათანადოდ გავართვათ თავი."* თასის გადაცემის ცერემონიალს ბრაზილიის ნაკრების თავკაცი **კარლოს დუნგა**, ბრაზილიური ფეხბურთის ლეგენდა **რომარიო** და სახელგანთქმული მწერალი **პაულო კოელიო** დაესწრნენ. აი, კოელიოს კომენტარი: *"ოცნებების განხორციელებას, რა თქმა უნდა, ბევრი შრომა სჭირდება. ბრაზილია შრომისთვის მზადაა. მსოფლიოს ჩემპიონატის ჩვენს ქვეყანაში ჩატარება ერთგვარი რისკია. თასი აუცილებლად უნდა მოვიპოვოთ. არ დაგვავიწყდეს, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ორ ნაკრებს ქომაგობენ, თავიანთ ეროვნულ ნაკრებსა და ბრაზილიას. ამდენი გულშემატკივრის განწილების უფლება არ გვაქვს."*

ბრაზილიელმა ექსპერტებმა უმალ გადაიანგარიშეს, რომ სტადიონებისა და ინფრასტრუქტურის ნესრიგში მოსაყვანად მინიმუმ 1 მილიარდი დოლარი იქნება საჭირო, თუმცა სამუშაოთა დაწყების შემდეგ ბიუჯეტი შეიძლება საგრძნობლად გაიზარდოს.

კარლოს დუნგა, რიკარდო ტეიშეირა, რომარიო, პაულო კოელიო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი დანიშვნა

# ვალენსია ვარსკვლავ მწვრთნელს ეძებს

## ლიპი, მოურინიო, დელ ბოსკე, კაპელო, სკოლარი, თუ დეშამი?

**ხუან ბაუტისტა სოლერი** ცაიტნოტის პირობებში მუშაობს. კვირას, გვიან ღამით "ვალენსიის" პრეზიდენტმა მთავარი მწვრთნელის, კიკე სანჩეს ფლორესის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ საზოგადოებას ინფორმაცია პირადად მიაწოდა. იმის გათვალისწინებით, რომ ყოფილი დამრიგებლის გუნდიდან გაშვება "სევილიასთან" დიდი ანგარიშით განცდილი მარცხით იყო ინსპირირებული, სენიორ სოლერს სხვა სპეციალისტთან წინასწარი შეთანხმება არ ჰქონდა მიღწეული. ამიტომ, პრეზიდენტს ახლა უწევს ამ საკითხზე დაჩქარებული ტემპით მუშაობა.

სავარაუდო კანდიდატები: კაპელო, დელ ბოსკე, სკოლარი, მოურინიო, ლიპი და დეშამი

ვალენსიელებმა გადაწყვიტეს, რომ ჯიბეზე ხელი გაიკრან და "მესტალიაზე" მსოფლიო დონის მწვრთნელი მიიყვანონ. გუშინ ესპანურ მედიაში რამდენიმე სახელგანთქმულ სპეციალისტზე საუბრობდნენ. სწორედ ისეთებზე, რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას უმაღლესი რანგის ჯილდოები აქვს მოპოვებული. მოარული ხმების თანახმად, კანდიდატად განიხილებიან: **მარჩელო ლიპი, ჟოზე მოურინიო, ფაბიო კაპელო, ლუიშ ფელიპე სკოლარი, დიდიე დეშამი** და **ვისენტე დელ ბოსკე**.

ლიპიმ საკლუბო კარიერის განმავლობაში არაერთი სკუდეტო და ჩემპიონთა თასი დაისაკუთრა. გასული წლის ზაფხულში კი სამწვრთნელო ოლიმპზე ავიდა. დონ მარჩელომ იტალიის ნაკრებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონატზე გაიმარჯვა. ესპანელი ჟურნალისტების თქმით, ამ უდიდესი მიღწევის გამო, ლიპი ბაუტისტა სოლერის საქმიან დღიურში პირველ ნომრად არის ჩაწერილი. ისიც გახმაურდა, რომ აპენინელის კანდიდატურას "ვალენსიის" დირექტორთა აბსოლუტური უმრავლესობა უჭერს მხარს. მოარული ხმების თანახმად, ლიპიმ ესპანელთა წინადადება გულისყურით მოისმინა, თუმცა შემდეგ საკუთარი პირობები წამოაყენა. მწვრთნელს აინტერესებს, მომავალი სეზონისთვის "ვალენსიის" ხელმძღვანელობა რამდენი მილიონი ევროს დახარჯვას აპირებს იმისთვის, რომ სერიოზული გუნდის ჩამოყალიბება შეძლოს. იმ შემთხვევაში, თუ სინიორ მარჩელო ამბიციური კოლექტივის შექმნისთვის აუცილებელი ღონისძიებების გატარების პირობასა და რაც მთავარია, გარანტიას ვერ მიიღებს, ის, რა თქმა უნდა, მუშაობას არ დაიწყებს.

ჟოზე მოურინიოს შესახებ პირნეულ პრესას მწირი ინფორმაცია აქვს. ჯერჯერობით მათთვის უცნობია, მიმდინარეობს თუ არა ინტენსიური მოლაპარაკებები პორტუგალიელ სპეციალისტთან. ზოგადად კი ყველამ იცის, რომ სეუ ჟოზე "ვალენსიას" ყოველთვის დიდად აფასებდა. ერთხელ მან ისიც კი თქვა, "მესტალიაზე" ოდესმე სიამოვნებით ვიმუშავებდიო. "ჩელსის" ყოფილმა დამრიგებელმა ეს განცხადება თითქოს ხუმრობით გააკეთა, მაგრამ "ღამურებთან" დაახლოებული ჟურნალისტები ფიქრობენ, რომ მოურინიოს ეს სიტყვები ბაუტისტა სოლერმა მყისვე გაიხსენა და ხელქვეითებს აქტიური მოქმედებებისკენ მოუწოდა.

ფაბიო კაპელო ესპანეთში ჯერაც არ დავიწყებიათ. გავრცელებული ჭორების თანახმად, ვალენსიელებმა თანამშრომლობა მას ჯერ კიდევ მაშინ შესთავაზეს, როცა მადრიდის "რეალში" **ბერნდ შუსტერის** მისვლა ოფიციალურად დადასტურდა. კაპელომ მაშინ წინადადება არ მიიღო, მაგრამ "დიარიო სპორტს" თუ დავუჯერებთ, ამჯერად ინტენსიური კონსულტაციები მიმდინარეობს და გამორიცხული არ არის, დონ ფაბიომ პოზიცია შეიცვალოს.

ლუიშ ფელიპე სკოლარი კიდევ ერთი რეალური კანდიდატია. თუ არჩევანი მასზე შეჩერდება, ხუან ბაუტისტა სოლერი პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციას ბრაზილიელი მწვრთნელის გამოსასყიდად საკმაოდ სოლიდურ კომპენსაციას გადაუხდის.

საუბრობენ დიდიე დეშამის არცთუ მოკრძალებულ შანსებზე. ფრანგ სპეციალისტს დირექტორატში სერიოზული მხარდაჭერა აქვს. მათ არ ავიწყდებათ, რომ დეშამი "ვალენსიის" ღირსებას იცავდა და თავდაუზოგავი თამაშით საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა.

დაბოლოს, ვისენტე დელ ბოსკე. კაცი, რომელმაც მადრიდის "რეალს" რომანტიკული, ენითაუწერელი ლამაზი ფეხბურთი დაუბრუნა. სენიორ დელ ბოსკე ერთადერთი ადამიანია, რომელმაც პრესაში გაჩენილ ვარაუდებზე მოსაზრება ღიად დააფიქსირა. ის ამბობს, რომ თუ საქმე საქმეზე მიდგება და რეალურ წინადადებას მიიღებს, მუშაობას სიამოვნებით დაიწყებს.

გუშინ საღამოს, ხუან ბაუტისტა სოლერმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. ჟურნალისტებს იმედი ჰქონდათ, რომ გუნდის ახალი მწვრთნელის დანიშვნასთან დაკავშირებით ახალ ინფორმაციას შეიტყობდნენ, თუმცა პრეზიდენტმა მხოლოდ კიკე სანჩეს ფლორესის გადაყენებაზე ისაუბრა: *"ჩვენთვის ეს არ იყო იოლად მისაღები გადაწყვეტილება. სენიორ ფლორესმა აქ მუშაობის განმავლობაში კეთილსინდისიერად იღვაწა და ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო. "ვალენსიის" განვითარებისა და წინსვლის მიზნით, საჭიროდ ჩავთვალეთ, რომ მას გულწრფელი მადლობით დავმშვიდობებოდით. ვიმეორებ, ამ ნაბიჯის გადადგმა ძალიან გავიჭირდა, მაგრამ მიგვაჩნდა და მიგვაჩნია, რომ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ. იმედია, კიკე სანჩეს ფლორესი კარგად დაისვენებს და ახალ სამსახურს მალე იშოვნის. მისი კლასის სპეციალისტს ღირსეული კლუბის გამონახვა არ გაუჭირდება. "ვალენსიის" მწვრთნელს რაც შეეხება, მსურს მოგახსენოთ, რომ ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით ვმუშაობთ, თუმცა დღეს კონკრეტულს ვერაფერს მოგახსენებთ. ვფიქრობ, უახლოეს დღეებში ყველაფერს მოეფინება ნათელი. დარწმუნებული გახლავართ, რომ "მესტალიაზე" მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი იმუშავებს. მისი შენახვა საკმაოდ ძვირი დაჯდება, მაგრამ დადგა დრო, ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ ისეთივე მიზნები დავისახოთ, როგორსაც "ბარსელონა", "რეალი", "მანჩესტერი", მილანი" და ევროპის სხვა გრანდები ისახავენ."*

ბაიერნი

# პოდოლსკი: ბაიერნიდან არ გავიქცევი

## პოლდის მიუნხენში დარჩენა და მასზე გაცემული ავანსების გამართლება სურს

**სანამ გერმანიის ნაკრები ჩეხეთს უმასპინძლებდა (0:3), "ბაიერნის" მთავარმა მწვრთნელმა ოტმარ ჰიტცფელდმა ლუკას პოდოლსკიზე ისაუბრა და თქვა, იმედი მაქვს, რომ ჩეხეთთან აუცილებლად ითამაშებს და ფურორს მოახდენსო. მწვრთნელის სიტყვები არ ჰგავდა თავდაჯერებული ადამიანის განცხადებას, რომელიც თავისი შეგირდის შესაძლებლობებში დარწმუნებულია. ეს უფრო ფეხბურთელისკენ მიმართული დამამშვიდებელი სიტყვები იყო, თითქოს ჰიტცფელდს ამით პოდოლსკისთვის მხარზე ხელის დარტყმა და ნუგეშისცემა უნდოდა. პოდოლსკი დღესდღეობით გერმანული საფეხბურთო სამყაროს მტკივნეული თემაა, რადგან ფეხბურთელი, რომელმაც თავის დროზე "კიოლნში", მერე კი მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზე მართლაც ფურორი მოახდინა და მუნდიალის საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშე გახდა, დღეს ვეღარაფერს ახერხებს და იმ ძველი "პრინც პოლდის" აჩრდილია.**

"ბაიერნის" გულშემატკივრებს თითქმის გადაეწურათ იმის იმედი, რომ 22 წლის თავდამსხმელი რეკორდმაისტერის ძირითად შემადგენლობაში ადგილს დაიმკვიდრებს და იმედების გამართლებას დაიწყებს, მაგრამ თვითონ ლუკასი ოპტიმისტად რჩება. არადა, მიუნხენურ გიგანტს **მიროსლავ კლოზე** და **ლუკა ტონი** ჰყავს, ამ კომპანიაში კი, თუ რაიმე სასწაული არ მოხდა, **პოლდის** შანსი არ აქვს, თუნდაც იმიტომ, რომ კლოზესა და ტონის დუეტზე ბუნდესლიგაში უკვე 16 (8-8) გოლი მოდის.

*"ლუკასს უბრალოდ არ გაუმართლა,"* - ამბობს **ჰიტცფელდი**, - მაგრამ ცხადია, რომ მასაც ესმის, უიღბლობაზე საუბარი ცოტა არ იყოს, სასაცილოდ რომ ჟღერს. "გენერალი", რა თქმა უნდა, იმას გულისხმობს, რომ პოდოლსკის ტონისა და კლოზესთვის კონკურენციის გაწევა არ შეუძლია, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ "ბაიერნს" გასულ სეზონში ეს ფორვარდები არ ჰყავდა, ლუკასმა კი ვერც **როი მაკაის** და **კლაუდიო პისაროს** კომპანიაში შეძლო თავის გამოჩენა. რა გამოდის? იმისათვის, რომ პოდოლსკიმ სასტარტოში ადგილი დაიმკვიდროს, რეკორდმაისტერს ძალიან ცუდი ფორვარდები უნდა ჰყავდეს? ბავარიელებს უბრალოდ არ სურთ იმის აღიარება, რომ ლუკასი კლოზეზე და ტონიზე გაცილებით დაბლა დგას და რომ ის მაკაისა და პისაროსაც ძალიან ჩამოუვარდებოდა. ცხადია, ჰიტცფელდი ვერ იტყვის, რომ პოდოლსკი არ ვარგა, რადგან ეს ჯერ ერთი, იმის აღიარება გამოვა, რომ "ბაიერნის" მენეჯერი **ული ჰაინესი** მწარედ შეცდა, როცა ეს ფეხბურთელი გადაიბირა, მეორე მხრივ კი, ასეთი განცხადების გაკეთების შემთხვევაში, თვითონ პოლდი დადგება ძალიან ცუდ ხასიათზე და ვინიცობაა, ხელიც კი ჩაიქნიოს.

*"პოდოლსკიმ მოთმინება უნდა იქონიოს!"* - ეს ჰიტცფელდის მეორე განცხადებაა, რაზეც გერმანელ მიმომხილველებს ასევე გულიანად ეცინებათ, რადგან უკვე მეორე წელია, რაც ერთი და იგივე მეორდება - სადამდე უნდა ითმინოს ფეხბურთელმა? არადა, ლუკასს გერმანიის ნაკრებში შესანიშნავი მაჩვენებელი აქვს: 23 გოლი 41 მატჩში. მიუხედავად იმისა, რომ პოლდის გასაკრიტიკებლად უკვე ჰაინესი და **კარლს-ჰაინც რუმენიგეც** ხშირად იცლიან, თვითონ ლუკასს ჯერ კიდევ სჯერა, რომ მას "ბაიერნში" დიდი მომავალი აქვს. ექსპერტებმა მას არაერთხელ ურჩიეს კლუბის გამოცვლა და აღნიშნეს, თუ მიუნხენელებს მისი გაყიდვა არ უნდა, არენდით მაინც გაუშვანო, მაგრამ პოდოლსკი "ბაიერნიდან" წასვლას კატეგორიულად გამორიცხავს. *"მიუნხენურ გუნდთან კონტრაქტი კიდევ ორწლინადნახევრით მაკავშირებს და არ მინდა, რომ ეს ხელშეკრულება ვადამდე ადრე განყდეს. არსად წასვლაზე არ ვფიქრობ, აქ დავრჩები და დავამტკიცებ, რომ ჩემზე გაცემული ავანსების გამართლება შემიძლია. თანაც, ფეხბურთი ისეთი სპორტია, სადაც ვითარება ელვის სისწრაფით იცვლება ხოლმე და ვინ იცის, რა მოხდება,"* - ამბობს ლუკასი. ფაქტი ის გახლავთ, რომ ჯერჯერობით, ერთადერთი, რისი იმედიც მას შეიძლება ჰქონდეს, არის ის, რომ ან კლოზემ მიიღოს ტრავმა, ანაც ტონიმ.

ლუკას პოდოლსკი

მიუნხენური კლუბის ქომაგებს დღესდღეობით ტონიზე და კლოზეზე აბოდებთ, მათ პოდოლსკი ნაკლებად ახსოვთ. ლუკასი კი იმის გამო ჩივის, რომ მწვრთნელი მას მხოლოდ შეცვლებზე ათამაშებს და რომ 10-15 წუთი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ თავდამსხმელმა თავისი შესაძლებლობები დაამტკიცოს. *"მაგრამ მე ისიც ვიცი, რომ ჩვენ ორი უმაღლესი კლასის გოლეადორი გვყავს, რომლებიც შესანიშნავ ფორმაში არიან. შესაბამისად, ჩემთვის გასაგებია, რომ ჰიტცფელდს არ აქვს იმის საბაბი, რომ მე რომელიმე მათგანის ნაცვლად ძირითად შემადგენლობაში მათამაშოს,"* - ამბობს პოლდი.

*"არ მგონია, რომ პოდოლსკი დაიკარგოს და არც იმას ვფიქრობ, რომ ლუკასი გერმანული ფეხბურთის ტკივილია. ის შესანიშნავი პიროვნებაა და მიუხედავად იმისა, რომ თამაში ცოტა ხნით უწევს ხოლმე, მაინც სიმშვიდეს ინარჩუნებს,"* - ეს კი ჰიტცფელდის სიტყვებია, რომელიც იქვე ამატებს, იმას კი ვაღიარებ, რომ პოდოლსკი მისთვის არასახარბიელო სიტუაციაშიაო.

სამაგიეროდ, გერმანიის ნაკრების თავკაცი **იოახიმ ლიოვი** პოლდის შესაძლებლობებში 100 პროცენტით დარწმუნებულია. *"მას ძალიან ძლიერი დარტყმა აქვს, სწრაფად იღებს გადაწყვეტილებებს. ერთი სიტყვით, ლუკასს თავისი პლუსები აქვს,"* - ამბობს ბუნდესმწვრთნელი.

...და როგორია პოდოლსკის ბოლო სიტყვა? *"ჯერ მხოლოდ 22 წლის ვარ და ცხადია, რომ არ ვარ ბოლომდე ჩამოყალიბებული თავდამსხმელი. ასე რომ, მოთმინება უნდა ვიქონიო."* - სადამდე მოითმენს, საკითხავი აი, ეს არის...

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა ვარსკვლავი

# მეფე გარეუბნიდან

## ქარიმ ბენზემამ დროს გაასწრო...

**ის ჯერ 20 წლის არაა, მაგრამ უკვე სამჯერ გახდა საფრანგეთის ჩემპიონი და ნლეულს გოლეადორთა რბოლის ულაპარაკო ფავორიტიც. იმ დროს, როცა მისი თანატოლი უსაქმური და აგრესიული ბავშვები ვიტრინებს ამსხვრევენ და ავტომანქანებს ნვავენ, ის ქვეყნის მთავარ გუნდში გამოდის და გოლებსაც იტანს. ამასთან, ზინედინ ზიდანის დიდებაზე ოცნებობს...**

**ქარიმ ბენზემას** მშობლები ალჟირის მიყრუებულ პროვინციაში, სოფლად ცხოვრობდნენ. თავად მომავალი ფეხბურთელი კი ლიონის გარეუბანში დაიბადა. ის გაიზარდა საკმაოდ მძიმე პირობებში. როცა ადამიანს 5 და და 4 ძმა ჰყავს, ნებისმიერი სახლი ვიწროდ მოეჩვენება, განსაკუთრებით ემიგრანტთა რაიონში. ყველაფერ "სიკეთესთან" ერთად, ასეთ უბნებში უმუშევრობა და კრიმინალი მძვინვარებს. ფეხბურთელის პირველი მწვრთნელი **სერჟ პატრიარკა** იხსენებს: "*თავიდანვე ვიცოდი, რომ ქარიმი შორს წავიდოდა თავისი ნიჭით. ამისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ თავი შორს დაეჭირა იმ გარემოსგან, სადაც დაიბადა და გაიზარდა.*"

ბენზემა ძალიან მალე გადაიზარდა რაიონული გუნდის დონისთვის და უკვე 9 ნლიდან "ლიონის" სკოლაში მოხვდა. კვირაში 5 დღე ის წმინდა ბრუნოს სკოლაში დადიოდა სასწავლებლად. "*მას საშუალო ნიშნები ჰქონდა*, - იხსენებს **ალენ რინაუდო**, კლუბის წარმომადგენელი, ვისაც ქარიმისთვის თვალ-ყურის დევნება ევალებოდა, - *მაგრამ თვალშისაცემი იყო მისი შრომისმოყვარეობა და დისციპლინირებულობა*".

15 ნლის ასაკში მას მცირე დეპრესია ჰქონდა ოჯახთან განშორების გამო, საფეხბურთო ინტერნატიდან ხომ მხოლოდ შაბათ-კვირას ათავისუფლებდნენ. 17 ნლისა ის სარეზერვო გუნდის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა, გაიტანა რა 30 გოლზე მეტი სეზონის განმავლობაში. ტალანტი დაუფიქრებლად მიინვიეს საფრანგეთის იუნიორთა ნაკრებში. იმ გუნდის მწვრთნელმა **ფილიპ ბერჟერომ** ფეხბურთელში დიდი პოტენციალი უმალ ამოიცნო.

2004 ნლის დეკემბერში მოთამაშე "ლიონის" ძირითად გუნდში გადაიყვანეს. თანაგუნდელებთან ადაპტაციაში ქარიმს დაეხმარა ის, რომ გუნდში კომპიუტერული თამაშების ჩემპიონი შეიქმნა. "ლიონში" მისი დებიუტი შედგა 2005 ნლის იანვარში. საკლუბო ტრადიციის თანახმად, პირველი თამაშის წინ, გასახდელში, ქარიმმა საკუთარი თავი წარადგინა თანაგუნდელების წინაშე. მას უსმენდნენ **ერიკ აბიდალი, ჯოვანი ელბერი, სილვენ ვილტორი, მიკაელ ესიენი, ფლორან მალუდა** და **მამადუ დიარა**. ამბობენ, რომ ვიღაცას ჩაეცინა, რაზეც ბენზემამ მიუგო, გირჩევნიათ, გაჩუმდეთ, მე თქვენს შემცვლელად მოვედიო. ალბათ, თავად ქარიმს არ ეჯერა, რომ მისი სიტყვები ასე მალე ახდებოდა. სადებიუტო თამაშში ჩვენმა გმირმა საგოლე პასი მისცა **ბრიან ბერგუნიოს**, ვინც იმ მომენტში მასზე დიდ იმედებს იძლეოდა. მაშინ გუნდის ძირითადში დამკვიდრება მათი ასაკის ფეხბურთელებისთვის შეუძლებელი იყო, რადგან მათი კონკურენტები **გოვუ**, ვილტორი, ელბერი და **ნილმარი** იყვნენ. **პოლ ლე გენის** შემდეგ, სასტარტო შემადგენლობაში მოხვედრა არც **ჟერერ ულიეს** დროს გაადვილებულა, რადგან ამ უკანასკნელმა გუნდში მოიყვანა ნორვეგიელი **კარეუ** და ბრაზილიელი **ფრედი**. გუნდში კი ისევ რჩებოდნენ ვილტორი და გოვუ. ასეთი დიდი კონკურენციის მიუხედავადაც კი, ბენზემამ შეძლო და 2005\06-ის სეზონში საგოლე ანგარიში გახსნა. მატჩის უკანასკნელ წუთზე მან "აიაჩოს" მეკარე დაამწუხრა. ბევრად უფრო შთამბეჭდავი აღმოჩნდა ქარიმის დებიუტი ევროთასებზე. შეცვლაზე შესულმა პირველივე ჩემპიონთალიგურ მატჩში შეძლო გოლის გატანა "რუსენბორგის" კარში.

გასულ სეზონში ულიე უკვე ენდობოდა ფეხბურთელს და მისი იმედები ნამდვილად არ გაცრუებულა. სიმბოლურია, რომ შარშან პირველი და უკანასკნელი გოლები "ლიონისთვის" სწორედ მან გაიტანა. ამ ორ გოლს შორის კი უამრავი რამ მოხდა. ცამეტი ტურის შემდეგ ფეხბურთელს უკვე 4 გოლი ჰქონდა გატანილი, რამაც მას ეროვნული გუნდისკენ პირველად გაუღო კარი. **რაიმონ დომენეკმა** ის საბერძნეთთან ამხანაგური მატჩისთვის გამოიძახა. კარგად მიდიოდა საქმეები ევროთასებზეც, პატარა ვარსკვლავმა "სტიაუასა" და კიევის "დინამოს" თითო გოლი გაუტანა. მაგრამ, მოულოდნელად, წარმატებულად დაწყებული სეზონი 2 თვით შეწყდა: "ვალანსიენთან" მატჩის დებიუტშივე მან ბარძაყი დაიზიანა და მინდორს ჩამოშორდა. ის ბოლომდე გამოჯანმრთელებული არც იყო, როცა ტრავმამ თავი ხელახლა იჩინა და თითქმის სეზონის ბოლომდე უსაქმოდ დატოვა. ჩემპიონატის უკანასკნელი ტურისთვის ქარიმი მწყობრში ჩადგა და თავისი მე-5 გოლის გატანაც მოახერხა.

წლეულს, მარტში მისი დებიუტი შედგა "სამფროვანთა" რიგებში. ეს იყო მატჩი ავსტრიის წინააღმდეგ. მინდორზე გამოჩენიდან 9 წუთში ბენზემამ დებიუტი გოლით აღნიშნა. ამ სეზონის დაწყებამდე "ლიონის" ახალმა მწვრთნელმა **ალენ პერენმა** გასაგებად მიუთითა ყველას, რომ იგი სწორედ ამ მოთამაშეში ხედავდა გუნდის შეტევების მთავარ დამაგვირგვინებელს. დიდი მონდომებითა და თანაგუნდელთა აქტიური დახმარების წყალობით, საწყის 11 ტურში მან 11 გოლის გატანა მოახერხა და უახლოეს მდევარს, ბორდოელ **დავიდ ბეიონს** მთელი სამი ბურთით გაუსწრო. მისი ასეთი პროგრესი ევროპის სუპერმდიდარ კლუბებს მადას უღვიძებს. მისი შეძენის სურვილი დიდი ხანია დააფიქსირეს "ჩელსიმ ", "მილანმა", "არსენალმა", "რეალმა" და "ინტერმა". კლუბი საკუთარი ვარსკვლავის გასხვისების წინადადებებს აღფრთოვანებული ნამდვილად არ შეხვედრია და ამიტომ მყიდველთათვის ერთობ მაღალი ფასი დაასახელა - 60 მილიონი ევრო. რაც, დაგვეთანხმეთ, რომ ფეხბურთელის უდავოდ დიდი ტალანტის

ქარიმ ბენზემა

გათვალისწინებითაც, საკმაოზე მაღალი ფასია. **ჟან-მიშელ ოლას** გათვლით, ამ თანხამ პოტენციური მყიდველები უნდა დააფრთხოს. პერენი თვლის, რომ ამ ეტაპზე ბენზემას წასვლა გუნდიდან დაუშვებელი იქნება თავად ფეხბურთელის ინტერესებიდან გამომდინარე: "*ის, რომ მან ფარერის კუნძულების ნაკრებს ორი გოლი გაუტანა, სულაც არ ნიშნავს, რომ ეს დონე უკვე დამაკმაყოფილებელია, მას ძალიან ბევრი აქვს სასწავლი,*" - ამბობს ის. აღსანიშნავია, რომ თავად ფეხბურთელი მშვიდად უყურებს მოვლენებს და სატრანსფერო სპეკულაციებზე კომენტარს არ აკეთებს. ფეხბურთის სპეციალისტები ცდილობენ, რომ მასში წინა თაობის ვარსკვლავებისთვის დამახასიათებელი ნიშნები იპოვნონ. საბოლოოდ მივიდნენ დასკვნამდე, რომ ბენზემას პოზიციის შერჩევის ისეთივე ნიჭი აქვს, როგორც **ტრეზეგეს**, სწრაფია, როგორც **ანრი** და მეურვის ერთი მოძრაობით მშრალზე დატოვება და გათავისუფლება არანაკლებ ეხერხება, ვიდრე **ანელკას**. "*შეეშვით ქარიმის ვინმესთან შედარებას, დამიჯერეთ, ქარიმ ბენზემას ეპოქა მალე დადგება*", - განაცხადა "ლიონის", "ბარსელონისა" და ბრაზილიის ნაკრების ყოფილმა ფორვარდმა **სონი ანდერსონმა**.

მწვრთნელი

# რამოსს ყოფილი მენეჯერები უჩივიან

## ესპანელ მწვრთნელს ფულის გადახდა დაავიწყდა

**ხუანდე რამოსმა** "ტოტენჰემის" მესვეურთა მომაჯადოვებელ და მაცდუნებელ წინადადებას ვერ გაუძლო და "სევილია" დაუყოვნებლივ დატოვა. ესპანელმა სპეციალისტმა ანდალუსიურ კლუბში ნაკისრი ვალდებულებების ბოლომდე შესრულებას ნლიურ შვიდ მილიონ ევროდ ლონდონში მუშაობა ამჯობინა. რა თქმა უნდა, სამსახურის არჩევა მისი ექსკლუზიური უფლებაა, თუმცა გუშინ ცნობილი გახდა, რომ "ტოტენჰემში" გადაბარგებით ამ კაცმა ყოფილი მენეჯერების უფლებები შებღალა. საქმე ის არის, რომ თუ სენიორ რამოსი "სევილიაში" კონტრაქტით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში დარჩებოდა, ეს ხალხი გარკვეულ გასამრჯელოს მიიღებდა. მართალია, კონკრეტული ციფრი არ სახელდება, მაგრამ გვარწმუნებენ, რომ სოლიდურ ფულზეა საუბარი. უფრო გასარკვევი რომ იყოს, ბატონი ხუანდეს "სევილიაში" მთავარი მწვრთნელის პოსტზე დანიშვნა სწორედ ხსენებული ორი მენეჯერის გულმოდგინე მუშაობის შედეგი გახლდათ. მაშინ მხარეებმა კონტრაქტი შეადგინეს და ჩაწერეს, რომ ანდალუსიელები მწვრთნელის გარდა ყოველთვიურ ხელფასს აგენტებსაც გადაუხდიდნენ. იმ შემთხვევაში, თუ კლუბი მას ნაადრევად გაუწყვიტავდა ხელშეკრულებას, კომპენსაციას მწვრთნელის გარდა მენეჯერებიც მიიღებდნენ. ხოლო, თუ წასვლას თავად რამოსი ისურვებდა, გუნდის შეფები მენეჯერების მიმართ ყოველგვარ პასუხისმგებლობას მოიხსნიდნენ.

"დიარიო მარკას" ცნობით, მოტყუებულ საფეხბურთო აგენტებს "ტოტენჰემის" ამჟამინდელ დამრიგებელთან დამატებითი კონტრაქტი ჰქონდათ გაფორმებული, რომლის მიხედვითაც, რამოსს ვალდებულება დაეკისრა, ანდალუსიიდან პირადი სურვილით, კერძოდ კი სამუშაო პირობების გაუმჯობესების მიზნით წასვლის შემთხვევაში, მენეჯერებს საკუთარი ანგარიშიდან გადაუხადოს კომპენსაცია. გაირკვა, რომ ღრმადატივცემულ რამოსს ეს ხელშეკრულება საერთოდ არ გახსენებია და შესაბამისად, ფულის გადახდა აზრადაც არ მოსვლია. უყურადღებობა ესპანელ სპეციალისტს შესაძლოა, ძალიან ძვირად დაუჯდეს. დაჩაგრული აგენტები ფიფაში ჩივილს აპირებენ.

ხუანდე რამოსი და გუსტავო პოიეტი

არმინ ფეე

ექსპერტის მოსაზრება

# დიდება ზეწოლასაც გულისხმობს

## ლოთარ მათეუსი შტუტგარტის ასპარეზობას ეხმაურება...

**ლოთარ მათეუსი "კიკერისთვის" ხშირად წერს ხოლმე მცირე სტატიებს. მისი მორიგი წერილი გერმანიის ჩემპიონ "შტუტგარტს" მიეძღვნა. წარსულის დიდი ვარსკვლავი აღფრთოვანებულია არმინ ფეეს მუშაობით, ვინც კლუბის ერთგულია. ის ურჩევს მწვრთნელს, რომ მოთმინებით მოეკიდოს მარიო გომესს. ასევე მსჯელობს ევროთასებზე მოთამაშე გერმანული კლუბების ფსიქოლოგიაზე.**

კომპლიმენტი უნდა ვუთხრა **არმინ ფეეს**. დიახ, თქვენ არაფერი შეგშლიათ, სწორედ "შტუტგარტის" მწვრთნელს. იმ სიტუაციაში, რომელშიც ეს სპეციალისტი მოექცა, ძალიან ადვილია, რომ ყველაფერი სხვას გადააბრალო, მით უფრო მოთამაშეებს და რეალური პრობლემები დამალო უცხო თვალისგან. ახლა ხომ არმინს ყველა აკრიტიკებს, ვისაც ეს არ ეზარება. ხანდახან ისიც საუბრობს ხოლმე პრობლემებზე, მაგრამ ყოველთვის ძალიან კონკრეტულად. მიუხედავად ყველაფრისა, ის ყოველთვის რჩება საკუთარი საფეხბურთო ფილოსოფიის ერთგული. არავითარი პანიკა მის მოქმედებებში არ ჩანს. "შტუტგარტის" დაცემა ისეთივე ადვილი გასათვლელი იყო, როგორც ბევრი სხვა "დროებითი გრანდის".

22 ნლის **მარიო გომესი**, ვინც შარშანდელი სეზონი ძალიან ძლიერად ჩაატარა და, მოულოდნელად, **დიეგოსა** და **ბერნდ შნაიდერს** აჯობა სეზონის საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულისთვის ბრძოლაში, ახლა უმძიმესი ნნეხის ქვეშაა. მას სპონსორების რიგი უდგას - ეს მოსალოდნელიც იყო. ერთგან მას "მოკრძალებულ" საღამოზე ეპატიჟებიან, მეორეგან - ასევე მცირე სარეკლამო კლიპის გადაღებაზე, რომელიც, რა თქმა უნდა, დროში ინელება... იმის გამო, რომ მარიო ასეთი ღონისძიებებიდან მალე "იპარება" ხოლმე, ავტოგრაფების რომელიმე ფანატიკოსი კოლექციონერი მას საყვედურს ეუბნება... ფეხბურთელს თავი მაინც მოკრძალებულად უჭირავს და ინტერვიუზე უარს არავის ეუბნება. **იოახიმ ლიოვი** მას ჩეხეთთან 0:3-ზე წაგებულ მატჩში თამაშის გადასარჩენად მოედანზე უშვებს... ყველაფერი ამის გათვალისწინებით, მარიოს შესანიშნავი სეზონი აქვს. მაგრამ... როცა რაღაცას კარგავ, აუცილებლად სამაგიეროს პოულობ. ახლა ის თითქოს დაწყეული წრეშია მოქცეული. ზუსტად ისე, როგორც მე ვიყავი 1979 ნელს, მოინხენგლადბახში.

შტუტგარტელი ფეხბურთელების უმრავლესობამ არ იცის, თუ როგორ უნდა დარჩეს მწვერვალზე დიდი ხნით. სწორედ ამიტომაა კრიზისი ასე თვალშისაცემი. "ბაიერნისგან" განსხვავებით, ყველა კლუბი იმისთვისაა განწირული, რომ ცხრილში ზემოთ და ქვემოთ იმოძრაოს. მათ შორის, "ვერდერიცა" და "შალკეც".

ასე რომ, ოსტატობა ხანდახან შეიძლება წყეულაც იყოს. თუკი "ვერდერსა" და "შალკეს" დრო და დრო არ მიეცემოდათ შანსი, რომ ყოფილიყვნენ პირველები, ისინი ადვილად შეეგუებოდნენ მესამეობასა და მეოთხეობას.და ყველაფერი კარგად იქნებოდა. თუმცა, ამ შემთხვევაში, ფეხბურთელებს საკუთარ ძალებში ეჭვი შეეპარებოდათ.

დააკვირდით, თუკი რომელიმე ასეთი კლუბის ფეხბურთელი გრანდისგან წინადადებას იღებს, უმალ ორჯერ უფრო დაბალ დონეზე თამაშს იწყებს, ვიდრე შეუძლია. როგორც ეს **ფერნანდო მეირას** დაემართა, როდესაც მისით დაინტერესება "იუვენტუსმა" დაადასტურა. სულის სიღრმეში ფეხბურთელები შიშობენ, რომ ამ დონეზე სათამაშოდ მზად არ არიან. არადა, ფერნანდოს მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მცველად ვთვლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პორტრეტი

# დორტმუნდის ახალი კერპი

## თავისი გექჰემი გუნდესლიგასაც ჰყავს და მას მლადენ პეტრიჩი ჰქვია...

იმ დროს, როცა დორტმუნდის "ბორუსიის" ლიდერი **ალექსანდერ ფრაი** დიდი ხნის ტრავმირებულია, ვესტფალიური კლუბის გულშემატკივრებს ახალი კერპი გამოუჩნდათ: ხორვატი თავდამსხმელი **მლადენ პეტრიჩი** BVB-ს ქომაგთა მრავალრიცხოვანი არმიის უსაყვარლესი ფეხბურთელი გახდა. საკმარისია, ვთქვათ, რომ "ბორუსიის" ფანები პეტრიჩს ლეგენდარულ **ლოთარ ემერიხს** ადარებენ, რომ მივხვდებით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ეს მოთამაშე დორტმუნდული კლუბისთვის. რით ახსენებს პეტრიჩი მათ ემერიხს? პირველ რიგში იმით, რომ დიდი "ემას" დარად, მასაც ძალიან "უყვარს" დუბლის შესრულება. პეტრიჩს მიმდინარე სეზონში 6 გოლი აქვს გატანილი - სამ თამაშში დუბლი შეასრულა. 1965/66 წლების სეზონში ლეგენდარული ემერიხის ანგარიშზე 8 დუბლი იყო...

"დორტმუნდისთვის" მიმდინარე სეზონი ძალიან მძიმედ დაიწყო, რასაც ის მოჰყვა, რომ კლუბმა მედიას ბოიკოტი გამოუცხადა. ეს იმის ბრალი გახლდათ, რომ გერმანული პრესა BVB-ს მწვრთნელსა და მთელ გუნდს მაგრად აკრიტიკებდა. მაგრამ პეტრიჩი ერთადერთი ფეხბურთელი იყო, რომელსაც კრიტიკის ქარცეცხლი არ გაჰკარებია.

26 წლის თავდამსხმელი ვესტფალიელებმა ზაფხულში "ბაზელიდან" 3.5 მილიონი ევროს სანაცვლოდ შეიძინეს. მის სიძლიერეზე ის ფაქტი მეტყველებდა, რომ გასულ სეზონში გატანილი 19 გოლით (25 თამაშში) მლადენი შვეიცარიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. დღესდღეობით ვესტფალიური პრესა პეტრიჩს ყველაზე მეტად სწყალობს. მაგალითად, "ვესტფალიშე ალგემაინე ცაითუნგი" წერს: *"პეტრიჩი ის კაცია, ვისაც ნებისმიერ დროს არაფრიდან გოლის გატანა და თამაშის მოგება შეუძლია."* სტატისტიკაც სწორედ ამას მოწმობს: შვეიცარიის ჩემპიონატში მლადენს 180 თამაშში 67 გოლი აქვს გატანილი, ხორვატიის ნაკრებისთვის კი უკვე 6 გოლის გატანა მოასწრო.

დიდი ხანი არაა, რაც "ბორუსიაში" თამაშობს, მაგრამ მცირე ჩავარდნა უკვე ჰქონდა, თუმცა ეს უფრო მწვრთნელს უნდა დავაბრალოთ, ვიდრე ფეხბურთელს, რადგან BVB-ს თავკაცი **თომას დოლი** მას თავიდან გამთამაშებლის პოზიციაზე, თავდამსხმელების უკან ათამაშებდა. მიუხედავად იმისა, რომ პეტრიჩი მანამდე მეტწილად თავდამსხმელის პოზიციაზე ასპარეზობდა, "დორტმუნდში" ის მაინც ფლეიმეიქერის სტატუსით გადავიდა. *"როცა მითხრეს, რომ "ბორუსიას" გამთამაშებლის რანგში ვჭირდებოდი, მივუგე, პრობლემა არ არის, ამ როლსაც ოლად ავითვისებ-მეთქი,"* - ამბობს მლადენი. მაგრამ პეტრიჩის ფლეიმეიქერობამ ძალიან ცუდი შედეგი გამოიღო და დოლიც იძულებული გახდა, რომ ხორვატი ფეხბურთელი თავდასხმაში გადაეყვანა. მწვრთნელის ამ გადაწყვეტილებამ შედეგი მალე გამოიღო, ფეხბურთელმა გოლების გატანა დაიწყო და გაუმჯობესდა მისი შეფასებებიც.

*"მას შესანიშნავი ტექნიკა აქვს, ასეთი ტექნიკური ფეხბურთელი ძალიან იშვიათად მინახავს,"* - ამბობს დოლი და იქვე ამატებს, - *"სწორედ ამის გამო ვფიქრობდი, რომ გამთამაშებლის პოზიციაზე გაამართლებდა."* ჟურნალისტები კი ყველაზე მეტად იმის გამო აქებენ, რომ მოედანზე ყოფნის დროს ძალიან მონდომებული, ზომიერად აგრესიული და თავისუფალია. პეტრიჩით ხორვატიის ნაკრების დამრიგებელი **სლავენ ბილიჩიც** აღფრთოვანებულია: *"მლადენი ჩემთვის მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია და ვისაც ეს არ სჯერა, მის შესაძლებლობებში ძალიან მალე დარწმუნდება."*

მაგრამ მლადენს მხოლოდ კარგი თამაშისთვის როდი აქებენ? საფეხბურთო საზოგადოება მას პიროვნული თვისებებითა და ვიზუალური მხარითაც გამოარჩევს. მაგალითად, როცა გაირკვა, რომ "ბორუსიაში" გადადიოდა, გაზეთმა "ბილდმა" მას "ბუნდესლიგის ბექჰემი" უწოდა. აღსანიშნავია, რომ შარშანწინ პეტრიჩი შვეიცარიის ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელთაგან ყველაზე სიმპათიურ მოთამაშედ დაასახელეს. საყოველთაო ყურადღების ცენტრშია მისი მეუღლე **დესპინაც,** ბერძენი გოგონა, რომელთანაც მლადენმა ოთხწლიანი ურთიერთობის შემდეგ, ცოტა ხნის წინათ იქორწინა. დორტმუნდში მის ქორწილსაც დიდი ამბები მოჰყვა, რადგან პეტრიჩმა საზეიმო ცერემონიალი "ჰამბურგთან" უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ დაგეგმა.

მლადენ პეტრიჩი

პეტრიჩი "ბაზელში" პუბლიკის უსაყვარლესი ფეხბურთელი იყო და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ამ მხრივ, დორტმუნდში მის შვეიცარიელ თანაგუნდელ ფრაის ძალიან სერიოზული კონკურენტი გამოუჩნდა. ყოველ შემთხვევაში, BVB-ს ქომაგები დღეს, პირველ რიგში, სწორედ მლადენის მაისურებს ყიდულობენ და სხვათა შორის, ამასთან დაკავშირებით, ცოტა ხნის წინათ საკმაოდ საინტერესო ფაქტი მოხდა. პეტრიჩმა "ბორუსიაში" თავიდან მე-11 ნომერი მიიღო. მერე კი, როცა "დორტმუნდმა" **სტივენ პიენაარი** გაასხვისა, რომელსაც ათნომრიანი მაისურა ჰქონდა, მლადენმა მე-10 ნომერი მოითხოვა, რაზეც უარი, რა თქმა უნდა, არ უთხრეს. და რაკი პეტრიჩის ათიათასობით 11-ნომრიანი მაისურა უკვე გაყიდული იყო, "ბორუსიის" შეფებმა ასეთი გადაწყვეტილება მიიღეს: ნებისმიერ ფანს, რომელსაც 11-ნომრიანი მაისურა ჰქონდა ნაყიდი, შეეძლო კლუბის მაღაზიაში მისულიყო და 10-ნომრიანზე უფასოდ გადაეცვალა.

მლადენს შეეძლო, შვეიცარიის ნაკრებში ეთამაშა, რადგან წარმოშობით ხორვატი 3 წლიდან შვეიცარიაში ცხოვრობს და ამ ქვეყნის მოქალაქეა, მაგრამ მან თქვა, ჩემი ფესვები ხორვატიაშია და შესაბამისად, სხვა ქვეყნის სახელით არ ვიასპარეზებო. *"შვეიცარია ჩემი მეორე სამშობლოა, მაგრამ ხორვატიაზე უარს ვერ ვიტყოდი. თანაც, დღეს ხორვატიას უფრო ძლიერი ნაკრები ჰყავს, ვიდრე შვეიცარიას,"* - ამბობს მლადენი.

გასულ სეზონში "ბაზელის" გულშემატკივრებმა პეტრიჩი მეკარის რანგშიც იხილეს. უეფას თასის მატჩში "ნანსისთან", მსაჯმა შვეიცარიელებს მეკარე გაუძევა და რაკი "ბაზელს" სამივე ცვლილება გამოყენებული ჰქონდა, კარში მიდგრის ერთ-ერთი მოთამაშე უნდა ჩამდგარიყო და მაშინ ეს პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე სწორედ მლადენმა აიღო: კარში ჩადგა და ერთ მომენტში ისეთი დარტყმა მოიგერია, **ჯან-ლუიჯი ბუფონსაც** რომ შეშურდებოდა.

...ორიოდ კვირის წინათ, მან "ლევერკუზენს" ულამაზესი გოლი გაუტანა, როცა **ფლორიან კრინგეს** ჩაწოდებას გამოეხმაურა და "ფარმაცევტების" მეკარე **რენე ადლერი** 14 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით დაამწუხრა. საფინალო სასტვენის შემდეგ დოლმა თქვა, ეს მინიმუმ თვის საუკეთესო გოლი გახდებაო.

"ბორუსიის" ქომაგები ახლა მოუთმენლად ელიან ფრაის გამოჯანმრთელებას და ტანში ჟრუანტელი უვლით, როცა წარმოიდგენენ, რომ BVB-ს თავდასხმაში ფრაი-პეტრიჩის დუეტი ეყოლება...

**გოტფრიდ ლენცი**

ალექსანდერ ფრაი

ტრავმები

# ფრაის დაბრუნება 2008 წლამდე გადაიდო

## სამაგიეროდ, ლაზარეთიდან სეგასტიან კელი ბრუნდება...

**დორტმუნდის "ბორუსიისა" და გერმანიის ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი სებასტიან კელი თავს ძალიან კარგად გრძნობს. იმდენად კარგად, რომ დიდი შანსია, 27 წლის შუახაზელმა მომავალ შაბათს ჰანოვერში ითამაშოს. შეგახსენებთ, რომ კელს ხანგრძლივი იძულებითი პაუზა ჰქონდა: მან 14 თვის წინათ მუხლის უმძიმესი ტრავმა მიიღო და მას მერე ბუნდესლიგაში მხოლოდ 7 თამაში ჩაატარა. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ შაბათს კელი ვესტფალიური კლუბის განაცხადში იქნება.**

**მისი თანაგუნდელი ალექსანდერ ფრაი კი ამაზე ვერც იოცნებებს. 28 წლის შვეიცარიელი თავდამსხმელის გამოჯანმრთელებას ზაფხულს აქეთ მთელი დორტმუნდი მოუთმენლად ელოდება, რადგან ფრაი გუნდის ლიდერი და უმთავრესი ფიგურაა, რაც მან გასულ სეზონში დააამტკიცა, როცა 16 გოლს და 5 საგოლე პასს მოუყარა თავი. "ბორუსიის" სამედიცინო შტაბი დანანებით იუწყება, რომ ახალ წლამდე ფრაის მოედანზე გასვლა ფაქტობრივად შეუძლებელია. *"თითქმის გარკვეულია, რომ ალექსი პირველ წრეში ველარ იასპარეზებს, რაც ჩვენთვის შოკისმომგვრელი ინფორმაციაა,"* - აცხადებს "დორტმუნდის" სპორტული დირექტორი მიხაელ ცორკი.**

**ამ დღეებში ფრაის შვეიცარიელი ექიმები კიდევ ერთხელ შეამოწმებენ და გაარკვევენ, სჭირდება თუ არა მას კიდევ ერთი ოპერაცია. იმის შანსი, რომ ფრაი ქირურგიულ ჩარევას გადაურჩეს, დიდია, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი, ის ახალ წლამდე სრული დატვირთვით ვარჯიშს ალბათ ვერ განაახლებს. შვეიცარიელმა თავდამსხმელმა ოპერაცია 15 მაისს გაიკეთა და ექიმები ამბობდნენ, 4 თვეში ფეხზე დადგებაო. დადგა კიდეც და 14 აგვისტოს ამხანაგურ შეხვედრაში 90 წუთი ითამაშა, მაგრამ მეორე დღეს, ვარჯიშზე, ისევ დაშავდა...**

## ბეკენბაუერი ქალებს მიხედავს

ფიფას ოფიციალური განცხადებით, გერმანული ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა **ფრანც ბეკენბაუერი** მსოფლიო ფეხბურთის ასოციაციის იმ კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტად დაინიშნა, რომელიც ქალთა ფეხბურთს აკონტროლებს. *"რამდენიც არ უნდა გვეძებნა, ამ თანამდებობისთვის კაზერ-ფრანც ზე უკეთეს კანდიდატს მაინც ვერ ვიპოვნიდით,"* - აცხადებს ფიფას პრეზიდენტი **ზეპ ბლატერი.** ფიფას აღმასრულებელმა კომიტეტმა ციურიხში იმ ქვეყნის ვინაობა გაარკვია, რომელიც 2011 წელს ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატს უნდა უმასპინძლოს. ეს ქვეყანა გერმანიაა. შეგახსენებთ, რომ ბოლო ორი მუნდიალი ამ ქვეყნის ნაკრებმა მოიგო.

## ლონდონელთა იტალიური სამიზნე

"არსენალი" "ლაციოს" მცველ **ლორენცო დე სილვესტრის** აკვირდება. იტალიის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელს რომაული კონტრაქტი ივნისში უმთავრდება. ის ხელშეკრულების გაგრძელებას არ ჩქარობს. "მეთოფფეების" გარდა, დე სილვესტრის იტალიურმა გრანდებმა - "მილანმა", "ინტერმა" და "იუვენტუსმა" დაადგეს თვალი. ყმაწვილს სარფიანი ტრანსფერის კარგი შანსი აქვს. "ლაციოს" კი მისი გაყიდვა იანვრის ფანჯრის გახსნისთანავე მოუწევს. წინაალმდეგ შემთხვევაში, კომპენსაციის სახით, ერთ ცენტსაც კი ვერ მიიღებს.

## მანჩესტერი ნორვეგიელებით ძლიერდება

"მანჩესტერ იუნაიტედმა", შეიძლება, ორი ნორვეგიელი ფეხბურთელი შეიძინოს. "დეილი მირორის" ცნობით, "ეშმაკები" 15 წლის ვოლერენგელი თავდამსხმელით **ჯოშუა კინგითა** და 20 წლის რუსენბორგელი გარემარბით, **პერ შელბრედით** დაინტერესდნენ. ეს უკანასკნელი ნორვეგიის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელია. მან იტალიის, გერმანიისა და ჰოლანდიის წამყვანი კლუბების ყურადღებაც მიიპყრო. "მენიუს" ერთი ნორვეგიელი ლეგიონერი უკვე ჰყავს. ესაა 17 წლის ნახევარმცველი **მაგნუს ეიკრი,** რომელიც აგრეთვე ახალგაზრდული ნაკრების წევრია.

## ინტერმა სისოკო დაადასტურა

"ინტერმა" დაადასტურა, რომ ლივერპულელი **მომო სისოკოს** შეძენა სურს. იანვრის ტრანსფერებისას "ნერაძური" ინგლისელებს გარიგებას შესთავაზებს. მილანელებს **პატრიკ ვიეირა** დაუშავდათ. მან ორთვიანი შვებულება გამოიწერა. სისოკო ფრანგი ვარსკვლავის შემცვლელად სჭირდებათ. "ინტერი" ჩელსელ **ფრენკ ლემპარდსაც** სიამოვნებით გაუფორმებდა კონტრაქტს, მაგრამ მალელი ლეგიონერის ტრანსფერი გაცილებით იოლია. იტალიელებს იმედი აქვთ, რომ მერსისაიდელები რეალურ ფასს დაასახელებენ.

ბარსელონა

# ძამბროტამ რონალდინიოს კბილი გაპკრა

## გაუჩოს სათადარიგოთა სკამი მოუხდებოდა

**ჯანლუკა ძამბროტამ** ერთთვიანი პაუზის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაიბრუნა. მისი გაუჩინარების მიზეზი ტრავმა გახლდათ. იტალიელმა "ალმერიასთან" საიმედოდ ითამაშა. გუშინ კი გამოცდილმა მცველმა ფრიად უჩვეულო თემას სახელდახელო პრესკონფერენცია მიუძღვნა. ძამბროტამ კოლეგიალობის გვერდის ავლით, თანაგუნდელ **რონალდინიოზე** საკმაოდ თამამად ისაუბრა: *"გაუჩოს გარშემო მუდამ დიდი დაძაბულობაა. თითქოს, მას ღმერთად მიჩნევენ და თადარიგში დასმას ვერ უბედავენ. არადა, ჩემი აზრით, რონალდინიოსთვის სათადარიგოთა სკამი ძალიან სასარგებლო იქნება. რაიკაარდის ადგილზე რომ ვიყო, ამ გადაწყვეტილებას დიდი ხნის წინ მივიღებდი. აშკარად წაადგება, რადგან მეტი მოტივაცია მიეცემა, ცოტა გაბრაზდება და გაცილებით უფრო დიდი შემართებით მოემზადება."*

დაგვეთანხმებით, მართლაც ძალიან თამამი განცხადებაა. ადამიანი იფიქრებს, რომ ძამბროტასა და რონალდინიოს ურთიერთობა დაეძაბებათ. შესაძლოა, მართლაც ასე მოხდეს, მაგრამ თავად ჯანლუკა გვარწმუნებს, რომ თანაგუნდელთან ცუდი დამოკიდებულება არ აკავშირებს. პირიქით, იტალიელს თუ დავუჯერებთ, გაუჩო მისი მეგობარია.

კარლსრუე

# მილერი საოპერაციოა

## იაშვილის გუნდის კარს გამოუცდელი მეკარე დაიცავს...

"კარლსრუეს" ხელმძღვანელები და გულშემატკივრები შოკში არიან: გუნდის მეკარე **მარკუს მილერმა** გასულ შაბათს, როსტოკის "ჰანზასთან" შეხვედრაში უმძიმესი ტრავმა მიიღო. გუშინ, ბადენური კლუბის სამედიცინო შტაბმა დაადასტურა, რომ 25 წლის მილერს ჯვარედინი მყესები გაუწყდა და სასწრაფოდ ოპერაციას საჭიროებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მილერი მინიმუმ 5 თვის განმავლობაში ველარ ითამაშებს. მისი არყოფნა "კარლსრუესთვის" უდიდესი დანაკლისი იქნება, რადგან ის, რომ **ალექსანდრე იაშვილს** გუნდმა სეზონი სენსაციურად დაიწყო და 11 ტურის შემდეგ მე-4 ადგილზეა, პირველ რიგში, სწორედ მილერის დამსახურებაა, რომელიც შესანიშნავ ფორმაში იყო. თავად განსაჯეთ, მილერის საშუალო შეფასება ("კიკერის" ვერსიით) 2.68 ბალია, რითაც ეს გოლკიპერი ბუნდესლიგური კლუბების ყველა მეკარეზე წინ დგას.

*"თავს საშინლად ვგრძნობ, ბოლო მომენტამდე მქონდა იმის იმედი, რომ ეს დიაგნოზი არ დადასტურდებოდა. რას ვიზამ, ეს ფეხბურთია და ტრავმა ფეხბურთის განუყოფელი ნაწილია,"* - ნუხს მილერი. გუშინ, გერმანიის თასის მეორე ეტაპის შეხვედრაში (ვოლფსბურგთან) "კარლსრუეს" კარი მეორე მეკარე **ჟან-ფრანსუა კორნეტცკიმ** დაიცვა. ეს უკანასკნელი ფრანგია და ასევე 25 წლის გახლავთ, ოღონდ მილერისგან განსხვავებით, ძალიან გამოუცდელია. გასულ სეზონში მან KSC-ს კარი (მეორე ბუნდესლიგაში) მხოლოდ 4-ჯერ დაიცვა, ელიტაში კი ჯერ არასდროს უთამაშია. ბადენური კლუბის მთავარი მწვრთნელის, **ედე ბეკერის** თქმით, გუნდი ზამთარში ახალი მეკარის ძებნას არ დაიწყებს და ხსენებულ გოლკიპერს ენდობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

# ᲐᲛᲡᲢᲔᲠᲓᲐᲛᲘ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲖᲔ ᲛᲐᲦᲚᲐᲐ

ᲑᲝᲘᲡᲐ ᲛᲔᲢᲝᲥᲔᲡ ᲣᲤᲐᲠᲔᲑᲡ — ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲙᲝᲢᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲔᲕᲠᲝᲗᲐᲡᲘ. I ᲡᲐᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲝ ᲔᲢᲐ�პᲘ

30 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ Ს�პᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔ

**ᲐᲖᲝᲢᲘ–ᲐᲛᲡᲢᲔᲠᲓᲐᲛᲘ 77:87**

19:25, 20:25, 17:18, 21:19

| ᲐᲖᲝᲢᲘ | ᲬᲗ | Ქ | Მ | Პ | Ჩ | Დ | Ფ | Ш |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ᲒᲐᲛᲘᲠᲔᲚᲘᲫᲔ | 40 | 10 | 7 | 9 | 2 | 0 | 4 | 1 |
| ᲑᲝᲘᲡᲐ | 18 | 8 | 5 | 1 | 1 | 0 | 5 | 0 |
| ᲠᲘᲕᲔᲠᲡᲘ | 40 | 33 | 7 | 1 | 0 | 0 | 3 | 1 |
| ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲝᲕᲘ | 38 | 10 | 5 | 2 | 1 | 0 | 4 | 0 |
| ᲤᲔᲠᲒᲘᲣᲡᲝᲜᲘ | 14 | 0 | 3 | 0 | 0 | 1 | 2 | 0 |
| ᲑᲐᲑᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ | 13 | 7 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 |
| ᲓᲘᲓᲘᲐ | 15 | 6 | 1 | 1 | 1 | 0 | 2 | 0 |
| ᲚᲔᲫᲐᲕᲐ | 22 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 4 | 1 |
| **ᲐᲛᲡᲢᲔᲠᲓᲐᲛᲘ** | **ᲬᲗ** | **Ქ** | **Მ** | **Პ** | **Ჩ** | **Დ** | **Ფ** | **Ш** |
| ᲒᲘᲜᲡᲝᲜᲘ | 38 | 12 | 6 | 4 | 1 | 0 | 2 | 2 |
| ᲕᲔᲡᲔᲚᲡᲘ | 17 | 3 | 3 | 1 | 0 | 0 | 5 | 0 |
| ᲠᲝᲑᲔᲠᲢᲡᲘ | 35 | 18 | 11 | 4 | 0 | 0 | 4 | 2 |
| ᲕᲘᲐᲢᲘ | 31 | 14 | 12 | 1 | 0 | 6 | 3 | 1 |
| ᲞᲐᲐᲡᲔᲜᲘ | 33 | 16 | 10 | 1 | 0 | 0 | 4 | 4 |
| ᲨᲢᲔᲘᲜᲘ | 27 | 18 | 5 | 3 | 1 | 0 | 3 | 2 |
| ᲤᲚᲝᲫᲡᲘ | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ᲙᲠᲐᲒᲔᲜᲓᲐᲛᲘ | 13 | 6 | 5 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 |
| ᲕᲐᲜ ᲚᲝᲝᲜᲘ | 3 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |

**ᲛᲡᲐᲯᲘᲔᲑᲘ: ᲙᲘᲜᲔᲠᲛᲐᲜᲘ, ᲡᲐᲨᲩᲣᲙᲘ, ᲰᲝᲚᲪᲔᲠᲘ**

ᲡᲐᲞᲐᲡᲣᲮᲝ ᲛᲐᲢᲩᲘ 6 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ

ᲛᲐᲨᲘ. ᲨᲔᲙᲠᲑᲐ ᲔᲠᲗᲘᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ - "ᲐᲖᲝᲢᲘ" ᲚᲘᲓᲔᲠᲘ **ᲑᲔᲚᲢᲝᲜ ᲠᲘᲕᲔᲠᲡᲘ** ᲐᲗᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲐ. *"ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲚᲐᲓ ᲝᲓᲜᲐᲕ ᲛᲔᲢᲘ ᲓᲠᲝ ᲠᲝᲛ ᲒᲕᲥᲝᲜᲓᲐ, ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲨᲔᲰᲕᲔᲓᲠᲐᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲐᲓ ᲛᲝᲕᲘᲒᲔᲑᲓᲘᲗ".* - ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲜᲐᲛᲐᲢᲩᲠᲔᲕᲡ ᲥᲕᲔᲛᲝᲥᲐᲠᲗᲚᲔᲚᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲛᲐ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲛᲐ **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲣᲡᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ**.

ᲐᲡᲔ ᲓᲐ ᲐᲛᲓᲒᲐᲠᲐᲓ, ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚ ᲗᲐᲛᲐᲨᲡ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲤᲐᲡᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ - ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲚᲣᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲔᲑᲡ ᲓᲐᲐᲜᲐᲮᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲙᲚᲣᲑᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲨᲘ �გᲣᲜᲓᲘᲡ ᲒᲐᲧᲕᲐᲜᲐ ᲐᲠᲐᲗᲣ ᲡᲐᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲪᲐᲐ. ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲜᲓᲒᲘᲜᲔᲗ, ᲠᲐᲝᲓᲔᲜ ᲬᲐᲐᲓᲒᲔᲑᲝᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲡ "ᲐᲖᲝᲢᲘᲡ" ᲯᲒᲣᲤᲣᲠ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲒᲐᲡᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ �გᲣᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ...

...ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲯᲒᲣᲤᲨᲘ ᲛᲝᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲘᲛ �გᲣᲜᲓᲡ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲐᲓ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲬᲔᲡᲠᲘ�გᲨᲘ ᲐᲥᲕᲡ; ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲛᲐ ᲕᲘᲡᲐᲪ ᲮᲔᲚᲘ ᲓᲐᲐᲓᲛ, "ᲐᲛᲡᲢᲔᲠᲓᲐᲛᲨᲘ" ᲩᲐᲘᲠᲘᲪᲮᲐ. �გᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲔᲑᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲥᲕᲗ 5-ᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲗ ᲤᲐᲖᲐᲨᲘ �გᲣᲜᲓᲘ ᲔᲕᲠᲝᲚᲘ�გᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲛᲓᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲕᲘᲓᲔᲓᲐ.

...ᲓᲐ "ᲐᲖᲝᲢᲘ"? **ᲤᲔᲠᲒᲘᲣᲡᲝᲜᲘ** ᲓᲐ ᲠᲘᲕᲔᲠᲡᲘ ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲠᲝᲛ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ, ᲣᲙᲕᲔ ᲒᲘᲗᲮᲐᲠᲘᲗ; �გᲣᲜᲓᲡ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲚᲐᲓ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲠᲝ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲐᲛᲐᲖᲔ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲛᲐ ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲐ; ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲙᲘ ᲘᲡ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲗᲐ ᲠᲘᲒᲔᲑᲘ ᲝᲗᲮᲛᲐ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲛᲐ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲛᲐ ᲓᲐᲢᲝᲕᲐ - **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲣᲒᲠᲔᲮᲔᲚᲘᲫᲔᲛ, ᲕᲐᲙᲝ ᲑᲔᲟᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ, �გᲘᲝᲠ�გᲘ ᲛᲐᲠᲙᲝᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ** ᲓᲐ **ᲙᲝᲢᲔ ᲗᲣᲦᲣᲨᲛᲐ**. ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ, ᲔᲠᲗ ᲡᲔᲖᲝᲜᲨᲘ ᲐᲬᲧᲝᲑᲘᲚ-ᲨᲔᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲣᲚᲘ �გᲣᲜᲓᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲛᲘᲗ ᲓᲐᲘᲨᲐᲚᲐ. ᲗᲣᲪᲘ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲛᲐ თქვა, ᲨᲔᲡᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲠᲝ ᲠᲝᲛ ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲗᲝᲜ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲘᲚᲘᲠᲘᲡᲣᲚᲐᲓ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ. ᲨᲔᲙᲠᲑᲐ ᲔᲠᲗᲘᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ - "ᲐᲖᲝᲢᲘᲡ" ᲚᲘᲓᲔᲠᲘ **ᲑᲔᲚᲢᲝᲜ ᲠᲘᲕᲔᲠᲡᲘ** ᲐᲗᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲐ. *"ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲚᲐᲓ ᲝᲓᲜᲐᲕ ᲛᲔᲢᲘ ᲓᲠᲝ ᲠᲝᲛ ᲒᲕᲥᲝᲜᲓᲐ, ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲨᲔᲰᲕᲔᲓᲠᲐᲡ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲪᲐᲐ ᲛᲝᲕᲘᲒᲔᲑᲓᲘᲗ".* - ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲜᲐᲛᲐᲢᲩᲠᲔᲕᲡ ᲥᲕᲔᲛᲝᲥᲐᲠᲗᲚᲔᲚᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲛᲐ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲛᲐ **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲣᲡᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ**.

ᲐᲡᲔ ᲓᲐ ᲐᲛᲓᲒᲐᲠᲐᲓ, ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚ ᲗᲐᲛᲐᲨᲡ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲤᲐᲡᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ - ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲚᲣᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲔᲑᲡ ᲓᲐᲐᲜᲐᲮᲕᲐ, ᲠᲝᲛ ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲙᲚᲣᲑᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲨᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲒᲐᲧᲕᲐᲜᲐ ᲐᲠᲐᲗᲣ ᲡᲐᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲝᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲪᲐᲐ. ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲜᲓᲒᲘᲜᲔᲗ, ᲠᲐᲝᲓᲔᲜ ᲬᲐᲐᲓᲒᲔᲑᲝᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲡ "ᲐᲖᲝᲢᲘᲡ" ᲯᲒᲣᲤᲣᲠ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲒᲐᲡᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ �გᲣᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ...

...ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛ ᲔᲢᲐ�პᲖᲔ ᲯᲒᲣᲤᲨᲘ ᲛᲝᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲘᲛ �გᲣᲜᲓᲡ ᲔᲙᲣᲗᲕᲜᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲐᲓ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲬᲔᲡᲠᲘ�გᲨᲘ ᲐᲥᲕᲡ; ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲛᲐ ᲕᲘᲡᲐᲪ ᲮᲔᲚᲘ ᲓᲐᲐᲓᲛ, "ᲐᲛᲡᲢᲔᲠᲓᲐᲛᲨᲘ" ᲩᲐᲘᲠᲘᲪᲮᲐ. �გᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲔᲑᲡ ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲥᲕᲗ 5-ᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲔᲒᲛᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲙᲕᲜᲘᲗ ᲤᲐᲖᲐᲨᲘ �გᲣᲜᲓᲘ ᲔᲕᲠᲝᲚᲘ�გᲘᲡ ᲓᲝᲜᲔᲛᲓᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲕᲘᲓᲔᲓᲐ.

...ᲓᲐ "ᲐᲖᲝᲢᲘ"? **ᲤᲔᲠᲒᲘᲣᲡᲝᲜᲘ** ᲓᲐ ᲠᲘᲕᲔᲠᲡᲘ ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲠᲝᲛ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲜᲔᲜ, ᲣᲙᲕᲔ ᲒᲘᲗᲮᲐᲠᲘᲗ; �გᲣᲜᲓᲡ ᲡᲠᲣᲚᲧᲝᲤᲘᲚᲐᲓ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲠᲝ ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲐᲛᲐᲖᲔ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲛᲐ ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲐ; ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲙᲘ ᲘᲡ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲗᲐ ᲠᲘᲒᲔᲑᲘ ᲝᲗᲮᲛᲐ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲛᲐ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲛᲐ ᲓᲐᲢᲝᲕᲐ - **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲣᲒᲠᲔᲮᲔᲚᲘᲫᲔᲛ, ᲕᲐᲙᲝ ᲑᲔᲟᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ, �გᲘᲝᲠ�გᲘ ᲛᲐᲠᲙᲝᲘᲨᲕᲘᲚᲛᲐ** ᲓᲐ **ᲙᲝᲢᲔ ᲗᲣᲦᲣᲨᲛᲐ**. ᲤᲐᲥᲢᲝᲑᲠᲘᲕᲐᲓ, ᲔᲠᲗ ᲡᲔᲖᲝᲜᲨᲘ ᲐᲬᲧᲝᲑᲘᲚ-ᲨᲔᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲣᲚᲘ �გᲣᲜᲓᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲛᲘᲗ ᲓᲐᲘᲨᲐᲚᲐ. ᲗᲣᲪᲘ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲛᲐ თქვა, ᲨᲔᲡᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲠᲝ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲛᲝᲮᲚᲘᲚᲕᲐᲖᲔ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲔᲠᲚᲘ ᲓᲐᲑᲔᲯᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲘᲐ ᲒᲐᲜᲕᲐᲪᲮᲐᲓᲝ: "ᲐᲖᲝᲢᲘᲡ" ᲣᲒᲠᲔᲮᲔᲚᲘᲫᲔ ᲓᲐ ᲑᲔᲟᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲠᲝᲛ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘᲧᲕᲜᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲓᲜᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲗᲐ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲤᲐᲠᲥᲕᲔᲨᲘ ᲡᲣᲡᲢᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ ᲘᲧᲝ. "ᲡᲣᲡᲢᲘ" ᲙᲘᲓᲔᲕ ᲠᲑᲘᲚᲘ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲛᲔᲢᲝᲥᲔ ᲨᲔᲜᲖᲔ 20-ᲘᲗ ᲛᲔᲢ ᲑᲣᲠᲗᲡ ᲮᲡᲜᲘᲡ. "ᲐᲖᲝᲢᲘᲡ" ᲒᲐᲡᲚᲕᲠᲘᲕ ᲝᲥᲛᲨᲘ 34 ᲛᲝᲮᲡᲜᲐ ᲓᲐᲤᲘᲥᲡᲘᲠᲓᲐ, "ᲐᲛᲡᲢᲔᲠᲓᲐᲛᲘᲡ" - 54 (21-ᲯᲔᲠ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲤᲐᲠᲗᲖᲔ ᲛᲝᲮᲡᲜᲔᲡ").

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲝᲮᲡᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲘᲗ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲖᲔ 20-ᲘᲗ ᲛᲔᲢᲘ ᲨᲔᲢᲔᲕᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲡ. ᲙᲘᲓᲔᲕᲐᲪ ᲒᲐᲡᲐᲙᲕᲘᲠᲘᲜᲐ, ᲠᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲘᲗ ᲕᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲓᲘᲗ ᲑᲝᲚᲝ ᲬᲣᲗᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲘᲡ ᲨᲐᲜᲡᲡ.

ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲤᲐᲠᲥᲕᲔᲨᲘ **ᲐᲕᲘᲡ ᲕᲘᲐᲢᲘ** (14 ᲥᲣᲚᲐ, 12 ᲛᲝᲮᲡᲜᲐ, 6 ᲓᲐᲤᲐᲠᲗᲔᲑᲐ), **ᲕᲐᲜ ᲞᲐᲐᲡᲔᲜᲘ** (16 ᲥᲣᲚᲐ, 10 ᲛᲝᲮᲡᲜᲐ) ᲓᲐ **ᲯᲔᲠᲝᲛ ᲠᲝᲑᲔᲠᲢᲡᲘ** (18 ᲥᲣᲚᲐ, 11 ᲛᲝᲮᲡᲜᲐ), "ᲐᲖᲝᲢᲘᲡ" ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲡᲮᲕᲔᲑᲖᲔ ᲛᲔᲢᲯᲔᲠ ᲤᲐᲠᲘᲓᲐᲜ ᲐᲡᲮᲚᲔᲢᲘᲚ ᲑᲣᲠᲗᲡᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲓᲐᲑᲚᲔᲑᲘ, **ᲚᲐᲨᲐ ᲒᲐᲛᲘᲧᲠᲔᲚᲘᲫᲔ** ᲓᲐ **ᲑᲔᲚᲢᲝᲜ ᲠᲘᲕᲔᲠᲡᲘ** (7-7-ᲯᲔᲠ) ᲓᲐᲔᲣᲤᲣᲫᲚᲔᲜᲓᲔ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲔᲡ ᲓᲣᲔᲢᲘ ᲘᲧᲝ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲘᲠᲩᲔᲣᲚᲘ. ᲚᲐᲨᲐ ᲑᲣᲠᲗᲡ ᲙᲐᲠ�გᲐᲓ ᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲞᲔᲠᲘᲛᲔᲢᲠᲖᲔ ᲞᲐᲡᲔᲑᲡᲐᲪ ᲐᲜᲐᲜᲘᲚᲔᲑᲓᲐ, ᲤᲐᲠᲥᲕᲔᲨᲘ ᲙᲘ ᲛᲘᲡᲘᲜ ᲩᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲡᲕᲚᲔᲑᲘ ᲙᲐᲠ�გᲐᲓ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲨᲔᲡᲬᲐᲕᲚᲘᲚᲘ ᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲗᲛᲐᲒᲠᲫᲔᲚ ᲕᲐᲘᲢᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ 6-ᲓᲐᲜ 3 ᲓᲐᲤᲐᲠᲗᲔᲑᲐ �გᲐᲛᲧᲠᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲓᲠᲘᲑᲚᲘᲜᲒᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲩᲐᲘᲜᲔᲠᲐ.

ᲗᲐᲛᲐᲛᲐᲓ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲘᲗᲥᲕᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲒᲣᲨᲘᲜᲓᲔᲚ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲙᲚᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘ **ᲑᲔᲚᲢᲝᲜ ᲠᲘᲕᲔᲠᲡᲘ** ᲘᲧᲝ. ᲠᲝᲪᲐ ᲛᲔᲢᲝᲥᲔ 13:2 ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲐ, "ᲐᲖᲝᲢᲘᲡ" ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲛᲐ ᲐᲮᲐᲚᲬᲔᲣᲚᲛᲐ ᲗᲐᲛᲐᲨᲨᲘ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲖᲔ ᲐᲘᲦᲚ ᲓᲐ ᲛᲐᲢᲘᲩᲘᲡ ᲛᲔ-16 ᲬᲣᲗᲖᲔ ᲯᲔᲠ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲒᲐᲐᲗᲐᲜᲐᲑᲠᲐ (33:33), ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲯᲐᲠᲘᲛᲝᲪ ᲛᲘᲐᲧᲝᲚᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲓᲐᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲐ. ᲡᲐᲛᲬᲣᲮᲐᲠᲝᲓ, ᲔᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲬᲠᲔᲑᲐ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ. ᲑᲝᲚᲝ ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓᲨᲘ ᲐᲜᲕᲐᲠ ᲤᲔᲠᲒᲘᲣᲡᲝᲜᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ ᲛᲝᲔᲓᲐᲜᲖᲔ **ᲠᲔᲖᲝ ᲓᲘᲓᲘᲐᲛ** (ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲤᲐᲠᲥᲕᲔᲨᲘᲗ ᲧᲝᲩᲐᲚᲝᲑᲓᲐ) ᲠᲘᲕᲔᲠᲡᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲘ ᲐᲣᲑᲐ - ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓᲘ ᲡᲐᲛᲥᲣᲚᲘᲐᲜᲘᲗ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ. ᲐᲛᲐᲡ ᲑᲔᲚᲢᲝᲜᲘᲡ ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲘᲔᲠᲘᲨᲔᲑᲘ ᲛᲝᲰᲧᲕᲐ ᲓᲐ 16-ᲥᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲐ ᲝᲗᲮᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲕᲐᲛᲪᲘᲠᲔᲗ - 64:68. ᲡᲐᲤᲘᲜᲐᲚᲝ ᲡᲘᲠᲔᲜᲐᲛᲓᲔ ᲔᲥᲕᲡᲘ ᲬᲣᲗᲘ ᲠᲩᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲐᲥᲢᲘᲣᲠᲔᲑᲣᲚ ᲥᲝᲛᲐ�გᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡ ᲘᲛᲘᲯᲘ ᲩᲐᲔᲡᲐᲮᲐ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲪᲘᲕᲘ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲔᲚᲛᲐ ᲕᲐᲜ ᲞᲐᲐᲡᲔᲜᲛᲐ ᲪᲘᲕᲘ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲒᲕᲐᲡᲮᲐ - ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲘᲛᲝ ᲪᲘᲕᲘᲡᲘᲡᲮᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲔᲡᲠᲝᲚᲐ, ᲖᲔᲓ ᲝᲠᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲐᲜᲐᲠᲔᲕᲘ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘᲪ ᲛᲘᲐᲧᲝᲚᲐ: ᲙᲐᲚᲐᲗᲘ ᲮᲛᲝ ᲔᲠᲗ ᲐᲓᲒᲘᲚᲡᲐ ᲓᲒᲐᲡ ᲓᲐ ᲐᲠ ᲛᲝᲫᲠᲐᲠᲐᲑᲡ, ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲧᲔᲢ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲨᲘ ᲑᲣᲠᲗᲘ ᲠᲐᲢᲛᲝ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲛᲔᲪᲘᲚᲔᲑᲘᲜᲐᲝ?

"ᲐᲛᲡᲢᲔᲠᲓᲐᲛᲘᲡ" ᲗᲐᲕᲙᲐᲪᲘ **ᲐᲠᲘᲙ ᲨᲘᲕᲔᲙᲘ** ᲞᲠᲔᲡᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ ᲝᲠᲛᲐᲒᲐᲓ ᲒᲐᲮᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ - ᲫᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲒᲘᲠᲓᲘᲡ, **ᲗᲐᲢᲝ ᲜᲐᲪᲕᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ** ᲮᲘᲚᲗᲕᲐᲛ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲛᲝᲣᲙᲔᲗᲗᲐ: *"ᲕᲘᲪᲝᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲠᲗᲣᲚᲘ ᲨᲔᲰᲕᲔᲓᲠᲐ ᲒᲕᲔᲚᲝᲓᲐ. "ᲐᲖᲝᲢᲘ" ᲒᲐᲨᲘᲤᲠᲣᲚᲘ ᲒᲕᲧᲐᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲒᲐᲜ ᲡᲬᲠᲐᲤ ᲗᲐᲛᲐᲨᲡ ᲕᲔᲚᲝᲓᲘᲗ. ᲒᲕᲥᲝᲜᲓᲐ ᲩᲐᲕᲐᲠᲓᲜᲔᲑᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲡᲔᲗ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲔᲑᲨᲘ ᲑᲘᲯᲔᲑᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ 

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მეკლდეურობა



# კვარიათში, კლდის ვეფხვის იუბილეზე

**მეკლდეურობა** საშეჯიბრო სეზონი, ტრადიციულად, ოქტომბერში, მიხეილ ხერგიანის მემორიალით მთავრდება და შემდეგ, მომდევნო წლის თებერვლის ბოლოს, მსოფლიო თასის ეტაპით იწყება ახალი სპორტული სეზონი. წლეულს, მ. ხერგიანის 75 წლისთავისადმი მიძღვნილი მემორიალი, ტრადიციულად, აჭარაში, ხელვაჩაურის რაიონის სოფ. კვარიათში ჩატარდა. სანამ შეჯიბრების მსვლელობაზე ვისაუბრებდეთ, ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმ პრობლემებზე და გაჭირვებაზე, რასაც მეკლდეურობა განიცდის დღეს საქართველოში. სპორტის სახეობებიდან (არ ეწყინებათ სხვა სახეობების წარმომადგენლებს) ყველაზე დიდი პრაქტიკული, სამხედრო-გამოყენებითი და სამეურნეო მნიშვნელობა აქვს კარგად გაწვრთნილ მეკლდეურებსა და მთამსვლელებს. მეკლდეურები საუკეთესო მაშველები არიან სტიქიური უბედურებების დროს, ხანძრის შემთხვევაში, სამთო-სამაშველო სამუშაოების შესრულებისას. მთიან პერიმეტრზე საიმედო მესაზღვრეების უმრავლესობა მეკლდეურობის სკოლაგავლილი ჯარისკაცები არიან სვანეთის, ფშავ-ხევსურეთის, სტეფანწმინდის, რაჭის საგუშაგოებზე.

მწირი სახელმწიფო დაფინანსების პირობებში ვკარგავთ უმდიდრეს ტრადიციებს სპორტის ისეთ სახეობაში, სადაც მსოფლიოში სახელგანთქმული, "კლდის ვეფხვად" წოდებული **მიხეილ ხერგიანი** გვყავდა. როცა მეკლდეურთა შეჯიბრებები ბუნებრივ კლდეებზე ტარდებოდა, საქართველოს ნაკრები მუდამ ფავორიტი იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში და სეზონი არ ყოფილა, ჩემპიონი და პრიზიორი არ გვყოლოდა (მაშინ მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები არ იმართებოდა). მეკლდეურობის საერთაშორისო ფედერაციამ მიიღო გადაწყვეტილება მეკლდეურთა ოფიციალური შეჯიბრების დახურულ დარბაზში გადატანის შესახებ და ძალიან მალე მთელ რიგ ქვეყნებში, მათ შორის საბჭოა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში, სასწრაფოდ დაიწყო ხელოვნური კედლების აგება. სულ რაღაც ერთ წელიწადში, ყველა ოფიციალური შეჯიბრება (მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატი, მსოფლიო თასის მრავალეტაპობრივი გათამაშებები) ხელოვნურ კედლებზე მოეწყო.

საქართველოში, რთული პოლიტიკური ვითარების გამო, ამ საქმისთვის არავის ეცალა. ჩვენი თხოვნა ხელოვნური კედლების აგების შესახებ არც სახელმწიფომ, არც სპონსორებმა, არ შეისმინეს. დღესაც, ამის გამო ჩვენთან არ არსებობს პირობები ნაკრები გუნდის მომზადებისაც კი და ჩვენი ერთეული სპორტსმენები, შესაძლებლობების შემთხვევაში, უკრაინასა და რუსეთში მიდიან სავარჯიშოდ.

საქართველოს მეკლდეურობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტად 2005 წელს პარლამენტარი **ნიკა კვეზერელი** აირჩიეს. ადრე ის იყო საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი მეკლდეური და მთამსვლელი. თავიდან მან აქტიურად დაიწყო ფედერაციაში მოღვაწეობა, თუმცა ბოლო ხანებში მეკლდეურობა კვლავ იმ ადამიანების ამარა დარჩა, ვინც სპორტის ამ სახეობას თავისი შეგნებული ცხოვრება შეალია. მეკლდეურობა საქართველოში ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში შენარჩუნებულია მხოლოდ ენთუზიასტთა მცირერიცხოვანი ჯგუფის ძალისხმევით, რომელთაც სსრ კავშირისა და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი ლ. გურჩიანი უდგას სათავეში. ამ ხალხს დღეს ყველაზე უფრო მეტად ესაჭიროება გვერდში ამოდგომა. ერთადერთი სასპორტო სკოლა, რომელიც არსებობდა განათლების სისტემაში, 1 აგვისტოდან გაუქმებულია, თუმცა დღემდე აქტიურად აგრძელებს მუშაობას, მიუხედავად დაუფინანსებლობისა. სკოლაში 300-ზე მეტი ბავშვი ემზადება. მათი ბედი ამჟამად გაურკვეველია.

ფეერაცია რომ აქტიურად ამოქმედდეს, საჭიროა სასწრაფოდ ჩატარდეს რიგგარეშე ყრილობა.

მივუბრუნდეთ ბათუმში, სოფ. კვარიათის კლდეებზე ასპარეზობას, რომელიც მზიან ამინდში, ძალზედ ლამაზად ჩატარდა. მონაწილეობდნენ მესტიის, ლენტეხის, ქუთაისის, ბათუმის, სტეფანწმინდისა და თბილისის 2 გუნდი. პირველი დღე სწრაფ ცოცვას დაეთმო, ვაუთა და გოგონათა შეჯიბრება კვალიფიკაციით დაიწყო და ფინალური ეტაპით დამთავრდა. ფინალში კი 8-8 საუკეთესო მონაწილეობდა.

სწრაფ ცოცვაში გოგონათა შორის ჩემპიონობა არავის დაუთმო რთულ ცოცვაში მემორიალის შარშანდელმა გამარჯვებულმა, მესტიელმა **მარინა იოსელიანმა**, მეორე ადგილზე თბილისელი **თაკო დიდებულიძე** გავიდა, მესამეზე - **ნათია უთურგაშვილი**, თბილისის I გუნდი.

ვაუებში ბადალი არ ჰყავდა საქართველოს ნაკრების ლიდერს **ავთანდილ ქურასბედიანს**, მეორე იყო **გურამ ხუციშვილი** (ორივე - თბილისის I გუნდი), ლენტეხელი **გურამ გაზდელიანი** მესამე იყო.

დრამატულად ნარიმართა ასპარეზობა რთულ ცოცვაში. საქართველოს უძლიერესი მეკლდეური ავთანდილ ქურასბედიანი სტარტზე დაშვებული შეტევის გამო მოიხსნა შეჯიბრებიდან (მეკლდეურობაში შეჯიბრების წესები მკაცრია) და ფინალი დამსახურებულად მოიგო **გურამ გაზდელიანმა**. მეორე ადგილი დაიკავა პირად პირველობაში მოასპარეზე გონიოელმა **კობა ფერაძემ**, ხოლო მესამეზე **გურამ ხუციშვილი** გავიდა.

გუნდური პირველი ადგილი და მ. ხერგიანის სახელობის გარდამავალი თასი ზედიზედ მეოთხედ და, ამჯერად, სამუდამოდ, მოიპოვა ქ. თბილისის პირველმა ნაკრებმა, მეორე გუნდური ადგილი მესტიის ახალგაზრდულმა ნაკრებმა დაიკავა (მწვრთნელი **ავლან ნავერიანი**), რომელსაც გუნდში მონაწილეთა სწორად დაკომპლექტების შემთხვევაში შეეძლო გუნდური I ადგილის მოპოვება. მესამე ადგილი და საპატიო თასი წილად ხვდა ლენტეხის მეკლდეურთა ნაკრებს (მწვრთნელი **ალიოშა გაზდელიანი**).


**აკაკი ხერგიანი**

სპორტის დამსახურებული ოსტატი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, შეჯიბრების მთავარი მსაჯი


## ფრენბურთი

### საქართველოს ჩემპიონატი

# ჯიკომ პირველი ბრძოლა მოიგო

**ოთხი** დღეა, დუშეთში საქართველოს ქალ ფენბურთელთა ჩემპიონატის პირველი წრის შეხვედრები მიმდინარეობს. გათამაშებაში წესით რვა გუნდს უნდა აეღო სტარტი, თუმცა ფინანსური პრობლემების გამო ასპარეზობას სამტრედიისა და თბილისი 2 -ის ფრენბურთელთა გუნდები დააკლდა. დებულების თანახმად, ამ ორ გუნდს ყველა შეხვედრაში წაგება ეთვლება.

ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლას კი ექვსი გუნდი აგრძელებს - დიდი ჯიხაიშის "ჯიკო", "თბილისი", "ბოლნისი", "დუშეთი", "ქუთაისი" და "ბათუმი". გათამაშებას ჯერჯერობით წაუგებლად ლიდერობს ქვეყნის ბოლო დროის აღიარებული ლიდერი და მოქმედი ჩემპიონი "ჯიკო". სავარაუდოდ, ჯიხაიშელები პირველ წრეს ლიდერად დაასრულებენ, ვინაიდან ერთადერთ რეალურ კონკურენტს, თბილისელთა გუნდს უკვე დაუპირისპირდნენ და ურთულეს ბრძოლაში, 3:2 დაამარცხეს. მეხუთე სეტი "ჯიკომ" 17:15 მოიგო, თუმც პირველი ორი 25:20 და 18:25 დათმო. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ კრიტიკულ მომენტში ძალების მაქსიმალურად მობილიზება შეძლეს და მომდევნო სეტებში 25:22 და 25 21 გაიმარჯვეს.

ისევე როგორც შარშანდელ ჩემპიონატში, მესამე ადგილისთვის იბრძვიან "დუშეთი" და "ბოლნისი". მათი შეხვედრა პირველი წრის ბოლო დღეს გაიმართება.

4 ტურის შემდეგ: **1.ჯიკო-6 ქულა, 2.თბილისი-6 (4თ), 3.ბოლნისი-4, 4.დუშეთი-4 (4თ), 5.ქუთაისი-0, 6.ბათუმი-0.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

### ევროპის ჩემპიონატი

# ჩერნოგორია გვერგო

**ლუქსემბურგში**, ევროპის ფრენბურთის კონფედერაციაში გაიმართა 2008-2009 წლების ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის წილისყრა. პირველ რაუნდში საქართველოს ქალთა ეროვნული ნაკრების მეტოქე იქნება ჩერნოგორიის ეროვნული გუნდი. პირველი მატჩი 8 მაისს ჩერნოგორიაში გაიმართება, საპასუხო - 11 მაისს საქართველოში.

გამარჯვების შემთხვევაში საქართველოს ქალთა ეროვნული ნაკრები მოხვდება F ჯგუფში, სადაც მისი მეტოქეები იქნებიან თურქეთის, საბერძნეთისა და ისრაელის ნაკრებები. პირველი ტური 6-8 ივნისს ისრაელში გაიმართება, მეორე კი 13-15 ივნისს საბერძნეთში.

## ძიუდო

# ნახევარსაუკუნოვანი

www.sportphoto.ge

სათავეებთან. მარცხნივ: ქრისტეფორე ნინიაშვილი და ბიძინა მაზიაშვილი

**საქართველოში** ჭიდაობა ძიუდო 50 წლისაა! 1957 წლის ნოემბერში, ბუდაპეშტში, იქაურმა სპორტკლუბმა "დოჟამ" საერთაშორისო შეხვედრაზე მიიწვია მონათესავე სსრკ "დინამოს" ნაკრები, რომლის შემადგენლობის ნახევარს ქართველი სამბისტები შეადგენდნენ. დიახ, ბუდაპეშტში უნგრელებმა ძიუდო იჭიდავეს კიმონოებით, დინამოელებმა კი სამბოს კვართებით...

ეს იყო ქართველი ფალავნების პირველი საერთაშორისო ასპარეზობა ძიუდოში. უნდა ითქვას, რომ უნგრეთის დედაქალაქში ორი სამატჩო შეხვედრა ჩატარდა და ჩვენებმა ყველა შეხვედრა მოიგეს. ქართული "კვარტეტი" ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: სსრკ სამგზის პრიზიორი სამბოში, გლდანელი **გურამ სიმონიშვილი** (1936-1996), სსრკ სამგზის ჩემპიონი და პრიზიორი სამბოში, აგრეთვე სსრკ ჩემპიონი და ორგზის პრიზიორი თავისუფალ ჭიდაობაში, სახალხო ფალავნის **კოსტა მაისურაძის** შვილიშვილი **შოთა დაუშვილი** (1927-1990), სსრკ ორგზის ჩემპიონი და სამგზის პრიზიორი სამბოში მარტყოფელი **ოთარ შინჯიკაშვილი** (1927-1984), შემდგომში "ძიუდოს პაპად" წოდებული XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო მწვრთნელი ძიუდოში, ზემომაჩხაანელი **ბიძინა მაზიაშვილი** (1998-2004).

დინამოელთა ერთ-ერთი მწვრთნელი იყო სამბოში საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო მწვრთნელი **ქრისტეფორე ნინიაშვილი**, რომელიც დღეს 86 წლისაა...

ქართველების გარდა დინამოელთა ღირსებას იცავდნენ: ვალერი ფრაერი, სერგეი ივანოვი, ივან ფედოტოვი, არონ ბოგოლიუბოვი. მწვრთნელები იყვნენ ვლადლენ ანდრეევი, ივან ვასილიევი, ვასილ მასლოვი და როგორც მოგახსენეთ, ქრისტეფორე ნინიაშვილი.

ამ საერთაშორისო შეხვედრის შესახებ შეიტყვეს თუ არა ძიუდოს ფუძემდებლებმა - იაპონელებმა დაუყოვნებლივ გამოუგზავნეს ძიუდოს კიმონოები ქართველ ფალავნებს. ასეთი სამატჩო შეხვედრები კი შემდგომში ტრადიციული გახდა. იმავე 1957 წელს უნგრელები მოსკოვსაც ეწვივნენ და სამბოშიც მშრალი ანგარიშით დამარცხდნენ 0:8.

სხვათა შორის, უნგრულ და არა მარტო უნგრულ პრესაში მაშინ დაიბეჭდა ორი ფოტო. პირველ ასახულია მომენტი, თუ როგორ ამარცხებს ცნობილ პრაცნერ კოლმანს საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში სამბოსა და თავისუფალში ბიძინა მაზიაშვილი, მეორეზე კი გამარჯვებული და დამარცხებულიც ერთმანეთის გვერდიგვერდ დამდგარან...

ამ 50 წლიწადმა უდიდესი სიხარული მოუტანა ტატამის ქართველ ქომაგებს. ნიშანდობლივია, დაახლოებით ამავე ხნისაა (მალე 51 წლისა გახდება) ჩვენი ძიუდოს ბოლო ათნლეულების ყველა დიდი გამარჯვების სულისჩამდგმელი, გამოჩენილი სპორტსმენი, ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი, საქართველოს ნაკრების ძიუდოს უფროსი მწვრთნელი **შოთა ხაბარელი.**

**გაბრიელ ბარჯაძე**

ᲭᲔᲛᲠᲗᲕᲘ

ევროპის გუნდური ჩემპიონატი

## ისევ გაგვაკვირვეს

| ქალები. საქართველო-საბერძნეთი 2 | 4:0 |
|---|---|
| მარია პეტრაკი (2099)-**ლელა ჯავახიშვილი** (2474) | 0:1 |
| **ნინო ხურციძე** (2450)-**კატერინი პავლიდუ** (2003) | 1:0 |
| მარია ფრაგაკი (1922)-**ნანა ძაგნიძე** (2416) | 0:1 |
| **მაია ლომინეიშვილი** (2409)-**არგირი ვარვერაკი** (0) | 1:0 |
| **ვაჟები. საქართველო-მაკედონია** | **1:3** |
| **ბაადურ ჯობავა** (2644)-**ვლადიმირ გეორგიევი** (2576) | 0:1 |
| **ტრაიცე ნედევი** (2528)-**თამაზ გელაშვილი** (2623) | 0.5:0.5 |
| **ლევან ფანცულაია** (2617)-**ალექსანდრ სოლოვიჩი** (2477) | 0:1 |
| **ზვონკო სტანოიოსკი** (2467)-**დავით არუთინიანი** (2574) | 0.5:0.5 |

...**უსიამოვნოდ**, სამწუხაროდ. საქმე ის გახლავთ, რომ კაცთა ნაკრებმა მასზე ბევრად სუსტ მაკედონიასთან დაყარა ფარ-ხმალი და ამას სენსაცია ნამდვილად შეიძლება ვუწოდოთ. მართალია საქართველოს ნაკრები ჩემპიონატის ფავორიტებად არ ითვლება, მაგრამ 26-ე რეიტინგის მქონე გუნდთან უპირობო მარცხი სამარცხვინოც კია. პირველ დაფაზე თეთრი ფერის უპირატესობა ჩვენი იყო და გუნდმა კვლავ **ბაადურ ჯობავას** ანდო ლიდერის როლი. ჯობავას ლიდერობაც შეუძლია მსოფლიოს მონინავე ადოსტატებთან ბრძოლაც და გამარჯვებაც, მაგრამ კრეტაში მას რაღაც ვერ მისდის საქმე და წინა ტურში დანიელ ნილსენთან წაგებას გუშინ **ვლადიმირ გეორგიევთან** დამარცხება მიაყოლა.

ჯობავამდე თეთრი ალამი **ლევან ფანცულაიამ** გამოფინა, რომელიც მესამე დაფაზე იჯდა და საწყისი უპირატესობაც ჰქონდა - თეთრი ფერი მისი იყო. **ალექსანდრ სოლოვიჩი** მხოლოდ საერთაშორისო ოსტატია და ლევანს რეიტინგში 140 პუნქტით ჩამორჩება, მაგრამ ამჯერად ამ ჩამორჩენას საჩვენოდ არ უთამაშია - სოლოვიჩმა პირველმა მოუტანა ქულა გუნდს.

გუნდის ბედი მეორე და მეოთხე დაფებზე მოთამაშე **თამაზ გელაშვილსა** და **დავით არუთინიანს** შეძლებაზე დაეკიდა, მაგრამ ვერც ამით გვიშველეს - გელაშვილმა დიდოსტატ **ტრაიცე ნედევს** დამარცხება ვერ შეძლო და მხოლოდ ყაიმს გამორჩა. ამ შედეგის მერე მატჩი წაგებული იყო და არუთინიანის მოგებაც კი ვერაფერს შეგვძენდა, მხოლოდ კატასტროფულ მარცხს თუ აგვარიდებდა, - დათომაც ვერ მოიგო და ყაიმს დასჯერდა.

ქალთა ნაკრებმა გაიმარჯვა და მაქსიმალური სხვაბით - 4:0, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, რომ სიხარულის გამოხატვაც კი უხერხულია - მეტოქე ბერძნების მეორე გუნდი იყო, რომლის შემადგენლობაშიც რეიტინგიანი მხოლოდ ერთი - პირველ დაფაზე მჯდომი **მარია პეტრაკია** და ისიც მხოლოდ ფიდეს ოსტატი ბრძანდება; რეიტინგი კი "ბავშვური" - 2099 აქვს. მეორე ადგილოსანს - **ეკატერინი პავლიდუს** - 2003; მესამე დაფაზე მოთამაშე **მარია ფრაგაკის** - 1922, ხოლო მეოთხეზე მოთამაშე **არგირი ვარვერაკი** საერთოდ ურეიტინგოა. ლოგიკურიც იყო, რომ პირველად ვერვერაკმა წააგო - მას **მაია ლომინეიშვილმა** მოუგო. ჩვენების შემადგენლობა ასეთი იყო: **ლელა ჯავახიშვილი, ნინო ხურციძე, ნანა ძაგნიძე,** მაია ლომინეიშვილი.

სამი ტურის შემდეგ ვაჟებში სამ-სამი მოგებითა და 6-6 ქულით ლიდერობენ სლოვენია, აზერბაიჯანი, ჰოლანდია და რუსეთი. საქართველოს ნაკრები 2 ქულით 24-ე ადგილზეა. დღეს ჩვენი მეტოქეა ფინეთის ნაკრები.

ჩვენი ქალები მეოთხე-მეთოთხმეტე ადგილებს იყოფენ 4 ქულით და კოეფიციენტით მერვეზე არიან. ჩვენ წინ მხოლოდ სამი გუნდია 6-6 ქულით - უნგრეთი, პოლონეთი და რუსეთი. მეოთხე ტურში სერბეთს ვეთამაშებით.

**ზვიად შათირიშვილი**

ნანა ძაგნიძემ ზედიზედ მეორე პარტია მოიგო

ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ

## სხირტლაძისა და მაისურაძის ჭურნირი ონში

ᲝᲜᲨᲘ გაიმართა კადეტთა ტრადიციული, საქართველოს საშინაო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონის (1959), ოლიმპიური თამაშების ორგზის ბრინჯაოს მედალოსნის, **გიორგი სხირტლაძისა** და სტუდენტთა საერთაშორისო თამაშების (1954), ვეტერანთა შორის მსოფლიოს ორგზის გამარჯვებულის, სსრკ პრიზიორის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის **შურა მაისურაძის** სახელობის ტურნირები. სხვათა შორის, შ. მაისურაძეს ახლახან 80 წელი შეუსრულდა. მის სახელს ატარებს ონის "ცირკიც" (საჭიდაო დარბაზი). გიორგი სხირტლაძე გახლავთ რაჭის სოფელ მრავალძალიდან, შურა მაისურაძე - სხანარიდან.

12 ქალაქისა და რაიონის 122 მოჭიდავის ასპარეზობაში პირველი ადგილები მოიპოვეს: **რობერტ დინგაშვილმა** (ყვარელი), **თორნიკე ჩოხელმა** (გარდაბანი), **გიორგი გელაშვილმა** (ხაშური), **ბექა ბუჯიაშვილმა, ამირან ყაზარაშვილმა** (ორივე გორი), **ონიკე ლაიშვილმა** (ონი), **ზურაბ იაკობაშვილმა, ალეკო ხაჩატურიანმა** (ორივე - ყვარელი), **კონსტანტინე გავაშელმა** (თბილისი), **ბექა პეტრიაშვილმა** (საგარეჯო), **თენგიზ ჩოჩიშვილმა** (გორი), **სანდრო ამირანაშვილმა** (თბილისი), **არჩილ გოგრიჭიანმა** (რუსთავი), **თედო ებანოიძემ** (თბილისი) და **შოთა მეტრეველმა** (თბილისი).

სპეციალური პრიზები დაიმსახურეს ლევან და გიორგი გოგრიჭიანებმა, მონონება ხვდა შოთა მეტრეველს გამოსვლასაც.

**ბარჯი გაგოძე**

ᲩᲔᲒᲑᲘ


BTA Silk Road Bank

ᲙᲕᲐᲠᲪᲘᲢᲘ QUARTZITE

LOYALCAPITAL group

ბურგ ან ბრესი-მასი. ბურთით ვიქტორ დიდებულიძე

## მესამე, ფედერალური

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ფედერალურ დივიზიონებში მესამე ტურის შეხვედრები გაიმართა. A ჯგუფში ერთპიროვნული ლიდერი და ჯერჯერობით დაუმარცხებელია **შალვა სუთიაშვილისა** და **დავით გასვიანის** "ბობინი". პარიზულმა გუნდმა სტუმრად დაამარცხა "ტური" 16:13. ქართველ მორაგბეებს "ბობინის" შემადგენლობაში ჯერ არ უთამაშიათ.

ამავე ჯგუფში 9 ქულით მეორე ადგილზე დამკვიდრდა **ირაკლი აბუსერიძის** "ორლეანი", რომელმაც შინ დაამარცხა ერთ დროს მრისხანე, ამჯერად კი აუტსაიდერი "პუატიე" 19:12. აბუსერიძე თამაშში 74-ე წუთიდან ჩაერთო.

9 ქულა აქვს და მესამე ადგილზეა **დიმიტრი ხოჭოლავას** "სერჟი პონტუაზი", რომელმაც შინ უშეღავათო ბრძოლაში მინიმალური სხვაობით 26:25 დაამარცხა **სანდრო ესაკიასა** და **ოთარ ელოშვილის** "სენ ნაზერი". ხოჭოლვა თამაშში 39-ე წუთიდან ჩაერთო და 65-ე წუთზე გაასინბინეს. ესაკიამ თავიდან ბოლომდე ითამაშა, ელოშვილმა თამაში დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა. "სენ ნაზერი" 5 ქულით ბოლოსნინა მე-7 ადგილზეა. სტუმრად ვანში დამარცხდა **სოსო ნიკოლაენკოს** "რუანი" 9:12 და ახლა 6 ქულით მეექვსე ადგილზეა.

რადიკალურად განსხვავებულია ქართველ მორაგბეთა გუნდების მდგომარეობა B ჯგუფში. ოთხივე მათგანი, დღეისათვის სატურნირო ცხრილის მეორე ნახევარში იმყოფება. ყველაზე უკეთესი მაჩვენებელი აქ **რატი ურუშაძის** "ლონსს" აქვს, რომელიც 6 ქულით მე-5 ადგილზეა. ლონსელებმა სტუმრად წააგეს "ზალონთან" 6:21. ურუშაძემ თავის სადებიუტო შეხვედრაში თავიდან ბოლომდე ითამაშა.

5 ქულით მეექვსე ადგილზეა **ზურაბ მჭედლიშვილის, ალექსანდრე მარგველაშვილისა** და **გიორგი ნემსაძის** "დომონი". პარიზელებმა პირველი გამარჯვება საკუთარ მოედანზე **პალიკო ჯიმშელაძის** "შამბერის" წინააღმდეგ მატჩში მოიპოვეს 26:9. მჭედლიშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა, მარგველაშვილი შეხვედრაში 34-ე, ხოლო ნემსაძე 35-ე წუთიდან ჩაერთო. ჯიმშელაძე ტრავმირებულია, მისი "შამბერი" კი 4 ქულით, ბოლო, მერვე ადგილზეა.

5 ქულა აქვს და მე-7 ადგილი უკავია **ვიქტორ დიდებულიძის, გიორგი ჩხაიძის** და **დავით დადუნაშვილის** "მასის", რომელმაც სტუმრად წააგო ერთპიროვნულ ლიდერ "ბურგ ან ბრესთან" 15:12. დიდებულიძე 49-ე წუთზე შეცვალეს, ხოლო ჩხაიძე 56-ე წუთზე, დადუნაშვილს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია. C ჯგუფში სამი წაგებით ცხრილის ფსკერზე მოექცა **დიმა პავლოვის** "ნიცა". მესამე ტურში ნიცელებმა სტუმრად "რუმიისთან" დათმეს - 6:15. პავლოვი განაცხადში არ იყო. ბოლო ადგილზეა D ჯგუფში **ირაკლი გუნდიშვილის** "მიიოც", რომელიც ამჯერად გასვლით მატჩში დამარცხდა "ლავორთან" 10:34. გუნდიშვილი ძირითად შემადგენლიბაში იყო და მე-17 წუთზე შეცვალეს.

გაცილებით უკეთ ასპარეზობს F ჯგუფში **თედო ზიბზიბაძის** "პერიგო", რომელიც 11 ქულით სატურნირო ცხრილში მეორე აგილზეა. პერიგოელებმა საკუთარ მოედანზე ერთ-ერთი კონკურენტი "ტიროსი" დაამარცხეს 24:19. ზიბზიბაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა.

ᲚᲘᲓᲔᲠᲝᲑᲐ შორის არიან ფედერალ 2-ში მოასპარეზე ქართველ მორაგბეთა გუნდები. A ჯგუფში **დავით ბოლღაშვილის** "ლილმა" შინ დაამარცხა "ორსაი" 11:3 და 8 ქულით მე-2 ადგილზე დამკვიდრდა. ამდენივე ქულა აქვს ოღონდ მესამე ადგილზეა B ჯგუფში **ლევან დათუნაშვილისა** და **რეზო გიგაურის** "მონლუსონი", რომელმაც სტუმრად დამაჯერებლად დაამარცხა "ვიარს ლე დომბე" 35:5.

7 ქულა აქვს და მე-3 ადგილზეა **ბადრი ხეხელაშვილის** "კონიაკი", რომელმაც მესამე ტურში შინ მშრალი ანგარიშით დაამარცხა "ლა ტესტი" 16:0.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲘ

## სამჭრედია ლიდერობს

ᲒᲚᲓᲐᲜᲘᲡ ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის კომპლექსში დასრულდა 1992-93 წლებში დაბადებულ ვაჟ ხელბურთელთა ჩემპიონატის საშემოდგომო ეტაპი. როგორც იცით, ჩემპიონატში მონაწილე რვა გუნდი დაყოფილია აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებად. პირველ წრეში, ორივე ზონის გუნდებმა ჯგუფური მატჩები გამართეს. ახლა კი რვავე გუნდი გაერთიანდა და თბილისში ეთამაშნენ ერთმანეთს. აღსანიშნავია, რომ მეორე წრე ხელბურთის ფედერაციამ დაამთხვია "ჩელენჯ ტროფს". პატარა ხელბურთელები თითოეული ტურის დამთავრების შემდეგ, სპორტის სასახლეში მიდიოდნენ და ეროვნულ ნაკრებს ქომაგობდნენ...

საბოლოოდ, თბილისური ეტაპის დამთავრების შემდეგ, ერთპიროვნულად გალიდერდა "სამტრედია", რომელსაც 7 მატჩიდან ყველა მოგებული აქვს. სამტრედიელებმა აღმოსავლეთა ზონის მათსავით ნაუგებელი გუნდი – "რუსთავიც" დაამარცხეს და ორი ქულით გადაუსწრეს. მესამე ადგილზე 10-ქულიანი "გორია", ხოლო შემდეგ პოზიციებზე მოდიან "თბილისი", "ყვარელი" (5-5 ქულა), "ქუთაისი" და "ფოთი" (4-4 ქულა). ერთადერთი გუნდი, რომელსაც ქულათა გრაფაში ჯერჯერობით, ნული უწერია, "ბათუმია".

ბომბარდირთა დავაში, 34 გოლით ლიდერობს რუსთაველი **დავით მძელური**. 26 გოლით მესამე ადგილზეა მძელურის თანაგუნდელი **შალვა მუქთიაშვილი,** ხოლო მათ შორის გორელი **გუგა ხაბაზიშვილი** (30 გოლი) იმყოფება.

შემდეგი ტური მიმოსვლითი სისტემით გაიმართება.

**კობა ხატისაშვილი**

ХОКЕЙ

## ფორსბერგი ნაკრებში ბრუნდება

სასიამოვნო ინფორმაცია შეიტყვეს შვედური ჰოკეის გულშემატკივრებმა. ცნობილმა ფორვარდმა **პიტერ ფორსბერგმა** ტრავმა მოირჩინა და კარიერის განახლებას აპირებს. კერძოდ, შვედეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ბენგტ-აკე გუსტაფსონმა** ფორსბერგს ეროვნულ გუნდში უხმო. "ტრე კრუნურს" 8-11 ნოემბერს ჰელსინკში, ევროტურის პირველ ეტაპზე (კარიალას თასი) უწევს გამოსვლა.

ბოლო ერთი თვის განმავლობაში, ფორსბერგი მშობლიურ ქალაქ ორნსკოლდსვიკში კლუბ "მოდოსთან" ერთად ვარჯიშობს. ლეგენდარულ ფორვარდს ჯერ არ გადაუწყვიტავს, გააგრძელებს თუ არა კარიერას ჰოკეის ეროვნულ ლიგაში, სადაც მას რამდენიმე კლუბი ეპატიჟება. ერთი კი ცხადია, რომ 34 წლის ფორსბერგი ჰოკეისთან გამოთხოვებას ჯერ არ აპირებს.

## ჯონსი ორი მაგჩით დაისაჯა

ჰოკეის ეროვნული ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა "ფილადელფია ფლაიერზის" მცველი **რენდი ჯონსი**, რომელმაც რეგულარულის ერთ-ერთ ბოლო ტურში მძიმე ტრავმა მიაყენა "ბოსტონ ბრუინზის" ფორვარდ **პატრის ბერჟერონს**. ამ უკანასკნელმა ცხვირი გაიტეხა და ტვინის შერყევა მიიღო.

ამ სეზონში ეს არ არის "ფლაიერზის" ჰოკეისტთა უხეშობის პირველი შემთხვევა. 20-მატჩიან დისკვალიფიკაციას იხდის **სტივ დაუნი**, რომელმაც "ოტავას" ფორვარდ **დინ მაკამონდს** მიაყენა ტრავმა. უფრო ხანგრძლივი, 25-მატჩიანი სასჯელი მისცეს **ჯესი ბულრაისს** ვანკუვერელი **რაიან კესლერის** წინააღმდეგ გამოჩენილი უხეშობისთვის.

## ბონდრა წავიდა და დარჩა

ცნობილმა სლოვაკმა ფორვარდმა **პეტერ ბონდრამ** კარიერის დასრულება გადაწყვიტა. ამის შესახებ, თავად ჰოკეისტმა საკუთარი ვებ-გვერდის საშუალებით ამცნო საზოგადოებას. ამასთან, 39 წლის ბონდრამ ისიც განაცხადა, რომ უკვე აქვს ახალი სამსახური - მომავალ წელს, ის კანადის მსოფლიო ჩემპიონატზე სლოვაკეთის ნაკრების გენერალური მენეჯერის ფუნქციებს შეასრულებს.

*"კარიერის დასრულების შესახებ გადაწყვეტილება კარგა ხნის წინ მივიღე, ახალი პოსტზე დანიშვნა კი ძალიან მესიამოვნა. შევეცდები სლოვაკეთის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატზე ერთ-ერთი სინჯის მედალი მოვაპოვებინო"*, - წერია ბონდრას ვებ-გვერდზე.

ამ თავდამსხმელმა ჰოკეის ეროვნულ ლიგაში 1081 მატჩი ჩაატარა. მის ანგარიშზე 892 ქულა (503 გოლი+389 შედეგიანი პასი) მოდის. ბონდრას თავისი საუკეთესო წლები "ვაშინგტონში" აქვს გატარებული, გარდა ამისა, "ოტავაში", "ატლანტასა" და "ჩიკაგოშიც" უთამაშია. 2002 წელს მან სლოვაკეთის ნაკრების რიგებში მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს მედალი მოიგო.

ФОРМУЛА 1

## ზაუბერმა ციმერმანი აიყვანა

წლევანდელი სეზონის აღმოჩენად მიჩნეული "BMW-ზაუბერის" შეფობამ გუნდის კონსტრუქტორთა ბიუროს ხელმძღვანელად **კრისტოფ ციმერმანი** დანიშნა. ამ პოსტზე მან "ჰონდაში" გადასული **იორგ ცანდერი** შეცვალა. ციმერმანის უშუალო შეფი "ზაუბერის" ტექნიკური დირექტორი **ვილი რამპფი** იქნება.

*"ციმერმანი ძალიან მაღალი დონის სპეციალისტია. მას უდიდესი გამოცდილება გააჩნია და ჩვენი მუშაობის ყველა წვრილმანს კარგად იცნობს"*, - განაცხადა BMW-მოტოსპორტის ხელმძღვანელმა **მარიო ტიისენმა**.

## პემილტონი შვეიცარიაში მიდის

მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **ლუის ჰემილტონი** შვეიცარიაში აპირებს საცხოვრებლად გადასვლას. ამის შესახებ ბრიტანელმა პილოტმა გუშინ გამოაცხადა. ამ ნაბიჯით, "მაკლარენის" პილოტი ცდილობს, აღკვეთოს მის ცხოვრებაში ჟურნალისტების აქტიური ჩარევა - ლუისს ბრიტანეთში გასაქანს არ აძლევენ. *"შვეიცარიაში უკან არავინ დაგდევს და ნორმალური ცხოვრების საშუალება გაქვს"*, - აცხადებს 22 წლის ჰემილტონი.

წლევანდელი სეზონის ტრიუმფატორი, ფინელი **კიმი რაიკონენი** და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ესპანელი **ფერნანდო ალონსო** ასევე შვეიცარიაში ცხოვრობენ. ამავე ქვეყანაში აქვს სახლი ლეგენდარულ გერმანელ **მიხაელ შუმახერს**.

*"მივემგზავრები ქვეყანაში, რომლის შესახებაც თითქმის არაფერი ვიცი. ეს ძალიან საინტერესოა. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება არც ისე ადვილი იყო. დიდი ხანი ვოცნებობდი ლონდონში გადასვლაზე, მაგრამ ახლა სხვაგვარად გადავწყვიტე. მეგობრებსა და ოჯახის წევრებს შეუძლიათ ჩემს ახალ სახლში მომინახულონ ხოლმე"*, - ამბობს ბრიტანელი პილოტი.

■ ■ ■

მიუხედავად ამ გადაწყვეტილებისა, ჰემილტონს ბრიტანეთში დიდ პატივს სცემენ. ამას ადასტურებს თუნდაც ის, რომ ლუისის მშობლიურ ქალაქ სტევენიეჯში (ჰარტფორდშირის საგრაფო) ერთ-ერთ ქუჩას პილოტის სახელი ეწოდა.

*"ლუისის წარმატებებმა სტევენეიჯის ყველა მცხოვრებს გაუხალისა ცხოვრება. აქაურები ამაყობენ, რომ ჰემილტონი ჩვენიანია. მან ეს ქალაქი ასახელა და ახალგაზრდობისთვის მისაბაძ მაგალითად იქცა"*, - განუცხადა BBC-ის სტევენეიჯის საქალაქო საბჭოს ხელმძღვანელმა **შერონ ტეილორმა**.

## კოვალაინენი მაკლარენში?

საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა f1magazin-მა. "რენოს" ფინელმა პილოტმა **ჰეიკი კოვალაინენმა** დაადასტურა, რომ თავისი მომავალი კარიერის გარშემო ფორმულა 1-ის რამდენიმე გუნდთან ჰქონდა მოლაპარაკებები და მათ შორის იყო "მაკლარენ-მერსედესიც".

შეგახსენებთ, რომ 26 წლის ფინელი ერთ-ერთია იმათგან, ვისაც ბრიტანულ საჯინიბოში **ფერნანდო ალონსოს** ადგილს უწინასწარმეტყველებენ. თავად ალონსო კი, შესაძლოა გაისად "რენოში" დაბრუნდეს ან "BMW-ზაუბერში" გაგრძელოს კარიერა.

*"ბევრ გუნდთან მქონდა მოლაპარაკება, თუმცა ამ ეტაპზე რაიმე კონკრეტული თქმა ძნელია, მით უმეტეს, რომ "რენოსთან" მოქმედი კონტრაქტი მაკავშირებს"*, - აცხადებს კოვალაინენი.

## მასას ცოლი მოპყავს

"ფერარის" ბრაზილიელი პილოტი **ფელიპე მასა** დაქორწინებას აპირებს. მართალია, ავტომრბოლს მომავალი ქორწილის შესახებ კომენტარი არ გაუკეთებია, მაგრამ პრესაში უკვე გაჩნდა კონკრეტული თარიღი - 30 ნოემბერი.

ცნობილია, რომ მასას უკვე დიდი ხანია რომანი აქვს **რაფაელა ბასისთან**, რომელიც მომავალ მეუღლეზე ერთი წლით უფროსია. ბრაზილიელი პილოტის გერლფრენდის სტატუსით, ბასი ხშირად მონაწილეობდა ფორმულა 1-ის ოფიციალურ ცერემონიალებში, მაგალითად ცოტა ხნის წინათ, მან პილოტების სხვა ცოლებთან და მეგობრებთან ერთად, Raymond Weil-ის ელიტური საათების პრეზენტაცია მოაწყო.

იტალიური პრესა წერს, რომ ორშაბათს, მასა და ბასი მილანში, Dolce-Gabbana-ს ერთ-ერთ სალონში შენიშნეს, სადაც ისინი საქორწინო კაბას არჩევდნენ.



## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**რეინჯერსი-ტამპა ბეი 3:1**

1:0, 0:1, 2:0

**გოლები:** 1:0 დოუვსი-3 (მარა-1, შენეპანი-3), 1:1 ლეკავალიე-6 (ბულიტი), 2:1 იაგრი-3 (როუსივალი-4, დრური-6), 3:1 შენეპანი-2 (დრური-7, იაგრი-8).

**ტორონტო-ვაშინგტონი 1:7**

1:4, 0:2, 0:1

**გოლები:** 0:1 ბ. გორდონი-1 (ბრედლი-1), 1:1 პონიკაროვსკი-4 (სუნდინი-13, ჯ. ბლეიკი-11), 1:2 პეტინგერი-1 (ვიქ. კოზლოვი-4, ნიულანდერი-5), 1:3 ოვეჩკინი-7 (ვიქ. კოზლოვი-5, ბ. გორდონი-1), 1:4 შულტეი-1 (ნიულანდერი-6, პეტინგერი-2), 1:5 ბრედლი-1 (ერსკინი-3), 1:6 ოვეჩკინი-8 (პოტიე-6, ნიულანდერი-7), 1:7 სატერბი-1 (ბრედლი-2, ფლიმმანი-2).

**დალასი-სან ხოსე 2:4**

1:1, 1:0, 0:3

**გოლები:** 1:0 რიბეირო-4 (ბუშე-6, მოროუ-7), 1:1 პაველსკი-2 (ჩიჩუ-2, რისმილერი-1), 2:1 ნისკანენი-1 (მოდანო-3, ფედორუკი-1), 2:2 სეტოგუჩი-1 (ჯ. ტორნტონი-8, მ. კლარკი-5), 2:3 სეტოგუჩი-2 (ჯ. ტორნტონი-9, მ. მიხალეკი-2), 2:4 ბერნიე-3.

### ჯერის მოვლენები

- "რეინჯერსმა" ბოლო შვიდ მატჩში მეორე გამარჯვებას მიაღწია.

- ნიუიორკელებს ლიგაში ყველაზე ცოტა, 19 გოლი აქვთ გატანილი.

- "ტამპა ბეის" სტუმრად ჯერ ქულა არ აქვს მოპოვებული. "ლაითნინგს" გასვლით მატჩებში ოთხიდან ოთხი წაგება აქვს. შინ კი, ამ გუნდმა ექვსიდან ხუთი შეხვედრა მოიგო და ერთხელ ოვერტაიმში დამარცხდა.

- "რეინჯერსის" ლიდერს **იარომირ იაგრს** პირველ პერიოდში ციგური გაუტყდა, მეორეში ხელთათმანი გაეხა, ხოლო მესამეში - კბილი დაკარგა.

■ ■ ■

- "ტორონტოსთან" მატჩში "ვაშინგტონ კეპიტალზის" ხუთმა მოთამაშემ გაიტანა სეზონში პირველი გოლი.

- "ტორონტოს" ჩემპიონატში ყველაზე მეტი - 51 გოლი აქვს გაშვებული.

- კანადურმა კლუბმა ამ სეზონში მეორედ წააგო შინ ანგარიშით - 1:7. "მეიპლ ლივზს" საკუთარ მოედანზე ცხრიდან მხოლოდ სამი მოგება აქვს.

■ ■ ■

- "სან ხოსეს" რიგებში დებიუტი ჰქონდა **დევინ სეტოგუჩის**, რომლის მიერ სამი წუთის ინტერვალში გატანილმა ორმა გოლმა "ზვიგენებს" გამარჯვება მოუტანა. ეს ჰოკეისტი "შარქსმა" 2005 წლის დრაფტის მერვე ნომრად აირჩია.

- "დალასის" ვეტერანმა ფორვარდმა **მაიკ მოდანომ** ერთი საგოლე პასი შეასრულა და კარიერაში 1231 ქულა დაუგროვდა. ახლა ამ თავდამსხმელს ორი ქულა აკლია იმისთვის, რომ **ფილ ჰაუსლის** გაუსწროს და ლიგის ისტორიაში ყველაზე შედეგიანი ამერიკელი ჰოკეისტი გახდეს.

### კვირის სამი ვარსკვლავი

ზედიზედ მესამე კვირაა, "პირველი ვარსკვლავის" სტატუსი მეკარის კუთვნილება ხდება. კაროლინელი **კემ უორდისა** და ფილადელფიელი **მარტინ ბირონის** შემდეგ, ეს ტიტული "ლოს ანჯელეს კინგზის" მეკარის, **ჯეისონ ლაბერბერას** კუთვნილება გახდა.

გასულ კვირას, ლაბარბერამ სამ მატჩში მხოლოდ ორი გოლი გაუშვა და ერთი "შათაუტი" შეასრულა. ის საშუალოდ 0.67 გოლს უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 95.2 პროცენტს იგერიებდა.

მეორე და მესამე ვარსკვლავები "კაროლინას" ცენტრალური ფორვარდი **როდ ბრინდამორი** და "ვაშინგტონის" მარცხენა ფრთა **ალექსანდრ ოვეჩკინი** გახდნენ.

ბრინდამორი წინა შვიდი დღის ბომბარდირი გახდა. ოთხ მატჩში მის ანგარიშზე ხუთი გოლი და ოთხი პასი იყო.

მაიკ მოდანო

### აღმოსავლეთი კონფერენცია

| | თ | მ | ნ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ოტავა* | 10 | 9 | 1 | 0 | 18 |
| 2. კაროლინა* | 12 | 7 | 2 | 3 | 17 |
| 3. ფილადელფია* | 10 | 7 | 3 | 0 | 14 |
| 4. მონრეალი | 10 | 6 | 2 | 2 | 14 |
| 5. ტორონტო | 13 | 5 | 5 | 3 | 13 |
| 6. ბოსტონი | 10 | 6 | 4 | 0 | 12 |
| 7. ტამპა ბეი | 10 | 5 | 4 | 1 | 11 |
| 8. პიტსბურგი | 10 | 5 | 4 | 1 | 11 |
| 9. აილანდერსი | 9 | 5 | 4 | 0 | 10 |
| 10. ბაფალო | 10 | 5 | 5 | 0 | 10 |
| 11. ვაშინგტონი | 11 | 5 | 6 | 0 | 10 |
| 12. რეინჯერსი | 11 | 4 | 6 | 1 | 9 |
| 13. ფლორიდა | 11 | 4 | 7 | 0 | 8 |
| 14. ნიუ ჯერსი | 10 | 3 | 6 | 1 | 7 |
| 15. ატლანტა | 11 | 3 | 8 | 0 | 6 |

### დასავლეთი კონფერენცია

| | თ | მ | ნ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. დეტროიტი* | 12 | 9 | 2 | 1 | 19 |
| 2. მინესოტა* | 11 | 7 | 2 | 2 | 16 |
| 3. სან ხოსე* | 12 | 6 | 5 | 1 | 13 |
| 4. კოლორადო | 11 | 7 | 4 | 0 | 14 |
| 5. კოლუმბუსი | 10 | 6 | 3 | 1 | 13 |
| 6. კალგარი | 11 | 5 | 3 | 3 | 13 |
| 7. სტ. ლუისი | 9 | 6 | 3 | 0 | 12 |
| 8. დალასი | 11 | 5 | 4 | 2 | 12 |
| 9. ლოს ანჯელესი | 12 | 6 | 6 | 0 | 12 |
| 10. ჩიკაგო | 11 | 5 | 6 | 0 | 10 |
| 11. ვანკუვერი | 12 | 5 | 7 | 0 | 10 |
| 12. ედმონტონი | 12 | 5 | 7 | 0 | 10 |
| 13. ანაჰაიმი | 13 | 4 | 7 | 2 | 10 |
| 14. ნეშვილი | 10 | 4 | 6 | 0 | 8 |
| 15. ფინიქსი | 9 | 3 | 6 | 0 | 6 |

*შენიშვნა: * - დივიზიონის ლიდერი*

### ბომბარდირები (გოლი+პასი)

| | |
|---|---|
| ზეტერბერგი (დეტ) | 21 (9+12) |
| სუნდინი (ტორ) | 19 (6+13) |
| ბრინდამორი (კარ) | 18 (6+12) |
| იგინლა (კალ) | 16 (6+10) |
| ჯეს. უილიამსი (კარ) | 16 (5+11) |
| ე. სტაალი (კარ) | 15 (9+6) |
| ანდროვოვი (ტორ) | 15 (8+7) |
| ლინგკოუ (კალ) | 15 (8+7) |
| ოვეჩკინი (ვაშ) | 15 (8+7) |
| შჩასტნი (კოლორ) | 15 (5+10) |

### გოლეადორები

| | |
|---|---|
| კამალერი (ლ-ანჯ) | 10 |
| ზეტერბერგი (დეტ) | 9 |
| პროსპალი (ტ-ბეი) | 9 |
| ე. სტაალი (კარ) | 9 |
| ოვეჩკინი (ვაშ) | 8 |
| ნეში (კოლამ) | 8 |
| ანტროვოვი (ტორ) | 8 |
| ბოიესი (ს-ლუის) | 8 |
| ლინგკოუ (კალ) | 8 |
| ჰულმსტრიომი (დეტ) | 8 |

### ასისტენტები

| | |
|---|---|
| სუნდინი (ტორ) | 13 |
| ზეტერბერგი (დეტ) | 12 |
| ბრინდამორი (კარ) | 12 |
| სპეცა (ოტა) | 12 |
| კარია (ს-ლუის) | 11 |
| ჯეს. უილიამსი (კარ) | 11 |
| დაციუკი (დეტ) | 11 |
| ჯ. ბლეიკი (ტორ) | 11 |



ПЕКИНი 2008

# ბილეთებიs ბუმი პეკინში

პეკინის ოლიმპიადის ორგანიზატორებმა ბილეთების მეორე ტრანში გახსნეს და მაშინვე უამრავ პრობლემას წააწყდნენ. ბილეთებზე იმდენად დიდი მოთხოვნილებაა, რომ ტრანშის გახსნისთანავე გადაიტვირთა ბილეთების დაჯავშნის კომპიუტერული სისტემა. გადატვირთულია საორგანიზაციო კომიტეტის სატელეფონო ხაზებიც. იმ პუნქტებში კი, სადაც ბილეთები სალაროებში იყიდება, გუშინ დილიდან გრძელი რიგები წარმოიქმნა.

ორგანიზატორთა განცხადებით, ბილეთების სარეალიზაციო ინტერნეტ-გვერდზე ორ საათში რვა მილიონმა ადამიანმა მოასწრო შესვლა. გარდა ამისა, საორგანიზაციო კომიტეტში, ბილეთებთან დაკავშირებით, უკვე ორი მილიონი სატელეფონო ზარია შესული.

*"ასეთი აჟიოტაჟის გამო, ჩვენი სისტემა ძალიან ნელა მუშაობს და ამიტომ, ვიზიტორებს საიტში შესვლა უჭირთ. ყველა ლონეს ვხმარობთ იმისთვის, რომ წარმოქმნილი პრობლემა აღმოვფხვრათ. ამასთან, სანამ ამას შევძლებდეთ, ბილეთების შეძენის მსურველებს ვურჩევთ, მოთმინება გამოიჩინონ და საიტზე შესვლა მოგვიანებით სცადონ"*, - ნათქვამია პეკინის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის განცხადებაში.

სულ ოლიმპიადაზე შვიდი მილიონი ბილეთი გაიყიდება. აქედან 1.6 მილიონი საზღვარგარეთის ქსელში უკვე გაიყიდა. ამგვარად, ჩინელებს ბილეთების შეძენის საშუალება პირველად ეძლევათ. პეკინი ბილეთების შიდარეალიზაციისთვის კარგა ხნით ადრე მოემზადა. ამისთვის, ჩინეთის ბანკმა თავის ათასზე მეტ ფილიალში გახსნა სარეალიზაციო პუნქტი. ხალხმა რიგების დაკავება ბილეთების რეალიზაციის დაწყებამდე ექვსი საათით ადრე დაიწყო. მეორე ტრანში სულ 1.85 მილიონი ბილეთის გაყიდვას ითვალისწინებს.

საორგანიზაციო კომიტეტის კომპიუტერული სისტემა ბილეთების გაყიდვის დაწყებიდან რამდენიმე წუთში გაიჭედა, რის გამოც, რიგში მდგარ ხალხს რამდენიმე საათი ლოდინი უწევდა. რიგში თურმე ასეთი შემთხვევა მომხდარა. ერთ ჩინელ ქალბატონს უკანა რიგში მყოფი ინვალიდი შეუნიშნავს და მისთვის შემდეგი უთქვამს: სხვა დროს, რიგს აუცილებლად დაგითმობდი, მაგრამ ეს სულ სხვა შემთხვევაა. ოლიმპიადაზე დასწრების საშუალება სხვა დროს შეიძლება არ მომეცეს და ამ შანსის ხელიდან გაშვება არ მსურსო.

მოკლედ, ბილეთებზე აჟიოტაჟური მოთხოვნის შედეგი ის გახდა, რომ მათი გაყიდვის დაწყებიდან დაახლოებით ერთი საათის შემდეგ, სულ 12 ბილეთი იყო გაყიდული. უკანა რიგში მდგარი ხალხი ბანკის თანამშრომლებს თავიანთი ტელეფონის ნომრებს აწერინებდა იმის იმედით, რომ ისინი შეატყობინებდნენ, როცა მათი რიგი მოვიდა.

ამ ეტაპზე, განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა ოლიმპიადის გახსნის, საფეხბურთო ფინალისა და მძლეოსნობის იმ დღის ბილეთებზე, როცა სარბენი ბილიკი 110 მეტრზე თარჯმრბენებს დაეთმობა. შეგახსენებთ, რომ ამ დისციპლინაში ასპარეზობის მსოფლიოს რეკორდსმენი, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ჩინელი **ლიუ სიანი**.



პეკინის ოლიმპიური სტადიონი ჯერ არ აშენებულა მისი ბილეთები კი უკვე იყიდება

ᲖᲔᲛᲫᲘᲛᲔ ᲬᲝᲜᲐ

# ᲑᲔᲠᲓᲘᲡ ᲤᲐᲕᲝᲠᲘᲢᲘ ᲞᲝᲕᲔᲢᲙᲘᲜᲘᲐ

ᲖᲔᲛᲫᲘᲛᲔ ᲬᲝᲜᲐᲨᲘ მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, ამერიკელი **კრის ბერდი** დარწმუნებულია, რომ IBF-ის (კრივის საერთაშორისო ფედერაცია) შემდეგი ჩემპიონი რუსი **ალექსანდრ პოვეტკინი** გახდება. ახლახან 37 წლის ბერდმა სწორედ პოვეტკინისგან იწვნია სასტიკი მარცხი, რითაც ფაქტობრივად, კიდევ უფრო მიუახლოვდა საკუთარი პროფესიული კარიერის ბოლოს.

ბერდის ბანაკმა რინგზე პირსახოცი მე-11 რაუნდში, მას შემდეგ გადმოაგდო, რაც რუსმა ნაჩემპიონარს უმოწყალოდ ცემა დაუწყო. სახედასისხლიანებული ბერდი თავის დაცვასაც კი ვეღარ ახერხებდა და უმწეოდ ცდილობდა აგრესორის მოგერიებას.

*"ის კარგად მომზადებული იყო, მთელი ბრძოლის განმავლობაში გაშმაგებით მიტევდა და გამარჯვებაც დაიმსახურა. პოვეტკინი ახალგაზრდა ვეფხვივითაა, ასეთი კი საკუთარ თავს მაგონებს, როცა პროფესიულ რინგზე 13 ბრძოლიდან ყველა მოგებული მქონდა და ჩემპიონობას ვესწრაფოდი. მას შესანიშნავი მომავალი აქვს და გარწმუნებთ, აუცილებლად გახდება მსოფლიოს ჩემპიონი"*, - წაგების შემდეგ განაცხადა ბერდმა (40-4-1), ვინც ხუთი წლის წინათ სწორედ IBF-ის ტიტული მოიპოვა მას შემდეგ, რაც ლეგენდარულ **ევანდერ ჰოლიფილდს** ქულებით აჯობა.

ყოფილმა ჩემპიონმა თავის შემდგომ კარიერაზე განაცხადა, რომ ხელთათმანებს ლურსმანზე მაშინვე დაკიდებს, როგორც კი ამერიკელ მოკრივესთან ბრძოლა გაგებს. ამავდროულად, ბერდი აღიარებს, რომ ოდინდელივით მკვირცხლი აღარაა. ამასვე ამბობს მისი მამა, **ჯოი ბერდიც**: *"პირველად ვნახე, რომ ბრძოლის დროს ჩემს შვილს ამდენი მოხვდა. პოვეტკინი აშკარად მაგარი ბიჭია. გარწმუნებთ, მაგას მალე ჩემპიონის სარტყელით იხილავთ"*.

ბერდთან გამარჯვების შემდეგ, პოვეტკინს, ვინც ათენში ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედალს დაეუფლა, პროფესიულ რინგზე ჯერ წაგება არ აქვს და უკვე 14 გამარჯვება დაუგროვდა. მათგან 11 ბრძოლა ნოკაუტით მოიგო. მას კიდევ ერთი ბრძოლის მოგება სჭირდება იმისთვის, რომ IBF-ის ახლანდელ ჩემპიონთან, უკრაინელ **ვლადიმირ კლიჩკოსთან** შეხვედრის უფლება მოიპოვოს. მისი მომდევნო მეტოქის ვინაობას კი **კელვინ ბროკისა** და **ედი ჩემბერსის** ბრძოლა გაარკვევს, რომელიც ნოემბერში ჩატარდება.

*"ბერდთან გამარჯვება ჩემს სპორტულ კარიერაში ერთ-ერთი გამორჩეული მოვლენაა. ის მეტად ძლიერი და გამოცდილი მოკრივეა. ის თავს კარგად იცავდა, მაგრამ მეც მეტისმეტად მონდომებული ვიყავი. მოკლედ, ამ გამარჯვებით, ჩემი მთავარი მიზნისკენ დიდი ნაბიჯი გადავდგი. კლიჩკოსთან შეხვედრაზე ჯერ არ ვფიქრობ. ჯერ სხვა მეტოქე მეყოლება და ეს ბარიერი მექნება გასავლელი. თუ გავიარე, მერე კლიჩკოს დროც მოვა. მთავარია, ვარჯიშის დროს კვლავ არ დავზოგო თავი"*, - ამბობს პოვეტკინი, ვინც მოუთმენლად ელის ბროკისა და ჩემბერსის ბრძოლას.

კრის ბერდი თავის მეუღლესთან და შვილთან ერთად

ᲛᲫᲚᲔᲝᲜᲝᲑᲐ

## ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲛᲐ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲔᲚᲐ

ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ მძლეოსნობის ფედერაციამ ამ სეზონის ლაურეატები გამოაცხადა. მამაკაცებს შორის, ქვეყნის საუკეთესო ათლეტად სპრინტერი **მარლონ დევონში** გამოცხადდა. ამ მძლეოსანმა ეს ტიტული ზედიზედ მეორედ დაიმსახურა.

31 წლის დევონიშმა 100 და 200 მეტრ დისტანციებზე ქვეყნის ჩემპიონატი მოიგო, ხოლო ოსაკაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე, ბრინჯაოს მედალი მიიღო 4x100 მეტრზე ესტაფეტაში. ამავე ტურნირზე მან 100 მეტრზე პირადი რეკორდი დაამყარა (10.06 წამი) და ფინალში მეექვსე დრო აჩვენა.

ქალებს შორის საუკეთესოდ **კრისტინ ოჰურუოგუ** დასახელდა, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა 400 მეტრზე სირბილში და ბრინჯაოს მედალი მიიღო 4x400 მეტრზე ესტაფეტაში.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

## ᲑᲐᲠᲢᲝᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲔᲛᲔᲜᲢᲘᲔᲕᲐᲡ ᲨᲐᲜᲡᲘ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ უკვე ვწერდით, სლოვაკი **დანიელა პანტუხოვა** მერვე მოთამაშე გახდა, ვინც სეზონის შემაჯამებელ ტურნირში თამაშის უფლება მოიპოვა. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ მას ჩემპიონთა რბოლის რეიტინგში მეცხრე ადგილამდე ჩამოქვეითებული რუსი **მარია შარაპოვაც** შეუერთდებოდა, ვინაიდან ტრავმის გამო მადრიდში თამაშზე უარი განაცხადა ამერიკელმა **ვენუს უილიამსმა**.

მაგრამ ტურნირის საბოლოო შემადგენობაზე ჯერ მაინც ნაადრევია საუბარი. ასევე ტრავმების გამო, შესაძლოა მადრიდში ვერ "ჩააღწიონ" შარაპოვამ და **სერენა უილიამსმა**. შესაბამისად, სეზონის ბოლო ტურნირში მონაწილეობის შანსი ეძლევათ მეათე ნომერს, ფრანგ **მარიონ ბარტოლისა** და მე-11 ნომერს, რუს **ელენა დემენტიევას**. მათი საკითხი უახლოეს ერთ კვირაში გაირკვევა.

## ᲠᲝᲚᲐᲜ ᲒᲐᲠᲝᲡᲘ ᲘᲔᲠᲡᲐᲮᲔᲡ ᲨᲔᲘᲪᲕᲚᲘᲡ

"როლან გაროსის" საჩოგბურთო სტადიონი მოდერნიზაციას საჭიროებს. საფრანგეთის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტის **კრისტიან ბიმის** აზრით, თუ რეკონსტრუქცია არ ჩატარდება, მაშინ სატურნირო ბადეში, შესაძლოა "დიდი სლემის" სხვა სერიის ტურნირები გაჩნდეს.

*"ახალი და უფრო თანამედროვე არენა გვჭირდება და ამაში მთავრობამ უნდა გაგვინიოს დახმარება. ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია. რა თქმა უნდა, ჩვენ არ დავკარგავთ "დიდი სლემის" ტურნირის სტატუსს, მაგრამ თუ არ განვითარდებით, ერთხელაც აზიაში გაჩნდება "დიდი სლემის" რიგით მეხუთე ტურნირი, შემდეგ, ევროპაში შესაძლოა მეექვსე ჩემპიონატი დაარსდეს, ამ სიტუაციაში კი, და ზარალებულნი საფრანგეთის ღია პირველობა და უიმბლდონი დარჩებიან. გვინდა, ეს საფრთხე თავიდან ავიცილოთ"*, - ამბობს კრისტიან ბიმი, რომელიც "როლან გაროსის" გაფართოებას 2011 წლისთვის გეგმავს.

## ᲤᲝᲠᲩᲣ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲡ

წარსულში ცნობილმა ფრანგმა ჩოგბურთელმა **გი ფორჟემ**, დევისის თასზე საფრანგეთის ნაკრების კაპიტნის პოსტი შეინარჩუნა. ფორჟე, რომელიც უკვე ცხრა სეზონია ავარჯიშებს გუნდს, კიდევ ორი წლით დარჩება მამაკაცთა ნაკრებში.

ფორჟეს ყოფნა-არყოფნის საკითხი დღის წესრიგში, წლევანდელი დევისის თასის მეოთხედფინალში რუსეთთან წაგების შემდეგ დადგა, მაგრამ ქვეყნის ჩოგბურთის ფედერაციამ მწვრთნელს ნდობა გამოუცხადა.

საფრანგეთს უახლოესი მატჩი 2008 წლის 8-10 თებერვალს ელის: დევისის თასის პირველ წრეში ფორჟეს გუნდი რუმინეთის ნაკრებს შეხვდება.

ᲙᲠᲘᲕᲘ

## ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲨᲘ ᲥᲣᲠᲓᲔᲑᲘ ᲘᲠᲘᲪᲮᲔᲑᲘᲐᲜ

საᲛᲧᲐᲠᲝᲡᲣᲚᲝ კრივის საერთაშორისო ფედერაციამ სამ რუმინელ მოკრივეს სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცა. ჩიკაგოში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში, **მარიუშ დინუმ, რონალდ გავრილმა** და **იულიან სტანმა** ერთ-ერთი მაღაზიიდან სხვადასხვა ნივთები მოიპარეს და ამის გამო, მკაცრი სასჯელიც მიიღეს.

*"მათმა საქციელმა ჩვენი ორგანიზაციისა და მთლიანად კრივის იმიჯს სერიოზული ზიანი მიაყენა"*, - განაცხადა ფედერაციის პრეზიდენტმა **ჩინ-კუ ვუმ**.

რუმინეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა **რუდელ ობრეამ** ამ ინციდენტის გამო ოფიციალურად მოიხადა ბოდიში.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

## ᲣᲔᲡᲚᲘ ᲜᲔᲢᲡᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ

რᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი დღით ადრე, კალათბურთელები გაცვალეს "ნიუ ჯერსი ნეტსმა" და "ნიუ ორლეან ჰორნეთსმა".

ვეტერანი მცველი **დევიდ უესლი** "ნიუ ჯერსის" რიგებში ჩაირიცხა, ხოლო "ჰორნეთსმა" ამ გარიგებით სერი ცენტრი **მაი ილიჩი** და ფორვარდი **ბერნარდ რობინსონი** მიიღო.

36 წლის უესლის NBA-ში 949 მატჩი აქვს ჩატარებული და მისი საშუალო მონაგარი 12.5 ქულასა და 4.4 შედეგიან გადაცემას უდრის.

## ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐᲛ ᲞᲝᲕᲐᲠᲓᲘ ᲒᲐᲣᲨᲕᲐ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ საკალათბურთო ასოციაციის ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, "მინესოტა ტიმბერვულვზმა" თანხმობა განაცხადა 34 წლის **ჯუვან ჰოვარდთან** კონტრაქტის გაწყვეტაზე.

ეს კალათბურთელი "მგლებმა" ამ ზაფხულს დაიმატეს, მაგრამ ჰოვარდმა ახალ კლუბში თამაში არ ისურვა და "მინესოტა" იძულებული გახდა, მისთვის წასვლის საშუალება მიეცა.



### 31 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ

#### I ᲐᲠᲮᲘ

00:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-რეალი (LIVE).

#### HTB-ᲞᲚᲣᲡᲘ (ᲤᲘᲤᲐᲑᲣᲠᲗᲘ)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ესპანეთის ჩემპიონატი.
15:10 გასული კვირის პიტ-აღლუმი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:15 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:15 გასული კვირის პიტ-აღლუმი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:25 ტოქ-შოუ - 90 წუთი.
22:55 ესპანეთის ჩემპიონატი (LIVE).
00:55 ესპანეთის ჩემპიონატი. ატლეტიკო-სევილია (LIVE).
02:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

#### SPORT 1 (ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ)

08:20 ფეხბურთი. Barca TV.
08:31 მინი-მოედანი.
08:57 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
10:15 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:20 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
11:33 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-სან ხოსე.
12:45 ფეხბურთი. Barca TV.
13:55 ჩოგბურთი. ATP-ს ტური. 1/2 ფინალი. ლიონი. საფრანგეთი.
16:00 სპორტდოსიე. პლატის ფრენბურთი.
16:30 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ვალენსია.
18:18 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
18:50 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. მინესოტა-პიტსბურგი.
20:41 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
21:15 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ცსკა-სიენა (LIVE).
23:13 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
23:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-ლაციო (LIVE).
01:25 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
01:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ჯენოა.
03:28 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
03:57 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დალასი-ჩიკაგო (LIVE).
07:07 სპორტდოსიე. პლატის ფრენბურთი.

#### EUROSPORT

11:30 მულტისპორტი.
12:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
13:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონია.
14:00 სპიდვეი. გერმანიის გრან-პრი.
15:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონიის გრან პრი.
17:00 სნუკერი. ბრიტანეთის გრან-პრი. ფინალი. აბერდინი. შოტლანდია.
19:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. ავსტრალიის გრან პრი.
20:15 პლატის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. სუპერფინალი. მარსელი. საფრანგეთი.
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
21:45 მულტისპორტი.
21:50 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
21:55 მულტისპორტი.
22:00 გოლფი. US PGA-ის ტური.
23:00 გოლფი. ევროპის ტური.
00:30 გოლფი. ჩელენჯ-ტური.
01:00 გოლფ-კლუბი.
01:05 აფროსნობა. როლექსის თასი.
01:35 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
01:40 პოლო. ოქროს თასი. ფინალი. ბრიტანეთი.
02:10 მულტისპორტი.
02:15 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
02:45 მულტისპორტი.
03:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონია.

#### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 პლატის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ფინალი. საფრანგეთი.
14:00 პლატის ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ფინალი. ესპანეთი.
15:00 ახალი ამბები.
17:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონია.
18:00 პლატის ფეხბურთი. მსოფლიო თასი. კვალიფიკაცია. მექსიკა-აშშ.
19:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. ფინალები. პოლონეთი-იტალია. ჩინეთი.
20:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრან-პრი. ჯგუფური ეტაპი. თურქეთი-ბულგარეთი. თურქეთი.
21:00 ახალი ამბები.
21:30 ექსტრემალური სპორტი (LIVE).
22:30 ახალი ამბები.
23:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. იაპონიის გრან პრი.
00:00 ტიმბერსპორტი. ევროპის ჩემპიონატი. გერმანია.
01:00 რესტლინგი.
02:30 მულტისპორტი.
03:00 ახალი ამბები.



### ᲤᲘᲤᲐᲑᲣᲠᲗᲘ

#### ᲛᲣᲜᲓᲘᲐᲚᲘ 2010

##### ᲐᲖᲘᲐ

| | |
|---|---|
| ᲚᲣᲒᲐᲜᲘᲡ-ᲞᲐᲠᲜᲚᲝᲠᲒᲘ | 4:1 |
| ᲙᲐᲞᲣᲜᲑᲐᲠᲒᲘ-ᲥᲐᲠᲜᲐᲒᲘ | 4:1 |
| ᲨᲔᲜᲖᲔᲜᲒᲐᲚᲓᲘ-ᲒᲠᲐᲒᲝᲠᲘᲜᲘ | 0:0 |
| ᲑᲐᲓ ᲝᲨᲘ-ᲐᲣᲡᲢᲠᲘᲐ (Ლ) | 0:1 |

##### ᲜᲘᲓᲚᲐᲜᲓᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

| | |
|---|---|
| ᲜᲘᲓᲚᲐᲜᲓᲘᲡ-ᲚᲘᲒᲐᲜᲘ | 2:2 |

##### ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

##### I ᲚᲘᲒᲐ

| | |
|---|---|
| ᲜᲝᲠᲩᲘᲜᲒᲐᲛᲘ-ᲝᲚᲓᲰᲐᲛᲘ | 0:0 |

##### ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲚᲘᲒᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

##### 1/8 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

| | |
|---|---|
| ᲥᲝᲕᲔᲜᲢᲠᲘ-ᲕᲔᲡᲢ ᲰᲐᲛᲘ | 1:2 |

##### ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

##### ᲡᲔᲠᲘᲐ B

| | |
|---|---|
| ᲐᲕᲔᲚᲘᲜᲝ-ᲠᲐᲕᲔᲜᲐ | 3:2 |
| ᲑᲝᲚᲝᲜᲘᲐ-ᲐᲡᲙᲝᲚᲘ | გადაიდო |
| ᲙᲘᲔᲕᲝ-ᲐᲚᲑᲘᲜᲚᲔᲣᲤ | 0:1 |
| ᲚᲔᲩᲔ-ᲒᲠᲝᲡᲝᲒᲝ | 1:1 |
| ᲛᲐᲜᲢᲝᲕᲐ-ᲩᲔᲯᲔᲜᲐ | 4:1 |
| ᲛᲔᲡᲘᲜᲐ-ᲕᲘᲩᲔᲜᲪᲐ | 0:2 |
| ᲞᲘᲖᲐ-ᲛᲝᲓᲔᲜᲐ | 3:3 |
| ᲠᲘᲛᲘᲜᲘ-ᲞᲘᲐᲩᲔᲜᲪᲐ | 0:1 |
| ᲡᲐᲛᲞᲓᲝᲠᲘᲐ-ᲒᲠᲔᲛᲘᲝ | 1:0 |
| ᲑᲠᲔᲛᲘᲝᲠᲘ-ᲤᲐᲠᲝᲚᲘᲜᲔᲚᲘ | 2:1 |
| ᲑᲠᲘᲔᲡᲘᲐᲜᲐ-ᲑᲐᲠᲘ | 1:1 |

##### ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

##### 1/16 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

| | |
|---|---|
| ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲘᲐ-ᲑᲝᲩᲣᲛᲘ | 3:2 |
| ᲞᲐᲜᲖᲐ-ᲛᲣᲜᲮᲔᲜᲘᲐ | 6:0 |
| ᲨᲢᲣᲒᲐᲠᲢᲘᲐ-ᲤᲘᲠᲗᲘ | 2:1 |
| ᲙᲐᲠᲚᲡᲠᲣᲰᲔ-ᲕᲘᲚᲰᲔᲚᲛᲰᲐᲤᲔᲜᲘ | 0:1 |
| ᲛᲘᲣᲜᲰᲔᲜᲘ-ᲛᲐᲘᲜᲪᲘ | 2:1 |
| ᲒᲐᲚᲐᲢᲐ-ᲞᲐᲜᲐᲗᲘᲙᲘ | 0:0 დ.დ. 2:0 |
| ᲕᲔᲠᲓᲘᲠᲘ A-ᲒᲑ. ᲞᲐᲣᲚᲘ | 2:2 პენ. 4:2 |
| ᲕᲔᲚᲕᲔᲠᲓᲐᲚᲘ-ᲞᲔᲠᲒᲐ | 2:0 |

##### ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲚᲘᲒᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

##### 1/8 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

| | |
|---|---|
| ᲠᲝᲡᲢᲝᲠᲘ-ᲜᲘᲪᲐ | 2:2 დ.დ. 6:2 |
| ᲜᲐᲜᲪᲘ-ᲐᲛᲘᲔᲜᲘ | 1:0 |
| ᲒᲐᲠᲡᲔᲚᲘ-ᲒᲔᲡᲘ | 0:0 პენ. 5:4 |

##### ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

| | |
|---|---|
| ᲙᲐᲛᲑᲐᲠᲘ-ᲔᲥᲡᲔᲚᲡᲘᲝᲠᲘ | 1:2 |
| ᲕᲘᲜᲪᲔᲜᲢᲘ-ᲞᲐᲣᲠᲚᲘᲜᲘ | 1:1 დ.დ. 1:3 |
| ᲪᲮᲝᲚᲝ-ᲘᲒᲚᲘ | 1:0 |
| ᲨᲝᲠᲒᲣᲜᲐ-ᲓᲔᲜ ᲑᲝᲠᲘ | 1:3 |
| ᲞᲔᲠᲐᲚᲔᲡᲘ-ᲛᲝᲜᲘᲕᲘᲠᲚᲘ | 3:0 |
| ᲞᲘᲡ-ᲞᲔᲚᲔᲚᲘᲜᲘᲠᲜᲘ | 0:1 |
| ᲒᲐᲡᲐᲚᲘᲜᲘᲡ-ᲛᲝᲜᲐᲠᲘ | 1:3 |
| ᲠᲝᲛᲐ-ᲒᲠᲐᲪᲘᲐᲜᲘ | 2:2 დ.დ. 3:2 |

##### ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ

| | |
|---|---|
| ᲨᲐᲚᲪᲑᲣᲠᲒᲘ-ᲠᲐᲪᲘᲜᲘ | 2:1 |

##### II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

| | |
|---|---|
| ᲨᲢᲣᲒᲐᲠᲢᲘ-ᲨᲐᲚᲪᲑᲣᲠᲒᲘ II | 3:2 |
| ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ | |
| ᲡᲐᲚᲪᲑᲣᲠᲒᲘ-ᲠᲐᲪᲘᲜᲘ | 2:1 |
| ᲡᲢᲣᲒᲐᲠᲢᲘ-ᲠᲐᲪᲘᲜᲘ | 1:1 |
| ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ | |
| ᲡᲐᲚᲪᲑᲣᲠᲒᲘ-ᲒᲠᲝᲜᲘᲜᲒᲔᲜᲘ | 1:3 |
| ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ | |
| ᲡᲐᲚᲪᲑᲣᲠᲒᲘ-ᲒᲠᲝᲜᲘᲜᲒᲔᲜᲘ | 1:3 |
| ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ | 0:2 |
| ᲠᲣᲡᲘ-ᲕᲘᲩᲔᲕᲘ | 1:0 |
| ᲞᲝᲚᲝᲜᲘᲐ-ᲞᲝᲠᲢᲝ | 3:1 |

##### ᲩᲔᲩᲔᲗᲘ

| | |
|---|---|
| ᲕᲘᲪᲐᲜᲘᲪᲔ-ᲥᲚᲘᲜᲘ | 5:5 პენ. 6:5 |
| ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ-ᲡᲐᲠᲒᲐ | 5:1 |

##### ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ

| | |
|---|---|
| ᲐᲛᲑᲠᲘ-ᲑᲐᲘᲒᲠᲘᲡᲘ | 7:3 |
| ᲑᲔᲠᲜᲘ-ᲪᲘᲣᲠᲘᲩᲘ | 3:5 |
| ᲓᲐᲕᲝᲡᲘ-ᲑᲐᲬᲔᲚᲘ | 6:4 |
| ᲔᲜᲔᲡᲐ-ᲪᲣᲒᲘ | 6:8 |
| ᲚᲣᲒᲐᲜᲘ-ᲠᲐᲞᲔᲠᲡᲕᲘᲚᲘ | 5:2 |
| ᲨᲠᲘᲒᲠᲘ-ᲚᲣᲒᲐᲜᲝ | 2:0 |

##### ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ

| | |
|---|---|
| ᲛᲝᲚᲓᲝ-ᲨᲠᲘᲜᲝᲚᲝᲜᲓᲐ | 2:1 |
| ᲨᲐᲠᲘᲜᲡᲒᲐᲓᲘ-ᲡᲘᲜᲝᲓᲔᲠᲒᲐᲚᲔ | 2:3 |
| ᲘᲣᲠᲒᲝᲠᲓᲔᲜᲘ-ᲑᲠᲘᲜᲔᲚᲘ | 1:1 |

##### ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

##### ATP. ᲞᲐᲠᲘᲖᲘ

| | |
|---|---|
| მაუ-გაბაშვილი | 6:4, 7:6 |
| ნიემინენი-მონაკო | 6:4, 6:4 |
| მელცერი-ვოლანდრი | 0:6, 3:6 |
| სანტორო-მონტანიესი | 7:6, 6:2 |
| ჰაასი-ტიპსარევიჩი | 6:3, 6:7, 6:3 |
| გონსალესი-იუჟნი | 6:3, 3:6, 3:6 |
| გროსჟანი-ცონგა | 3:6, 6:3, 3:6 |
| კანიასი-სეპი | 6:3, 7:6 |
| კარლოვიჩი-ვერდასკო | 4:6, 6:3, 6:4 |

##### WTA. ᲥᲕᲔᲑᲔᲥᲘ

| | |
|---|---|
| კინგი-კრემერი | 6:2, 6:1 |
| შვედოვა-ფორეცი | 3:6, 4:6 |
| ბრემონი-პელეტიე | 6:2, 6:3 |
| ოსტერლო-კრეიბასი | 4:6, 6:2, 2:6 |

NBA . ᲡᲔᲖᲝᲜᲘᲡ ᲬᲘᲜ. ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲐ

# ᲨᲔᲠᲧᲔᲣᲚᲘ ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲗ



გაძლიერებულ პიუსტონს რიკ ადელმანი წვრთნის

### ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ-ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

#### ᲡᲐᲜ ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝ

**შარშანდელი შედეგი:** 58:24

**სასტარტო ხუთეული:** ტონი პარკერი, მაიკლ ფინლი (ან მანუ ჯინობილი), ბრიუს ბოუენი, ტიმ დანკანი, ფაბრიციო ობერტო.

თუ ექსპორტლენდელ **იმე უდოკას** არ ჩავთვლით, "სპურსს" არც არავინ დაუმატებია. **გრეგ პოპოვიჩი** მაქსიმალურად გაუფრთხილდება **ტონი პარკერს** და სავარაუდოდ, თავიდან მის ნაცვლად, გამთამაშებლად **უაკ ვონს** დატვირთავს. მოქმედი ჩემპიონის ერთადერთი პრობლემა ასაკია, რადგან **ბოუენმა, ბერიმ** და **ფინლიმ** 35 წელს გადაბიჯეს. უდოკაც სწორედ ბოუენის შემცვლელად აიყვანეს.

**პროგნოზი:** პლეიოფში.

#### ᲓᲐᲚᲐᲡ ᲛᲐᲒᲘᲠᲘᲥᲘ

**შარშანდელი შედეგი:** 67:15

**სასტარტო ხუთეული:** დევინ ჰარისი, ჯეისონ ტერი, ჯოშ ჰოვარდი, დირკ ნოვიცკი, დესაგანა დიოპი.

შარშან, "მაგერიქსი" პლეიოფის პირველივე წრეში "გოლდენ სტეიტთან" შერცხვა, **დირკ ნოვიცკი** კი, წაგების მთავარი "შემოქმედი" გახდა. ასე რომ, ტეხასური გრანდი სეზონს შერყეული ფსიქოლოგიით ხვდება. ჯერაც ნორმალური მეფარის გარეშე მყოფი გუნდი, ამჯერადაც ჯონსონის სამწვრთნელო-ნიჭსა და ნოვიცკის კლასს დაეყრდნობა, თუმცა თუ რეგულარულისთვის ეს საკმარისი იქნება, მერე "დალასს" სხვა კომპონენტების გაუმჯობესებაც მართებს.

**პროგნოზი:** პლეიოფში.

#### ᲰᲘᲣᲡᲢᲝᲜᲘ

**შარშანდელი შედეგი:** 52:30

**სასტარტო ხუთეული:** რაფერ ალსტონი, ტრეისი მაკგრეიდი, შეინ ბეტიე, ლუის სკოლა, იოა მინი.

"როკეტსმა" ყველაზე მეტად გაიუმჯობესა შემადგენლობა. არგენტინელი **ლუის სკოლა, მაიკ ჯეიმსი** და **სტივ ფრენსისი** ისედაც სოლიდურ შემადგენლობას კიდევ უფრო გაამთელებენ და ოპონენტებისთვის ძნელად დასამარცხებელს გახდიან. ქაღალდზე "პიუსტონი" ბარე ლიგის მეოთხე-მეხუთე გუნდია.

მთავარ მწვრთნელად **რიკ ადელმანის** აყვანა, მინისა და ტრეისის შემტევი პოტენციალის უკეთ გამოსაყენებლად მომგებიანია, მაგრამ ადელმანის გუნდები ყოველთვის იგნორირებას უკეთებდნენ დაცვას.

**პროგნოზი:** პლეიოფში.

#### ᲛᲔᲛᲤᲘᲡᲘ

**შარშანდელი შედეგი:** 22:60

**სასტარტო ხუთეული:** დეიმონ სტაუდმაიერი, რუდი გეი, მაიკ მილერი, პაუ გასოლი, დარკო მილიჩიჩი.

**პაუ გასოლი** დარჩა, ხოლო თუ **ხუან კარლოს ნავაროს** ნორმალური სათამაშო დრო მიეცემა, მაშინ ესპანელ ცენტრს სხვაგან გადასვლის სურვილი საბოლოოდ უნდა გაუქრეს. ძალიან კარგად გამოიყურება "გრიზლისის" წინა ხაზი, სადაც ევროფორუმზე კარგად მოთამაშე **დარკო მილიჩიჩი,** გასოლთან ერთად სამწამიანში იომებს, თავის წილ 10 ქულასა და 6-7 მოხსნასაც გააკეთებს და საგაისოდ, გუნდი იქნებ კარგ საპლეიოფო პრეტენდენტადაც იქცეს.

**პროგნოზი:** პლეიოფის მიღმა.

#### ᲜᲘᲣ ᲝᲠᲚᲔᲐᲜᲘ

**შარშანდელი შედეგი:** 39:43

**სასტარტო ხუთეული:** კრის პოლი, მორის პიტერსონი, პეჯა სტოიაკოვიჩი, დევიდ უესტი, ტაისონ ჩენდლერი.

"კრაზანებს" შარშან თითქმის ყველა ლიდერი აკლდათ და მიუხედავად ამისა, გუნდი კინაღამ პლეიოფში შეძვრა. **მორის პიტერსონი** კარგი შენაძენია, მაგრამ მთავარი მაინც ის სამეულია, რომელიც ძირითად ბირთვს ქმნის. **სტოიაკოვიჩი** პერიმეტრის პრობლემას გადაჭრის, ხოლო **ტაისონ ჩენდლერი** კი ნელ-ნელა ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო დამცველი გახდება. **კრის პოლი** გენიოსია, ოღონდ ამ ყმაწვილ კაცს მეტი თავდაჯერებულობაც მართებს და ტექნიკურებიც შარშანდელზე (6) ნაკლები უნდა მიიღოს.

**პროგნოზი:** პლეიოფში.



ალენ აივერსონი

# ᲐᲘᲕᲔᲠᲡᲝᲜᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲠᲔᲐ

"ჯაზის" სასტარტო ხუთეული ლიგაში ერთ-ერთი საუკეთესოა, **დერონ უილიამსი** კი სოლტ ლეიკ სიტიში უკვე **ჯონ სტოქტონად** მიაჩნიათ. წავიდა **დერეკ ფიშერი,** რაც სასტარტოში ადგილს ხორვატ **გორდან გირიჩეკს** აძლევს, რომელსაც ძალიან სუსტი დაცვა აქვს, თუმცა საკალათბურთო ინტელექტის ხარჯზე, გუნდს დიდი სარგებელი უნდა მოუტანოს. "იუტა" ძველებურად, ანუ რიხიანად დაიწყებს სეზონს, მერე, სადღაც მარტისთვის, წასაგებს წაიგებს და საბოლოოდ, მაინც გავა დივიზიონში პირველ ადგილზე.

**პროგნოზი:** პლეიოფი.

#### ᲓᲔᲜᲕᲔᲠᲘ

**შარშანდელი შედეგი:** 45:37

**სასტარტო ხუთეული:** ალენ აივერსონი, ჩაკი ეტკინსი, კარმელო ენტონი, კენიონ მარტინი, მარკუს კემბი.

**ალენ აივერსონის** "ნაგეტსში" გადასვლას ისეთი ეფექტი არ მოუტანია, როგორსაც კოლორადოელები ვარაუდობდნენ. "დენვერი" ოდნავ სწრაფად ათამაშდა, მაგრამ დაიწყო პლეიოფი და გუნდი უკვე მერამდენედ შერცხვა.

სასტარტო ხუთეულიდან მარტო **მარკუს კემბიზე** თუ ვიტვით, რომ დაუზარელი დამცველია, ხოლო დანარჩენები კი მთელი ემოციების დახარჯვას შეტევაში ლამობენ. შარშანდელზე უკეთესი სეზონი უნდა ჰქონდეს ლიტველ **ლინას კლეიზას** და არც **ჩაკი ეტკინსის** დამატებაა ურიგო ნაბიჯი. მოკლედ, თუ გუნდი გუნდს დაემსგავსება, მაშინ იქნებ, ერთი საპლეიოფო წრე გადალახოს.

**პროგნოზი:** პლეიოფი.

#### ᲙᲝᲠᲐᲚᲕᲘᲚᲘ

**შარშანდელი შედეგი:** 32:50

**სასტარტო ხუთეული:** სტივენ ბლეიკი, ბრენდონ როი, დარიუს მაილზი, ჩეინინგ ფრაი, ლამარკუს ოლდრიჯი.

დრაფტის პირველი ნომრის, **გრეგ ოდენის** ტრავმამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. "ტრეილ ბლეიზერსი" ამ ახალბედათი, ალბათ, პლეიოფის ერთ-ერთი საგზურისთვის იბრძოლებდა, ახლა კი, ამის პერსპექტივა არ ჩანს. **ბრენდონ როი** კიდევ მოუმატებს, საინტერესო იქნება სასტარტოს წევრად ნიჭიერი **ლამარკუს ოლდრიჯის** ხილვაც. ჯანზეა **დარიუს მაილზი,** რაც "პორტლენდის" თამაშს მეტ ხიბლს, თუმცა ნაკლებ დისციპლინას შემატებს. ოდენი და როი გუნდს პლეიოფში გაიყვანდნენ, ამჯერად კი "პორტლენდი" უშანსოდაა.

**პროგნოზი:** პლეიოფს მიღმა.

#### ᲡᲘᲢᲚᲘ

**შარშანდელი შედეგი:** 32:50.

**სასტარტო ხუთეული:** დელონტე უესტი, უოლი შჩერბიაკი, კევინ დიურანი, კურტ ტომასი, იოჰან პეტრო.

ჯერ ის უნდა გადაწყდეს, რომელ ქალაქში სად იქნება მომავალი სეზონიდან "სუპერსონიქსი" და წმინდა სპორტულ მხარეს როგორმე მოევლება, რადგან **რეი ალენის** სანაცვლოდ, გუნდმა საკმაოდ საინტერესო შევსება მიიღო და სასტარტო ხუთეულით იმავე "პორტლენდს" სჯობნის კიდეც. ცენტრის პოზიციაზე "ზებგერითებს" ნორმალური არავინ ჰყავთ და ეს იმის თქმის საშუალებას გვაძლევს, რომ "სიეტლი" ამჯერადაც მყარი საპერიმეტრო გუნდი იქნება.

**პროგნოზი:** პლეიოფს მიღმა.

#### ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ

**შარშანდელი შედეგი:** 32:50.

**სასტარტო ხუთეული:** სებასტიან ტელფერი, გრეგ ბაკნერი, ანტუან უოკერი, ჯუვან ჰოვარდი, ელ ჯეფერსონი.

"ფილადელფიასთან" და "ინდიანასთან" ერთად, ლიგის უსუსტესი გუნდი, რომელმაც **კევინ გარნეტის** წასვლით საკუთარი სახე დაკარგა. იერშეცვლილი "მგლები" მაქსიმალურად დატვირთავენ გარნეტის ტრეიდის შედეგად აყვანილ **ელ ჯეფერსონს,** რომელიც შარშან აღმოსავლეთში, ერთ მატჩში საშუალოდ 15 ქულასა და 10 მოხსნაზე მეტს უყრიდა თავს. მაგრამ ერთია, სუსტ აღმოსავლეთში ფარქვეშეთის დაცვა და სულ სხვა, დასავლელი მაღლების წინააღმდეგობის დაძლევა. "მინესოტა" მაქსიმუმ 25 თამაშს თუ მოიგებს და მომდევნო დრაფტის პირველი ნომრის მიღების მთავარი კანდიდატი იქნება.

**პროგნოზი:** პლეიოფს მიღმა.



### ᲩᲠᲓᲘᲚᲝ-ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

#### ᲘᲣᲢᲐ ᲯᲐᲖᲖ

**შარშანდელი შედეგი:** 51:31

**სასტარტო ხუთეული:** დერონ უილიამსი, გორდან გირიჩეკი, ანდრეი კირილენკო, კარლოს ბუზერი, მეჰმეთ ოქური.

# ᲛᲐᲒᲠᲘᲪᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲢᲘᲙᲝᲜᲘ

### ᲬᲧᲜᲐᲠᲘ ᲝᲙᲔᲐᲜᲘᲡ ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

#### ᲒᲝᲚᲓᲔᲜ ᲡᲢᲔᲘᲢᲘ

**შარშანდელი შედეგი:** 42:40

**სასტარტო ხუთეული:** ბაირონ დევისი, სტივენ ჯექსონი, მეტ ბარნსი, მიკაელ პიეტრუსი, ელ ჰარინგტონი (ან ანდრის ბიედრინსი).

ბებერმა **დონ ნელსონმა** ბოლო პლეიოფში თავისი ყოფილი გუნდი "მავერიქსი" რომ დაიფრინა, ეს უამრავი ექსპერიმენტითა და ერთი შეხედვით, უცნაური გადაწყვეტილებებით გააკეთა. უცენტროდ თამაში და მოედანზე ერთბაშად 3-4 უკანახაზელის გაყვანა, **ბიედრინსის** მესამე ნომერზე დაყენება - ყველაფერი ეს ნელსონმა "დალასთან" სერიაში წარმატებით აამუშავა და მისგან დამდეგ რეგულარულშიც ბევრ სიურპრიზს უნდა ველოდოთ. გუნდი საპლეიოფოდაა "განწირული".

**პროგნოზი:** პლეიოფი.

#### ᲤᲘᲜᲘᲥᲘᲡᲘ

**შარშანდელი შედეგი:** 61:21

**სასტარტო ხუთეული:** სტივ ნეში, ლეანდრო ბარბოსა, ბორის დიაო, შონ მერიონი, ამარე სტაუდმაიერი.

თუ ვინმეს შეუძლია დასავლეთში "სპურსის" შეჩერება, ეს **მაიკ დენტონის** "სანზია". გუნდის თამაში წლეულსაც უცვლელი იქნება, ანუ არიზონელები ირბენენ, **სტივ ნეში** 10-11 ზუსტ პასს დააგროვებს და დაცვაში ამჯერადაც არავინ არაფერს გააკეთებს. ერთადერთი კაცი, ვისაც "ფინიქსში" პერსონალური დაცვის თამაში შეეძლო, ცენტრ-ფორვარდი **კურტ ტომასი** იყო, მაგრამ გუნდმა ის "სიეტლში" გაუშვა. უკმაყოფილოა **შონ მერიონიც** და არ არის გამორიცხული, "მატრიცა" სეზონის მსვლელობისას გაცვალონ. აი, ამ შემთხვევაში კი "ფინიქსის" საქმეები უკან წავა.

**პროგნოზი:** პლეიოფი.

#### ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲘ

**შარშანდელი შედეგი:** 40:42

**სასტარტო ხუთეული:** სემ კასელი, რუბენ პატერსონი, კორი მაგეტი, ელტონ ბრენდი (ან ტიმ ტომასი), კრის კამანი.

მინიმუმ ნახევარი სეზონი, "კლიპერსს" არ ეყოლება დაშავებული **ელტონ ბრენდი,** ანუ ნახევარი გუნდი და იქნებ, მეტიც. რაც არ უნდა გააკეთონ დანარჩენებმა, როგორი აღმაფრენითაც არ უნდა ითამაშოს **სემ კასელმა** და რამდენი ორმაგი დუბლიც არ უნდა მოიმკოს **კრის კამანმა,** "კლიპერსისთვის" სეზონი რეგულარულით დასრულდება.

**პროგნოზი:** პლეიოფს მიღმა.

#### ᲡᲐᲚᲘᲐᲜᲘ

**შარშანდელი შედეგი:** 42:40.

**სასტარტო ხუთეული:** დერეკ ფიშერი, კობი ბრაიანტი, ლიუკ უოლტონი, ლამარ ოდომი, კრის მიმი (ან კვამე ბრაუნი).

კალიფორნიელებმა დერეკ ფიშერს ხელი გაუწოდეს და ნაოპერაციევ შვილთან ახლოს ყოფნის მიზნით, ვეტერანს კონტრაქტი გაუფორმეს, სხვა მხრივ კი, **ფილ ჯექსონს** რაც შემადგენლობაც ჰყავდა, ახლაც იგივე ეყოლება. ანუ, უნიჭიერესი, მაგრამ ტრავმებს შეჩვეული **ლამარ ოდომი**, ნელი **უოლტონი** და ცენტრების საეჭვო ტანდემი. ძალიან რთული, პრაქტიკულად არარეალურია ამ გუნდით რვა საუკეთესოში შეღწევა.

**პროგნოზი:** პლეიოფს მიღმა.

#### ᲡᲐᲙᲠᲐᲛᲔᲜᲢᲝ

**შარშანდელი შედეგი:** 33:.49

**სასტარტო ხუთეული:** კევინ მარტინი, მაიკ ბიბი, რონ არტესტი, შარიფ-აბდურ რაჰიმი, ბრედ მილერი.

"საკრამენტომ" აიყვანა **მიკი მური** და დაკარგა **კორლის უილიამსონი**. ესეც რომ არ მომხდარიყო, გუნდი მაინც შარშანდელივით დაცვისა და ინიციატივის გარეშე იქნებოდა. ყველა "ბედნიერებასთან" ერთად, "მეფეებს" რეგულარულის პირველი ექვსი კვირა ტრავმირებული **მაიკ ბიბი** არ ეყოლებათ, სხვა მხრივ კი, ეს ისევ ის "კინგზია". **შარიფ-აბდურ რაჰიმი** 4 წლის წინათ ელიტაში შედიოდა, **ბრედ მილერი** ტოპ-კლასის ცენტრი არასოდეს ყოფილა, ხოლო **რონ არტესტი** კი ამოუცნობ კაცად რჩება. ორი თვე მისგან სიტყვას ვერავინ გაიგებს, მერე კი წვიმასავით წამოვა ტექნიკურები და რონიც გუნდს დააღლატებს.

**პროგნოზი:** პლეიოფს მიღმა.

**ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ**


ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

## ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲗᲘ

ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲑᲐᲓᲠᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲙᲐᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲨᲔᲬᲧᲝᲑᲘᲗ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ

ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ
ᲞᲐᲞᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ
ᲛᲐᲛᲣᲯᲐ ᲩᲘᲮᲚᲐᲫᲔ
ᲒᲘᲐ ᲗᲕᲐᲚᲐᲑᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ
ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖ ᲜᲔᲣᲨᲐᲠᲘᲫᲔ
ᲞᲐᲞᲐ ᲗᲝᲗᲝᲫᲔ
ᲛᲔᲠᲐᲑ ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲪᲐᲑᲐᲫᲔ
ᲚᲔᲕᲐᲜ ᲯᲐᲜᲔᲖᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲒᲘᲐ ᲢᲣᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲗᲐᲕᲐᲠᲗᲫᲘᲚᲐᲫᲔ
ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ
ᲕᲐᲫᲐ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲖᲕᲘᲐᲓ ᲨᲐᲗᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲙᲝᲑᲐ ᲮᲐᲢᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲑᲔᲡᲘᲚ ᲯᲐᲜᲒᲐᲕᲐᲫᲔ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ
ᲨᲐᲚᲕᲐ ᲑᲘᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲒᲝᲗᲨᲐᲠᲘᲫᲔ ᲚᲔᲜᲔᲪᲘ
ᲘᲚᲘᲐ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲛᲔᲠᲐᲑ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲩᲮᲘᲜᲘᲫᲔ
ᲖᲣᲠᲐᲑ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ:
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲝᲮᲠᲘᲫᲔ, ᲕᲐᲡᲘᲚ ᲒᲐᲚᲐᲨᲐᲕᲐ, ᲛᲔᲠᲐᲑ ᲒᲠᲔᲚᲘᲫᲔ, ᲛᲐᲛᲣᲯᲐ ᲥᲐᲜᲗᲐᲠᲘᲐ, ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲓᲐᲠᲪᲔᲚᲘᲫᲔ, ᲜᲘᲙᲝ ᲕᲐᲯᲔᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲤᲝᲢᲝ
ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲙᲝᲢᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲡᲣᲠᲐᲫᲔ

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲕᲘᲮᲔᲚ ᲯᲐᲨᲘ

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:
ᲕᲐᲜᲐ ᲐᲙᲘᲛᲝᲕᲐ, ᲛᲖᲘᲐ ᲔᲚᲘᲖᲑᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲐᲫᲔ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲨᲐᲚᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲙᲝᲑᲐ ᲒᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲣᲠᲐ
ᲚᲔᲚᲐ ᲮᲝᲛᲐᲡᲣᲠᲘᲫᲔ
ᲚᲔᲕᲐᲜ ᲒᲘᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:
ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲐᲘᲡᲣᲠᲐᲫᲔ (ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ), ᲒᲘᲕᲘ ᲪᲔᲛᲐᲘᲫᲔ, ᲥᲔᲗᲔᲕᲐᲜ ᲓᲘᲓᲑᲔᲠᲘᲫᲔ

ᲛᲐᲠᲙᲔᲢᲘᲜ�გᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ:
ᲗᲐᲛᲐᲠ ᲯᲘᲨᲙᲐᲠᲘᲐᲜᲘ (ტ: 46 34 48)
ᲑᲐᲥᲐᲠ ᲒᲐᲩᲘᲩᲘᲚᲐᲫᲔ (ტ: 899 91 87 17)

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ 1934 ᲬᲚᲘᲡ 13 Ა�პᲠᲘᲚᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲘᲗ "ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲚᲘ". 1936-39 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲔᲠᲥᲕᲐ "ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲚᲘ", "ᲚᲔᲚᲝᲛᲓᲔ" ᲓᲐᲘᲑᲭᲓᲐ 362 ᲜᲝᲛᲔᲠᲘ. 1949 ᲬᲚᲘᲡ 10 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲐᲖᲗᲘᲡ ᲐᲚᲐᲓᲒᲘᲜᲐ ᲛᲘᲮᲘᲚᲘᲚ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔᲛ.

2006 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲓᲐ ᲒᲐᲖᲗᲘ "ᲡᲞᲝᲠᲗᲗᲐᲜ".

## ᲡᲞᲝᲠᲗᲘ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ 2002-06 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ.

ᲚᲔᲚᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ (1949-52, 64-76)
ᲔᲠᲔᲕᲝ ᲛᲐᲮᲐᲗᲐᲫᲔ (1952-53)
ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲣᲒᲣᲚᲐᲕᲐ (1953-64)
ᲐᲜᲖᲝᲠ ᲑᲐᲡᲘᲚᲘᲐ (1976-83)
ᲐᲠᲩᲘᲚ ᲒᲝᲒᲔᲚᲘᲐ (1984-85)
ᲗᲔᲜᲒᲘᲖ ᲒᲐᲩᲘᲩᲘᲚᲐᲫᲔ (1985-ᲓᲐᲜ)

ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲘ:
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲤᲝᲜᲓᲘ



ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ
ᲐᲮᲛᲔᲢᲔᲚᲘᲡ 10³,
0159 ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
(ᲓᲘᲚᲝᲛᲘ, ᲐᲮ. ᲙᲘᲜᲝᲡᲢᲣᲓᲘᲐ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ);
ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 899 55 48 97 (ᲛᲗ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ). 53-39-11
ᲤᲐᲥᲡᲘ: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66435 INDEX


ᲒᲐᲛᲝᲦᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲥᲕᲘᲠᲘᲡᲐ